ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმის თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 75 კ. დაწესებულებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ. პირობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ხუთშაბათი, 15 ოქტომბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 237 (1392)

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

- რუმინეთ საბჭოთა საზღვარზე რუმინელებმა ტყვიები ისროლეს ჩვენს რაზმელებს.
- პოლიციასთან შეტაკებები პარიზში. დასჭრეს ამხ. დორიო.
- ჰამბურგში ჩავიდა ამერიკელი ფინანსისტი ვანდერბილდი გერმანიის მრეწველობისათვის კრედიტების შესახებ მოსალაპარაკებლად.

ს.კ.პ.ც. კ-ტის პლენუმი

დანიშნული 15 ოქტომბრისათვის გადადებულია
და
შესდგება 19 ოქტომბერს

ს.კ.პ.ც. კ-ტის მდივანი მ. კახიანი.

„მეცნიერება და ტეხნიკა"

გამოვიდა და დღეს, 15 ოქტომბერს, ურიგდება „კომუნისტი"-ს ყველა ხელისმომწერთ თბილისში. ხვალ, 16 ოქტომბერს, გაეგზავნება პროვინციის ხელისმომწერლებს

შინაარსი:

1. რკინისგზების ასი წლის თავის გამო—ვინისა.
2. ელექტროფიკაცია საბჭოთა კავშირში—კ. ბ—ძისა.
3. დროის გაზომვის თანამედროვე მეთოდები—ი. ბენაშვილისა
4. ქაღალდი და მისი წინაპრები—ს. ა—ნისა.
5. წყალის მიწოდება ქალაქისათვის—ინჟ. გ. კეშელავასი.
6. დედამიწის შინაგან სითბოს გამოყენება—ნ—ისა.
7. უდიდესი გამოგონებანი—ჩარლზ ჯიბსონისა.
8. აცრა ორსულობის წინააღმდეგ—კ. ვ—ხი.
9. ბრძოლა სიკვდილთან და მოხუცებულობასთან—პ. ფრეიბერგისა
10. საუბარი ქიმიურ მოვლენებზე—მ. ღლონტისა.
11. ოთხი ნაყოფით მშობიარობა.
12. საჭმელი ჰაერიდან. პროფესორ ბერტელოს აღმოჩენა.
13. ელექტრონის სინათლის გავლენა მცენარეულობაზე.
14. ფოტოგრაფიის ასი წლის იუბილე.
15. სამხედრო ტეხნიკა.
16. ელექტროფიკაცია ოჯახში—დ. გ—სა.
17. „შენანდოა"-ს დაღუპვა.
18. სამეცნიერო ფარანი—გ. შარაშიძისა.
19. ხიდი წყალ-ქვეშ.
20. მეცნიერები და ტეხნიკის ქრონიკა.

ნომერში მოთავსებულია 36 სურათი და შეიცავს 24 გვერდს

„ჩირაღდანი"

იუმორისტული განყოფილებით

„ეშმაკის მახე"

იბეჭდება და დაურიგდება „კომუნისტი"-ს ყველა ხელისმომწერლებს ოქტომბრის 23-ს.

ლოკარნოს კონფერენცია

მიღწეულია პრინციპიალური შეთანხმება გერმანიასა და მოკავშირეებს შორის ხალხთა ლიგის წესდების მე-16 მუხლის შესახებ

გერმანიის დელეგაციამ უკან წაიღო თავისი მოთხოვნილება მე-16 მუხლის გადასინჯვის შესახებ

პრინციპიალური შეთანხმება მე-16 მუხლის შესახებ.

ბერლინი, 13 ოქტ. ლოკარნოდან უკანასკნელად მიღებული ცნობების თანახმად, კონფერენციაზე მიღებულია პრინციპიალური შეთანხმება ერთა ლიგის წესდების მე-16-ე მუხლის შესახებ.

მაშინ, როცა ცალკე გაზეთები, მათ შორის „ბერლინერ ტაგებლატი", კიდევ ცდილობენ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს გერმანიის დელეგაციის მიერ წარდგენილი დებულებები მიღებული იქნა მხედველობაში, „ფოსიშე ცეიტუნგის" კორესპონდენტი იტყობინება დაწვრილებით ცნობებს საიდუმლოთ მომხდარ შეთანხმების შესახებ, საიდანაც სჩანს, რომ გერმანიის დელეგაციამ უარი სთქვა თავის მოთხოვნილებაზე მე-16-ე მუხლის გადასინჯვის შესახებ. ამის სამაგიეროთ, გერმანია დაკმაყოფილდა მოკავშირეების დაპირებით, რომ გერმანიას არ დაავალებენ მე-16-ე მუხლიდან გამომდინარე სამხედრო ზომებში მონაწილეობის მიღებას, სანამ მისი შეიარაღებული ძალების მდგომარეობა ისეთი იქნება, როგორიც არის ეხლა. გერმანიის მონაწილეობა ეკონომიურ ზომებში, მე-16-ე მუხლის თანახმად, დამოკიდებული იქნება მის ეკონომიურ მდგომარეობაზე, რომელიც გამოკვლეული იქნება მაშინ, როცა აუცილებელი იქნება ამ ზომების მიღება.

ამ შეთანხმების ჩამოყალიბება და აგრეთვე მისი გამოქვეყნების ფორმა კიდევ უნდა იქნეს განხილული.

ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს საკითხები, შეცდომით ჩათვლილი „მეორეხარისხოვანად", აგრეთვე ისეთები, რომელთა გადაჭრა სულ ახლო მომავალის საქმეა. ეს ეგრეთწოდებული „მეორეხარისხოვანი საკითხები", შეეხებიან ისეთ საგნებს, რომლებიც, გერმანიის საზოგადოებრივი აზრის თანახმად, მთავარ საკითხებს წარმოადგენენ; სახელდობრ კი ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმ პოლიტიკურ სარგებლიანობაზე, რომელიც მიეცემა გერმანიას საგარანტიო ხელშეკრულებებზე ხელისმომწერისათვის, კორესპოდენტის ეს სიტყვები სავსებით ახასიათებს იმ ვაჭრობას, რომელიც სწარმოებს ლოკარნოს კონფერენციაზე.

პოლონეთის პოზიცია

პარიზი, 13 ოქტ. პოლონეთის სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, პოლონეთი, ლოკარნოს კონფერენციაზე არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერს მხარს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს.

„ფორვერტს"-ის წერილი

ბერლინი, 13 ოქტ. ლოკარნოდან ბერლინში ჩამოვიდა გერმანიის დელეგაციის წევრი სტატს-სეკრეტარი კემპნერი, რომელიც მოხსენებას გაუკეთებს ჰინდენბურგს და მთავრობას კონფერენციის მსვლელობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერტს"-ი აღნიშნავს „მოლაპარაკების სავსებით დამაკმაყოფილებელ შედეგებს" და გზადაგზა აშკარავებს გერმანიის დელეგაციის მანევრებს. სხვათა შორის გაზეთი აშკარად აცხადებს, რომ თუმცა გერმანია დათმობაზე წავიდა, მაგრამ მას სამაგიეროთ არაფერი არ მიუღია მოკავშირეებისაგან, რადგან ერთად-ერთი დათმობა, რომელზედაც დღემდე დაჰყვნენ მოკავშირეები, სახელდობრ, კელნის ზონის განთავისუფლების დაპირება, ჯერ კიდევ ლოკარნოს კონფერენციამდე თვით მოკავშირეებისთვისაც არ იყო სადავო.

„როგორც სჩანს, დასძენს „ფორვერტს"-ი, მხარეები ადგანან სწორ გზას ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის წესის შემუშავებაში ანუ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, ლოკარნოში ამჟამად იგონებენ ხერხს, რომლის მიზანია გერმანიის საზოგადოებრივი აზრის დამშვიდება შეთანხმების დადების წინ".

საპროტესტო გაფიცვა პარიზში

დასჭრეს ამხ. დორიო

პარიზი, 13 ოქტ. 12 ოქტომბერს პარიზში ბევრ ადგილას მოხდა შეტაკება პოლიციასა და მაროკოს და სირიის ომების საწინააღმდეგო საპროტესტო გაფიცვის მონაწილეებს შორის.

ჰავასის სააგენტოს ცნობით, საამშენებლო დარგის გაფიცული მუშები და ტაქსი-მოტორების შოფერები შეუდგნენ მუშაობას, რასაც მოჰყვა მუშაობის განახლება ავტობუსებზე და ტრამვაიზე, რომლებიც დღემდი ნორმალურად მუშაობდნენ, რადგან გაფიცულების მაგიერ მუშაობდნენ მოხალისე—შტრეიკბრეხერები.

მძიმეთ დაჭრილია კომუნისტი დეპუტატი დორიო. დორიო გადაზიდეს საავადმყოფოში, საიდანაც მიუხედავად კომუნისტ დეპუტატების კაშენის, ვაიან-კუტიურიეს პროტესტებისა, გადაიყვანეს სანტეს ციხეში.

ინციდენტი რუმინეთის საზღვარზე

ოდესა, 14 ოქტ. 11 ოქტომბერს, დილის 8 ნახ. დნესტრის მახლობელ სოფელში კარაგაშში, რუმინეთის მხრიდან სროლა აუტეხეს გუშაგს—წითელარმიელ ილიუშინს რუმინელებმა სამჯერ ესროლეს გუშაგს.

სანაპირო პუნქტმა დაუყოვნებლივ შეადგინა აქტი ამის შესახებ. საბჭოთა დელეგაციამ რუმინეთ-საბჭოთა შერეულ კომისიაში დაუყოვნებლივ აცნობა ამის შესახებ რუმინეთის დელეგაციას და მოითხოვა ამ შემთხვევის სასწრაფოდ გამოძიება.

ჯონსონ ხიქსი „მოსკოვის საშიშროებაზე"

ლონდონი, 13 ოქტ. გრინვიჩში წარმოთქმულ სიტყვაში ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ხიქსმა განაცხადა, რომ მე ადრევე ვუთითებდი ინგლისისა და მოსკოვის კომუნისტების ერთმანეთთან კავშირზე. „სირცხვილია, სთქვა ხიქსმა, რომ ინგლისელები თავს ასულელებინებდენ უცხო სახელმწიფოს, რომლის ერთად ერთი მიზანია დიდი ბრიტანეთის განადგურება. მოსკოვიდან უშიშნებენ ინგლისს; იციან, რომ ინგლისი იცავს ქვეყნის თავისუფლებას. მოსკოვში იციან, რომ თუ მოსპეს ინგლისის კონსტიტუცია, შემდეგ მთელი ქვეყანა მოსკოვის მოღვაწეების ხელში ჩავარდება".

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საჩუქარი რუს მუშებს ჩინელ მუშებისაგან

მოსკოვი, 13 ოქტომბ. კანტონის ფეიქრებმა გამოუგზავნეს საჩუქრად საბჭოთა კავშირის ფეიქართა კავშირის ცეკას ლენინის სურათი, აბრეშუმით მოქარგული კანტონელ ფეიქრების მიერ. სურათზე არის შემდეგი წარწერა ჩინურად და რუსულად: „ჩვენი ბელადის საფლავის წინაშე კიდევ უფრო შევამჭიდროვოთ რიგები ბრძოლისათვის ჩაგრულ ხალხების და მშრომელ მასების განთავისუფლებლად. რუს მუშებს კანტონის აბრეშუმის სართავ ფაბრიკების მუშათა კავშირისაგან".

მედსანშრომის ცეკას მიმართვა

მოსკოვი. 14 ოქტ. მედსანშრომის ცეკამ დაგზავნა ადგილებზე მიმართვა საუბნო ექიმთა სრულიად საკავშირო ყრილობის შესახებ, რომელიც მოწვეული იქნება ექვს დეკემბერს.

მიუთითებს რა ყრილობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, მედსანშრომის კავშირის ცეკა წინადადებას აძლევს ყველა საგუბერნიო და საოლქო განყოფილებებს და საექიმო სექციებს დაიწყონ ფართო კამპანია ყრილობის მოწვევისათვის.

რუსეთის ცაკის მეორე სესია

მოსკოვი, 14 ოქტ. 13 ოქტომბერს გაიხსნა სრულიად რუსეთის ცაკის მეორე სესია.

დღის წესრიგის პირველი საკითხის შესახებ (დებულება ქალაქის საბჭოს შესახებ) მოხსენებას აკეთებს ამხ. კისელიოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ საკითხს აქვს უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობისათვის, ვინაიდან მშრომელთა ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში ხელს უწყობს სამეურნეო აღორძინებას და უმზადებს სამეურნეო ბაზას ქალაქის საბჭოს მოღვაწეობისათვის.

ახალი დებულება ქმნის შესაფერ პირობებს ქალაქის მცხოვრებთა ჩასაბმელად საბჭოთა მშენებლობაში. ამ დებულების თანახმად ქალაქის საბჭოში ეყოფა ყველა ქალაქებში და მუშათა ახალშენებში იმისდამიუხედავათ, თუ რამდენია იქ მცხოვრები. იმ მიზნით, რათა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში ჩაბმული იქნან მშრომელთა ფართო მასები და აგრეთვე იმისათვის, რათა საბჭოების საშუალებით დამუშავებული იქნას საბჭოთა კავშირის წინაშე დასმული ყველა საკითხები, ახალ დებულებაში აღნიშნულია, რომ ქალაქის საბჭოების სხდომები უნდა იმართებოდეს იმ ადგილებში, სადაც ყველაზე მეტი მშრომელი თავმოყრილი.

ქალაქის საბჭოებს ენიჭებათ იურიდიული პიროვნების და სათანადო სამეურნეო უფლებები: ქალაქის ბიუჯეტის—შედგენის, განხილვის დამტკიცების და ცხოვრებაში გატარების უფლებები, სესხის აღების უფლება არა მარტო საბჭოთა კავშირის ფარგლებში, არამედ საზღვარგარეთაც. ფინანსიურ და ეკონომიურ დარგში ქალაქის საბჭოებს ენიჭებათ უფლება—მოაწყონ საკუთარი საკრედიტო და გამსესხებელი დაწესებულებანი, ქალაქის საბჭო არის მთელი თავისი კომუნალური მეურნეობის გამგე და მას საშუალება აქვს გავლენა მოახდინოს ქალაქის მთელ სამეურნეო ცხოვრებაზე.

თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე ქალაქის საბჭოების ადმინისტრატიულ უფლებებს, ნათელი გახდება, რომ ახალი დებულება დღევანდელ პირობებში ყოველ მხრივ ხელს უწყობს ქალაქის საბჭოების მუშაობის გაცხოველებას.

კისელევის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საპრონოვმა, მუხინმა, მოროზოვმა, ლავროვმა, კურცმა, ერასოვმა, შინაგან საქმეთა სახ. კომისარმა ბელობოროდოვმა და სხვებმა.

კალინინის წინადადებით, სესია ადგენს მიღებული იქნას საფუძვლად დებულება ქალაქის საბჭოების შესახებ. ყოველგვარი შესწორებები განხილული იქნება, რის შემდეგ საბოლოო სიტყვა მიეცემა მომხსენებელს და დებულება მიღებული იქნება საბოლოო რედაქციით.

მომგებიან სესხების ტირაჟი

მოსკოვი, 14 ოქტ. საგლეხო მომგებიანი სესხის მეხუთე ტირაჟი დანიშნულია ამ წლის 1 დეკემბრისათვის სვერდლოვსკში.

იანვრის პირველ რიცხვებში შესდგება პირველ ოქროს მომგებიან სესხის მორიგი—მეშვიდე ტირაჟი.

ამავე დროს მოხდება მეორე სახელმწიფო მომგებიან სესხის დაფარვის პირველი ტირაჟი.

ამხ. სმირნოვი საგლეხო სესხის შესახებ

მოსკოვი. 14 ოქტ. ა. წ. 1 ნოემბერს გამოშვებული იქნება მეორე საგლეხო მომგებიანი სესხი. აღნიშნულ სესხის შესახებ მიწადმოქმედების სახალხო კომისარმა სმირნოვმა განაცხადა შემდეგი:

„შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ პირველმა საგლეხო სესხმა და მისმა ხელმეორედ გამოშვებამ საგრძნობლად გაუადვილა გლეხობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრება. ობლიგაციებმა მოიპოვეს ნდობა გლეხობის ფართო მასებში.

ნიადაგი მეორე საგლეხო სესხის გამოშვებისათვის გლეხებს შორის კარგად არის მომზადებული და მისი განაწილება სავსებით უზრუნველყოფილია.

მეორე საგლეხო მომგებიან სესხის ობლიგაციები წარმოადგენენ გლეხობისათვის ისეთ ხელსაყრელ საშუალებას, რომლის უკეთესს ის სხვაგან ვერსად ვერ იპოვნის. ამიტომ გლეხობა უსათუოდ სავსებით გამოიყენებს იმ სარგებლობას, რომელსაც აძლევს მას მეორე მომგებიანი სესხი.

საქონლის მიწოდების გეგმა

მოსკოვი, 14 ოქტ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა სამრეწველო საქონლის მიწოდების გეგმა 1925—26 წლისათვის. გეგმაში გათვალისწინებულია სამრეწველო საქონლის ხუთი ჯგუფი: ბამბეული, ტყავეულობა, ლითონის ნაწარმოები, „მახორკა" და სასოფლო-სამეურნეო მანქანები. შაქარი, ნახევრად თეთრი მინები და კალოშები, შეტანილი პირველ მეოთხედის გეგმაში, გამორიცხულია სავალდებულო მიწოდების გეგმიდან შემდეგ მეოთხედებში შემდეგი მოსაზრებით: პირველი მეოთხედის დამთავრების შემდეგ აღარ იქნება საგრძნობი შაქრის სიმცირე, კალოშები და ნახევრად თეთრი მინა წარმოადგენენ სეზონურ საქონელს.

სულ გეგმაში შეტანილ რაიონებში (უკრაინა, ჩრდილო-კავკასია, ვოლგის მხარე, ურალი, ციმბირი, შუა-აზია, ამიერ-კავკასია, ცენტრალური—მიწადმოქმედების რაიონი) განზრახულია გაიგზავნოს 21.543 ვაგონი ბამბის ქსოვილი, ტყავეულობა—98 მილ. მანეთის „მახორკა" 2.713 ვაგონი 21 მილ. მანეთის, სასოფლო-სამეურნეო მანქანები—100 მილ. მანეთის, სულ 1.032.000.000 მანეთის.

დანარჩენ რაიონებში განზრახულია შეტანილი იქნეს 246 მილიონი მანეთის საქონელი.

სერიოზული გაფრთხილება

ბურჟუაზიას, რომელიც ახალი მსოფლიო ომისათვის ემზადება, და მის დამხმარე „სოციალისტურ" პარტიებს, არა ერთი და ორი მრისხანე გაფრთხილება მიუღიათ მუშათა კლასისაგან, რომ უკანასკნელი სისხლის ღვრას არ დაუშვებს და კაცობრიობის ხოცვა-ჟლეტის მოციქულებს საკადრის პასუხს გასცემს.

1914 წლის შემდეგ საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონური შეგნება და კლასობრივი სოლიდარობა იმდენად გაიზარდა, რომ დღეს ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატიისათვის მეტად ძნელი, თითქმის შეუძლებელი ხდება მშრომელთა მოტყუილება და მათი ამხედრება მოძმე ხალხების წინააღმდეგ, მათი გამოყენება „ზარბაზნის ხორცად".

სულ უკანასკნელი დროის ფაქტებიც გვიჩვენებენ, რომ მსოფლიო მუშათა კლასი სერიოზულად ემზადება მომავალი ომის ასაცილებლად. გავიხსენოთ თუ გინდ ტრედ-იუნიონების ყრილობის ღირსშესანიშნავი რეზოლიუცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რეზოლიუცია, რომელმაც თმები ყალყზე დაუყენა ბალდუინებს და ჩემბერლენებს. მოვიგონოთ ამ ბოლო დროს მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენისაკენ გადადგმული ნაბიჯები, რის მთავარ მიზანს აგრეთვე ომის საფრთხესთან ბრძოლა შეადგენს.

არა ნაკლებ საყურადღებოა ის ამბებიც რომლებიც ეხლა დატრიალდენ საფრანგეთში. ჩვენ ვლაპარაკობთ საპროტესტო გაფიცვაზე მაროკოს ომის წინააღმდეგ.

თვით ამ ომის ისტორია მრავალმხრივაა საგულისხმო. საფრანგეთის იმპერიალისტებს იმედი ჰქონდათ რომ თავისუფლებისათვის მებრძოლ რიფებს რაღაც ერთი-ორი კვირის განმავლობაში სულ ადვილად მოუგრეხდენ კისერს. თითქოს უდავო საბუთიც ეჭირათ ხელში ამისთვის. აბა როგორ გაუმკლავდებოდნენ ორმოც მილიონიან ხალხის უძლიერეს, საუკეთესო საომარი ტეხნიკით აღჭურვილ არმიას მილიონ ნახევრიანი, ყოველმხრივ მოუწყობელი რიფების მცირე რიცხოვანი რაზმები! მაგრამ დახეთ უბედურებას! რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდება ეს უთანასწორო ბრძოლა. მან საფრანგეთის მხრით შეიწირა დიდძალი „ცოცხალი მასალა", ფული და სხვ. ამ ხნის განმავლობაში ფრანგებმა არა ერთხელ იგემეს სამარცხვინო დამარცხება სანახევროდ უიარაღო რიფებისაგან.

სად მარხია ასეთი პირველ შეხედვით ფანტასტიური მოვლენის საიდუმლოება?—ცხადია, რომ საფრანგეთის მშრომელი მოსახლეობა მხარს არ უჭერს „თავის" „სახელმწიფო მოღვაწეების" ავანტიურას. ცხადია რომ თვით საფრანგეთის მომქმედი ჯარი გულგრილად ეკიდება საქმეს. არა ერთხელ ყოფილა გამოქვეყნებული ცნობები იმ ჯარში შემჩნეულ დაშლის პროცესის შესახებ. მაროკოს ომმა გამოააშკარავა საფრანგეთის იმპერიალიზმის შინაგანი უძლურება, მისი უნიადაგობა ხალხში. ეს მეტად საგულისხმო გაკვეთილია.

საფრანგეთის მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკით მუშათა კლასის საყოველთაო უკმაყოფილებამ და აღშფოთებამ ჰპოვა გამოხატულება 12 ოქტომბრის საპროტესტო გაფიცვებში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ საფრანგეთში ამჟამად არსებობს მოქმედების ცენტრალური კომიტეტი, არჩეული მუშების და გლეხების ყრილობებზე. ეს სრულებით ახალი მოვლენაა, რომელიც ამტკიცებს მუშათა კლასის რევოლიუციონურ შეგნების ზრდას. კომიტეტი, რომელიც აერთიანებს ფრანგ მუშებს, მიზნად ისახავს მათ დარაზმვას ომის წინააღმდეგ. ამ კამპანიას, ცხადია, მეთაურობს საფრანგეთის კომპარტია. და აი, ჩვენი მოძმე პარტიის და მოქმედების კომიტეტის მიერ გამოცხადებულ და მოწყობილ იქნა 24 საათიანი გრანდიოზული გაფიცვები მაროკოს და სირიის ომების, საერთოდ იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

თუ როგორ დააფრთხო საფრანგეთის ხელისუფლება ამ გაფიცვამ, ამას ნათელყოფს ის არაჩვეულებრივი ზომები, რომლებიც მან მიიღო გაფიცვების ჩასაშლელად. მთავრობამ მობილიზაცია უყო პოლიციას და ჯარს, ნავთსადგურებიდან გამოძახებულ იქნენ საზღვაო ბრიგადები. ჯარმა და პოლიციამ დაიკავეს როგორც პარიზში, ისე პროვინციის ქალაქებში ცენტრალური დაწესებულებანი. დახურეს კომუნისტური გაზეთები. დააპატიმრეს გაფიცვის ორგანიზატორები—კომპარტიის მეთაურები და რევოლიუციონერი მუშები.

მიუხედავად ასეთი მკაცრი ზომებისა, გაფიცვა მაინც საერთოდ ბრწყინვალედ ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო მუშა-მოსამსახურეთა 25—60 პროცენტმა. ამის გამო შეჩერებულ იქნა მრავალ წარმოება-დაწესებულების მუშაობა.

აქ საყურადღებოა, რომ ამ საპროტესტო გაფიცვის დროს არსად სჩანდენ „სოციალისტები", ყოველ შემთხვევაში ისინი იყვნენ არა ომის წინააღმდეგ მებრძოლთა ბანაკში, კიდევ მეტი: თავისი სიჩუმით, თავის მიმდევარ მასსის შეკავებით ისინი ზურგს უმაგრებდენ მთავრობას. ეს მათი მოღალატეობა ახალი ამბავი არ არის. ისინი მაროკოს ავანტიურის დაწყებიდან მხარს უჭერდენ იმპერიალისტებს, შემდეგ, მასსებიდან გარიყვის შიშით, თითქო ოპოზიციაში ჩაუდგენ მას. მაგრამ ეს იყო მუშებისათვის თვალის ასახვევი თამაშობა ოპოზიციით, ნამდვილათ კი ისინი დღემდე განაგრძობენ ბურჟუაზიის დავალების პირნათლად ასრულებას.

მიუხედავად „სოციალისტების" გამცემლობისა, საფრანგეთის მუშათა კლასმა 12 ოქტომბრის გაფიცვით ბურჟუაზიას მისცა ახალი გაფრთხილება, გამოააშკარავა, რომ ის ნამდვილათ ირაზმება ომის წინააღმდეგ. მანვე ცხადჰყო კომპარტიის იდეურ და ორგანიზაციულ გავლენის სწრაფი ზრდა მუშათა კლასზე. უეჭველია, რომ კომპარტია და მოქმედების კომიტეტი შემდეგ უფრო გააძლიერებენ მუშაობას ამ მიმართულებით.

ამასთან ხაზგასასმელია, რომ დღეს უკვე შეუძლებელია აღმოსავლეთის ხალხების ძველებურად დამონება. ისინი გამოფხიზლდენ და თავგანწირულად იბრძვიან ევროპიელ „ცივილიზატორების" უღლის დასამსხვრევად. ამას ადასტურებენ მაროკოს ომი, ჩინეთის ამბები და მრავალი სხვა ფაქტები.

ევროპის პროლეტარიატის და აღმოსავლეთის ხალხების გაერთიანებული ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ უტყუარი საწინდარია მათი გამარჯვების.

რა უნდა ახსოვდეთ სოფლად მომუშავე პარტამხანაგებს

პარტიის მე-14 კონფერენციამ გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებებისა სოფლად მუშაობის შესახებ.

რას გვავალებს ჩვენ ეს დადგენილებები?,—იმას, რომ დავამყაროთ მჭიდრო კავშირი სოფლის გლეხკაცობასთან,—იმას, რომ ჩვენი მეურნეობის ზრდა-განვითარება, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურად განმტკიცება მოითხოვს აქტიურად ჩაბმულ იქნას გლეხობა სოციალისტურ აღმშენებლობაში,—იმას, რომ გლეხობამ იცოდეს, თუ რა ზომებს ღებულობს პარტია და ხელისუფლება მისი ინტერესების დასაცავად.

დღეს ჩვენ მთელი მსოფლიოს წინაშე ვიჭერთ გამოცდას: შეგვიძლია თუ არა ავაშენოთ სოციალისტური სახელმწიფო. მაგრამ ამ გამოცდას დავიჭერთ იმ შემთხვევაში, თუ დავაკმაყოფილებთ გლეხების მოთხოვნილებებს, თუ ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა დაარწმუნებს გლეხობას იმაში, რომ მისი ინტერესები და ახალი ქვეყნის მშენებელთა ინტერესები ერთ ხაზზე არიან.

როდის შევძლებთ ამ ამოცანის სასურველად გადაჭრას? მაშინ, როდესაც საბოლოოდ შევითვისებთ პარტმუშაობის ახალ მეთოდებს. პარტიის უკანასკნელ კონფერენციის შედეგებზე გაკეთებულ მოხსენების დროს ამის შესახებ ამხ. სტალინმა სთქვა: „ახლა ჩვენ გვჭირდება არა მაქსიმალური იძულება, არამედ მაქსიმალური მოქნილობა, როგორც პოლიტიკაში, ისე ორგანიზაციაში... კომუნისტებმა სოფლად ადმინისტრატიული მართვა-გამგეობის მახინჯ ფორმებზე უარი უნდა სთქვან. არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მარტო განკარგულებებით გლეხობის მიმართ. საჭიროა შევეჩვიოთ გლეხების თანდათანობით აღზრდას. იმისათვის არ უნდა დავზოგოთ არც დრო და არც ძალღონე"-ო. აი, ამხ. სტალინის ეს სიტყვები კარგად უნდა დაიხსოვნონ სოფლად მომუშავე პარტამხანაგებმა.

როგორც ვიცით, სოფლის პარტუჯრედების წინაშე ისეთივე ამოცანები სდგანან, როგორც ქალაქის საწარმოო პარტუჯრედების წინაშე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სოფლად პარტმუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის აღორძინებისაკენ. როგორც ამ მხრივ სინამდვილე ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც კორესპონდენტები სხვადასხვა სოფლიდან გვაუწყებენ, რომ ამა და ამ მაზრაში, ან და ამა და ამ სოფელში „უჯრედს არა აქვს კავშირი გლეხობასთან", რომ „არ ეწყობა მათი ღია სხდომები უპარტიოთა თანადასწრებით, სადაც უნდა ირჩეოდეს ყველას მტკივნეული საკითხები, რომლებიც აწუხებენ გლეხობას", ანდა „უჯრედის მიერ ძლიერ ცოტაა გაკეთებული სოფლის მეურნეობის განმტკიცების საქმეში" და სხვა. სხვათა შორის ყოველივე ეს გარკვევით აღნიშნა, აგრეთვე, ამასწინად დამთავრებულმა საქართველოს კ. პ. სამაზრო და საოლქო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირმაც.

რას გვეუბნება ჩვენ ეს ფაქტები? იმას, რომ ზოგიერთი სოფლის კომუნისტებს ჯერ კიდევ ვერ აუღიათ სათანადო ალღო პარტიის ახალკურსისათვის, პარტიის მიერ გადმოსროლილ ლოზუნგისთვის „პირი სოფლისკენ", რომელიც მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყრათ გლეხობას და მის მეურნეობის აღორძინების საქმეს, რითაც შესაძლებელი უნდა გახდეს პარტიის ავტორიტეტის და ნდობის მოპოება მშრომელ გლეხობის ფართო მასებში.

სოფლის გლეხკაცობა პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას ხომ იმისდამიხედვით იფასებს, თუ რა გააკეთა სოფლის კომუნისტებმა გლეხური მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. რა მართებთ ამ შემთხვევაში სოფლად მომუშავე პარტამხანაგებს? მათ კარგად უნდა ახსოვდეთ სამი რამ: პირველი ის, რომ მეტი ყურადღება მიაქციონ, თუ როგორ აშენებს გლეხობა თავის მეურნეობას, მას ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ სოფლის კომუნისტებიც, მეორე—თვით გლეხი კომუნისტები თავიანთი მეურნეობის საუკეთესოდ მოწყობით უნდა გახდენ მაგალითის მაჩვენებელი დანარჩენი გლეხობისათვის, მესამეც—უჯრედები და სხდომებზე, რომლებსაც უნდა დაესწრონ უპარტიონიც, ფართო ადგილი უნდა დაეთმოს სოფლის მეურნეობის საკითხებს; ამ გზით სოფლის უჯრედები სავსებით შეასრულებენ სადღეისო ამოცანებს.

გარდა ამისა სოფლად გაგზავნილ და გასაგზავნ ამხანაგებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოეპაროს მხედველობიდან ის გარემოებაც, რომ მათ უხდებათ, ანდა მოუხდებათ მეტად რთულ, ძნელ სამუშაოს შესრულება, რომელიც საჭიროებს დაკვირვებას, ცოდნას და, რაც უმთავრესია, მოთმინებას და იმის შეგნებას, რომ დღეს სრულიად გამოუსადეგარია, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, მუშაობის ის მეთოდები, რომელსაც მივმართავდით ეგრედწოდებულ სამხედრო კომუნიზმის ხანაში.

ერთი სიტყვით, თუ სოფლად მომუშავე პარტამხანაგებმა სწორად არ შეითვისეს პარტიის ახალი კურსი და ლოზუნგის „პირი სოფლისაკენ" დედა აზრი, რასაკვირველია, ჩვენ ვერ წავალთ წინ და ვერ ჩაუყრით მტკიცე საფუძველს საბჭოთა აღმშენებლობას სოფლად.

დღეს სოფელი დიდ მოთხოვნილებებს უყენებს პარტიას. პარტიამ კი იმას უნდა უპასუხოს და დააკმაყოფილოს იგი. ამიტომაა, რომ ის სოფლად მომუშავე პარტიული ამხანაგებს კიდეც აკისრებს ფრიად მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ამოცანებს, რომელთა პრაქტიკულად გადაჭრა უზრუნველჰყოფს ჩვენს საბოლოო გამარჯვებას.

ჩვენ გვწამს, რომ ეს ამხანაგები პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ურყევლად გაატარებენ ცხოვრებაში მე-14 პარტიული კონფერენციის დადგენილებებს.

შ. ა—ძე.

საბჭოთა გაზეთებიდან

ღარიბ გლეხების დასახმარებლად

ახალი ეკონომიური პოლიტიკურ პირობებში ხდება გლეხობის ნივთიერი დანაწილება (დიფერენციაცია): ერთი მხრივ იზრდება „კულაკური" მეურნეობა, მეორე მხრივ სწარმოებს ღარიბ გლეხობის პროლეტარიზაცია. ჩვენს მიზანს შეადგენს ამ პროცესის მოწესრიგება და სოფლის განვითარების წარმართვა სოციალისტური მშენებლობის კალაპოტით. საშუალო გლეხობასთან სწორი ურთიერთობის დამყარებასთან ერთად, ჩვენ გვერდს ვერ აუვლით სოფლის ღატაკი ნაწილის ორგანიზაციას, მისი სამეურნეო აღორძინებისთვის ხელის შეწყობას, ვინაიდან ღარიბი გლეხობა ყველაზე უფრო ახლო სდგას მუშათა კლასთან და დაინტერესებულია სოციალისტური მშენებლობით.

გაზ. „პრავდა" ეხება ღარიბ გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხს:

> „იმდენათ, რამდენათ ვითარდებოდა და ვითარდება დიფერენციაციის პროცესი, ჩვენი პარტია,—ზომათა მთელ სისტემის გამომუშავებასა და გატარებასთან ერთად, რომელთა ამოცანას შეადგენს შუათან მეურნეობის განმტკიცება და მისი ჩაბმა კოოპერაციის საშუალებით სოციალისტურ სისტემაში,—იღებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა ამოცანაა ღარიბ გლეხობის ორგანიზაცია და მისთვის დახმარების აღმოჩენა თავის მეურნეობის ასაღორძინებლად. ამნაირად, ჩვენს პოლიტიკას შეადგენს არა წინააღმდეგობათა გამწვავება სოფლად, არა კლასობრივი ბრძოლის გაჩაღება, არამედ დიფერენციაციის დაძლევა ღარიბ მეურნეობათა აღდგენის გზით, ამ მეურნეობათა, ისე როგორც საშუალო მეურნეობათა, კოოპერატიული გაერთიანება და მათი ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში".

ამ მხრივ პარტიის XIII ყრილობამ, ცეკას გ. წ. ოქტომბრის პლენუმმა, ა. წ. აპრილის პლენუმმა და XIV პარტკონფერენციამ მიიღეს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი და კონკრეტული ღონისძიებანი ღარიბ გლეხობის შესაკავშირებლად და მისი მეურნეობის ასაღორძინებლად, როგორც მაგ. დახმარების გაწევა მიწადმოწყობის საქმეში, „კოოპერაციაში მონაწილეობის ფაქტიური შესაძლებლობის" უზრუნველყოფა, სხვადასხვა სამეურნეო გაერთიანებათა და ამხანაგობათა მოწყობა, ურთიერთ დახმარების კომიტეტების მუშაობის გაძლიერება და სხ. ყველაფერი ეს მიზნად ისახავს წინასწარი პირობების შექმნას ღარიბ გლეხობის ნებაყოფლობითი გადასვლისათვის კოლექტიურ სასოფლო მეურნეობაზე.

დღეს საწარმოო ძალების გაშლა სოფლად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით კვლავ წამოიჭრა ღარიბ გლეხობის ორგანიზაციის საკითხი. ცეკას უკანასკნელმა პლენუმმა კიდეც გამოიმუშავა, პარტიის წინანდელი დადგენილებათა საფუძველზე, დამატებითი ღონისძიებანი ამ დარგში, სოფლად ეხლა შექმნილ სამეურნეო პირობებთან შეფარდებით.

მუშების ჯანმრთელობის გასინჯვა

რევოლიუციამდე შემოღებული იყო მუშების ჯანმრთელობის წინასწარი გასინჯვა. ეს გასინჯვა მაშინ ემსახურებოდა მხოლოდ კაპიტალისტების ინტერესებს. ისინი სამუშაოზე არ ღებულობდენ ამა თუ იმ მხრივ ფიზიკურად სუსტ მუშას, რომ მის დაავადებას არ გამოეწვია მწარმოებელთა ხარჯების გაზრდა, და ეძებდენ მაგარი აგებულობის, სრულებით ჯანსაღ პირებს, რომ შესძლებოდათ მათი მაქსიმალური ექსპლოატაცია. მუშების წინასწარი სამედიცინო შემოწმება სწორედ ამისათვის იყო დაწესებული.

საჭიროა თუ არა დღეს მუშების წინასწარი შემოწმება და როგორი უნდა იყოს მისი ამოცანა? ასე აყენებს საკითხს ამხ. ნ. სემაშკო „რაბოჩაია გაზეტა"-ში და უპასუხებს:

> „ასეთი შემოწმება საჭიროა მუშების და სამეურნეო ორგანოების ინტერესებისათვის. პირველ ყოვლისა ცალკე პირების მიერ პროფესიების სწორი შერჩევის მიზნით... სამედიცინო გასინჯვის უმთავრესი ამოცანაა—დაეხმაროს ყველ მუშას—ამოირჩიოს ისეთი პროფესია, რომელიც შეეფერება მის ძალღონეს და ნიჭს... ექიმს შეუძლია განუმარტოს მუშ-ს, რომ ესა თუ ის პროფესია არ შეეფერება მას, რომ ის განსაზღვრულ დროის განმავლობაში დაავადდება, საბოლოოდ დაავადდება; მას შეუძლია ურჩიოს, რომელი პროფესია უფრო მისაღებია ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის და შრომის უნარის დაკარგვის ასაცილებლად.
>
> სამედიცინო შემოწმებას აქვს დიდი მნიშვნელობა სამეურნეო ორგანოებისათვისაც. იგი დაეხმარება ამა თუ იმ სამუშაოსათვის გამოსადეგ პირების გამოძებნაში და ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების აწევას".

ამგვარად, მუშების გასინჯვა ჩვენს დროში მიზნად ისახავს მათ განაწილებას შესაფერ სამუშაოებზე, რომ ერთი მხრით სავსებით დაცულ იქნას მათი ჯანმრთელობა, მეორე მხრით—თვითეული მათგანი მოხვდეს იმ დარგში, სადაც იგი სახელმწიფოს უფრო გამოადგება. ოღონდ საჭიროა ამ შემოწმების საქმის რიგიანად დაყენება, რომ რაიმე შეცდომა არ იქნეს დაშვებული.

თეთრგვარდიელთა პრესა

წითელი საფრთხე ინგლისში

როგორც მკითხველებმა იციან, პროფკავშირების ყრილობამ სკარბოროში, სადაც მემარცხენეებმა გაიმარჯვეს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს ბურჟუაზიაზე. დაშფოთებულია ყრილობის ასეთი შედეგებით მემარჯვენე კადეტების გაზეთი „რულ“-ი, რომლის ლონდონელი კორესპონდენტი სწერს შემდეგს:

„არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რომელიც მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ყველა საღად მოაზროვნე ინგლისელებზე, საშინელება ის, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევს მემარჯვენე ბელადებმა მემარცხენეებს. მხოლოთ კოლონიების ყოფილმა მინისტრმა ტომასმა სცადა გამოსულიყო მათ წინააღმდეგ, მაგრამ ამ გამოსვლამ არავითარი გავლენა არ იქონია. ყრილობას თუმცა დაესწრო მაკდონალდი, მაგრამ მან პირში წყალი დაიგუბა და გაჩუმება არჩია“.

როგორი იქნება ყრილობის გავლენა საქმეების მიმდინარეობაზე ინგლისში კორესპონდენტის აზრით:

„სკარბოროს ყრილობა ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის ბოლშევიკური პრინციპების და მეთოდების ფართოდ გასავრცელებლად, ვინაიდან მათ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევს. მოწოდება პატრიოტიზმისა და კეთილგონიერებისაკენ, რომელიც ისმის კონსერვატიული გაზეთებიდან, უკვე არავითარ გამოხმაურებას და თანაგრძნობას აღარ პოულობს მუშათა მასებში. მთავრობის პასიური დამოკიდებულება კომუნისტების გავლენის ზრდისადმი, იწვევს დიდ გულისწყრომას კონსერვატიული პარტიის წრეებში, რომლებიც მთავრობის ასეთ საქციელს ხსნიან მისი სისუსტითა და უილაჯობით“.

კორესპონდენტის სიტყვით მთავრობაც იძულებულია აღიაროს, რომ კომუნისტების გავლენა იზრდება ინგლისის მუშებში. მას მოჰყავს ერთი ადგილი ხაზინის კანცლერის (ფინანსთა მინისტრის) ჩერჩილის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა ქ. ბირმინგამში.

„მილიონი ამრჩევლები,—სთქვა მინისტრმა სიტყვა-სიტყვით,—რომლებიც თვითონ, ან მათი მამები, ეძებდენ ხსნას ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელობაში, მიემხრენ სოციალისტებს და ახლა ეს უბედურები წამდაუწუმ იმეორებენ კარლ მარქსის მოსაწყენ შემცდარ აზრებს“.

რასაკვირველია, ბ. ჩერჩილისთვისა, და „რულ“-ის რედაქციისთვის, უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ „ამრჩევლების“ ე. ი., ამ შემთხვევაში, მუშებს „გაემეორებიათ“ არა „კარლ მარქსის“, არამედ მაკდონალდის „აზრები“. მაგრამ საქმე ახლა ამაში არ არის. უფრო საინტერესოა ის, რომ თვით მთავრობის ისეთი წევრებიც კი, როგორც ჩერჩილია, ველარ მალავენ შიშს ხალთაში, ველარ მალავენ, რომ კომუნისტების და საზოგადოთ მემარცხენე ელემენტების გავლენა უკვე დიდია და ის თანდათან იზრდება ინგლისის პროლეტარიატში.

ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია

დელეგატები ბრიანსკში

ბრიანსკი, 14 ოქტ. ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციამ დაათვალიერა მანქანების სააღმშენებლო ქარხანა „პროფინტერნ“ ბეჟიცაში (ბრიანსკის მახლობლად). დელეგატებმა დაათვალიერეს ელექტრონის, ვაგონების სააღმშენებლო, სატრაქტორო და სხვა ცეხები.

მუშებთან საუბარში სტუმრები დაინტერესდენ მუშათა ყოფა-ცხოვრებით, სამუშაო ხელფასით, შრომის დაცვის პირობებით.

13 ოქტომბერს დელეგაცია გაემგზავრა კიევში.

საკავშირო საპლანერო შეჯიბრება

ჯილდოების დარიგება

ფეოდოსია, 14 ოქტ. 12 ოქტომბერს მიუსაჯეს ჯილდოები სრულიად საკავშირო საპლანერო შეჯიბრების მონაწილეთ.

ფრენის სიმაღლისათვის პირველი ჯილდო მიიღო გერმანელმა მფრინავმა ნერინგმა, რომელიც აფრინდა პლანერ „კონსულზე“ 435 მეტრის სიმაღლეზე; ფრენის ხანგრძლივობის მხრივ ახალი მსოფლიო რეკორდი აიღო გერმანელმა მფრინავმა შულცმა, რომელმაც პლანერ „მორიც“-ზე ჰაერში დაჰყო 12 საათი, 6 წუთი და 25 წამი.

შვეციის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

სტოკჰოლმი, 13 ოქტ. 12 ოქტომბერს შვეციიდან საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა ახალი მუშათა დელეგაცია.

პირდაპირი მიმოსვლა გერმანიასთან

ლენინგრადი, 13 ოქტ. ჩრდილო-დასავლეთის რკინის გზების უფროსის ცნობით გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ამ ახლო მომავალში განზრახულია პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის გახსნა გერმანიასთან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

გურულ გლეხის სასახლე

ოზურგეთი, 14 ოქტ. გლეხკომების სამაზრო თათბირზე აღმასკომთან ერთად დადგენილი იქნა აშენდეს ოზურგეთში „გურულ გლეხთა სასახლე“. შენობის ასაგებად გადასწყდა მოეწყოს ლატარია 80.000 ბილეთით. ბილეთის ფასი იქნება 25 კაპეიკი. ლატარიიდან შემოვა სულ 20.000 მანეთი. მოგება იქნება 186, სულ 3.000 მანეთი. ლატარიის გათამაშება განზრახულია 1926 წ. 1-ლ ოქტომბერს.

კონტრაბანდისტების შეპყრობა.

ოზურგეთი, 14 ოქტომ. სამაზრო მილიციამ შეიპყრო 3 კონტრაბანდისტი, რომლებმაც აჭარისტანის საზღვარზე გაძარცვის მიზნით მოჰკლეს თავისი ამხანაგი.

აჭარისტანი

მიწვევა ყრილობაზე.

ბათომი, 14 ოქტ. აჭარისტანის სახ. კომისართა საბჭო მიწვეულია თურქოლოგიურ ყრილობაზე ბაქოში.

ექიმები სოფლად.

ბათომი, 14 ოქტ. სოფლებში სიფილისით დაავადების გავრცელების გამო ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი ადიდებს ექიმთა კადრს. აღძრულია შუამდგომლობა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ექიმებს გაუდიდონ ჯამაგირები 80 მანეთიდან 90 მანეთამდე თვეში.

სესხი თხილის დასამზადებლად.

ბათომი, 14 ოქტ. აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მისცა თხილის დამზადებლებს სესხად—60.000 მან.

მანქანები „ზაკგოსტორგის“ სახელზე.

ბათომი, 14 ოქტ. გემ „ამალია“-თი სტამბოლიდან მოვიდა მანქანები წონით 4.825 კილო, „ზაკგოსტორგის“ სახელზე.

აჭარისტანის სავაჭრო სამმართველოს განყოფილება ართვინში.

ბათომი, 14 ოქტ. აჭარისტანის სავაჭრო სამმართველო ხსნის განყოფილებას ართვინში. პირველ ყოვლისა განყოფილება შემოიტანს ოსმალეთიდან ზეთისხილს, ყაკალს და ხილს და გაიტანს ნავთს და ფქვილს.

საბერხავი ქარხნის ამუშავება.

ხულო, 14 ოქტ. სოფელ ხინუსთოლის მახლობლად (ხულოს მაზრა) აჭარის წყლის ნაპირზე ოქტომბრის პირველ რიცხვებში ამუშავდა საბერხავი ქარხანა, მუშაობენ ადგილობრივი მცხოვრებლები. მთებიდან ხე-ტყის ჩამოსაზიდავად განზრახულია საჰაერო ბაგირის გზის გაყვანა.

სატყეო ტრესტის ქონების გადაცემა.

ახალციხე, 14 ოქტ. სახკომისართა საბჭოს მიერ დანიშნული კომისია შეუდგა ახალციხის სამაზრო აღმასკომის სატყეო ტრესტის ქონების შეფასებას და გადაცემას საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის განკარგულებაში.

აზერბეიჯანი

სატრაქტორო კურსები.

ბაქო, 14 ოქტ. აზერბეიჯანის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი ხსნის 2 თვიან სატრაქტორო კურსებს. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ამ კურსების ხარჯთაღრიცხვა 6.000 მანეთის რაოდენობით.

ნავთის შადრევანი.

ბაქო, 12 ოქტ. სურახანში დაიწყო მოქმედება შადრევანმა № 6,2 რომელიც იძლევა 5.000 ფუთი ნავთს დღე-ღამეში.

ხელახლა ამუშავებული შადრევანი № 55 იძლევა ყოველდღიურათ 12.000 ფუთ წმინდა ნავთს.

მებამბეების იუბილე.

ბაქო, 14 ოქტ. ოქტომბრის დამლევს გადახდილი იქნება მებამბე ტარატინოვის 40 წლის იუბილე და აგრონომ—მებამბის მედვედევის და სპეციალისტ-მებამბის ფიშერის 25 წლის იუბილე. საიუბილეო ზეიმზე მოწვეული არიან საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახ. კომისრები, მიწა-ტყის კავშირის ცენტრალური კომიტეტი, სამეცნიერო-ტეხნიკურ სექციის ცენტრალური ბიურო და სხვ.

საზამთრო სანატორიუმები.

ბაქო, 14 ოქტ. „აზნავთმა“ სოხუმის სანატორიუმებში წელს იჯარით 50 ადგილი ფილტვების ავადმყოფობით დაავადებულ სამთომადნო მუშებისათვის.

სომხეთი

ბამბის მოსავალი.

ერევანი, 14 ოქტ. ბამბის აკრეფა გაცილებით უფრო წარმატებით მიმდინარეობს, ვიდრე შარშან აკრეფა 15 დღით დაგვიანდა წვიმების გამო.

ყველაზე დიდ მოსავალს რესპუბლიკის მაშტაბით იძლევა ზანგიბასარის რაიონის სოფელი გიუგიუმბერტი—160 ფუთი დესეტინაზე; საშუალო მოსავალი უდრის 35 ფუთს დესეტინაზე.

საავტომობილო მიმოსვლა.

ერევანი, 14 ოქტ. მოეწყო რეგულიარული საავტომობილო მიმოსვლა აშტარაკსა, ვაგარშაპატსა და ერევანს შორის.

სანიმუშო სოფელი.

ერევანი, 14 ოქტ. დილიჟანის სამაზრო აღმასკომს განზრახული აქვს ერთ სოფლათ გააერთიანოს მაზრის 7 სოფელი და მოაწყოს სანიმუშო სოფელი, რომელიც დააკმაყოფილებს ყველა თანამედროვე მოთხოვნილებებს.

ქარიშხალი ერევანში.

ერევანი, 14 ოქტ. გუშინ ღამით ერევანში ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი, რომელმაც წყალდიდობა გამოიწვია. ბევრგან ქვედა სართულები სავსეა წყლით. განსაკუთრებით დაზარალდენ ქალაქის მეორე საავადმყოფოს და მედიკამენტების საწყობები. ცეცხლის მქრობელ რაზმმა დიდი დახმარება აღმოუჩინა დაზარალებულთ.

ა.-კ. საგეგმო კომისიაში

საკონტროლო ციფრების ბიურო.

იმ საკონტროლო ციფრების განხილვის მიზნით, რომლებიც აქვს ცენტრს ა.|კავკასიის სახალხო მეურნეობის შესახებ და საკუთარ საკონტროლო ციფრების გამოსამუშავებლად,—ა.|კ. საგეგმო კომისიამ დაადგინა: საკონიუნქტურო სამმართველოსთან და ეკონომიურ-სასტატისტიკო სექციასთან შექმნას სპეციალური ბიურო შემდეგი შემადგენლობით: 4 წარმომადგენელი ა.|კ. საგეგმო კომისიიდან (თითო, თითოეული სექციიდან) და თითო წარმომადგენელი: ა.-კ. სტატისტიკურ სამმართველოდან, ა.|კ. ფინსახკომიდან, ა.|კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატიდან და საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს რწმუნებულის სამმართველოდან.

გეგმის დამტკიცება.

ა.|კ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული გეგმა ა.|კავკასიაში საქონლის შემოტანისა, შემდეგი რაოდენობით: მარილი—1.500.000 ფუთი, წუმწუმა—110 მილიონი კოლოფი, კალოში—600.000 წყვილი, პურჭლეული 635.000 ფუთი და ქაღალდი—635.000 ფუთი.

ეკონომიური ცხოვრება

თბილისის ბაზრის მდგომარეობა

(საქონლისა და საფონდო ბირჟის მასალების მიხედვით)

თბილისის საქონლის ბაზრის მდგომარეობაში ოქტომბრის პირველ დღეებში შესამჩნევ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია შესამჩნევათ გაიზარდა მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე, მაგრამ საქონელი საკმაო რაოდენობით არ მოიპოება.

პურეულის ბაზარზე

მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია. ჩრდილოეთ-კავკასიის ხორბალზე ფასმა დაიკლო—1 მან. და 30—25 კაპიკამდე (ფუთი) და ხორბალი მეტი რაოდენობით შემოაქვთ. პირველი ხარისხის ფქვილი იყიდება—3 მან. და 20 კაპ. ფუთი (ფასობდა—3 მ. 50 კ.).

ადგილობრივი ბაზარი ფქვილით სავსებით დაკმაყოფილებულია, რადგან შემოტანა სწარმოებს რეგულიარულად და საკმაო რაოდენობით.

საკმაო რაოდენობითაა ბაზარზე სიმინდი, რომელსაც აფასებენ 1 მან. და 30 კაპ.—ფუთს; ფქვილი კი ფასობს—1 მან. და 80 კაპ. ბევრია აგრეთვე ქერი, რომელიც ბითუმად ფასობს—1 მან. და 20 კაპეიკად—ფუთი.

შაქარზე

მოთხოვნილება დიდია. საქონელი საკმაო რაოდენობით მოიპოვება და ამრიგად მოთხოვნილებაც ყოველთვის კმაყოფილდება.

ჩაის ბაზარზე

ერთ დროს ემჩნეოდა ნაკლებობა, მაგრამ დღეს საქონელი საკმაოთ მოიპოვება.

თხილი

უკვე დაიწყო თხილის დამზადების და გასაღების სეზონი. მრავალ დამზადებელთა გამოსვლის გამო, ბაზარზე ფასები მერყეობენ, მაგ. ეხლა ზაქათალის თხილი, წნორისწყალზე მოტანით ფასობს—4 მან. და 50 კაპ. ფუთი, თბილისში კი—5 მ. 75 კაპ. ფასები თანდათან იზრდება. უნდა აღინიშნოს, რომ დამზადების სეზონის დასაწყისში ფუთი ფასობდა 2 მანეთად. დასავლეთ საქართველოში ასეთივე ფასებია.

რკინეულობის ბაზარზე

კვლავ საქონლის ნაკლებობას აქვს ადგილი. ფასებს რკინეულის ნაწარმოებზე ემჩნევა მიდრეკილება ზრდისაკენ.

საზღვრითი ფასები ნედლ ტყავზე

ამიერ-კავკასიის შინა ვაჭრობის კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელმაც გაარჩია ნედლ ტყავზე საზღვრითი ფასების დაწესების საკითხი.

თათბირს დაესწრენ „მისოტორგ“-ის, საქართველოს ტყავის ტრესტის, საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. რწმუნებულის სამმართველოს, თბილისის აღმასკომის, საქ. ს. მ. უ. საბჭოს, თბილისის საფონდო და საქონლის ბირჟის და ტყავზე მომუშავეთა პროფკავშირის წარმომადგენლები.

თათბირმა აირჩია სპეციალური კომისია—ამხ. სტეფანიანის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა სამი დღის განმავლობაში წარადგინოს ა|კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატში, ნედლ ტყავზე საზღვრითი ფასების და ამიერ-კავკასიაში ტყავის მრეწველობისათვის ნედლეულის მიწოდების საქმის მოსაწესრიგებლად საჭირო ღონისძიებათა პროექტი.

გარდა ამისა თათბირზე გაირჩა თბილისის სასაკლაოზე საქონლის დაკვლასთან დაკავშირებულ ხარჯების საკითხი.

თათბირმა ამ საკითხის დეტალური განხილვა მიანდო იმავე კომისიას, რომელსაც დაავალა მომავალში აღნიშნულ ხარჯების შემცირების შესაძლებლობის გამორკვევა.

კომისიას პირველი თათბირი უკვე ჰქონდა.

მრეწველობის და მეურნეობის 5 წლის საპერსპექტივო გეგმის დამტკიცება

ა. წ. სექტემბრის 24-ს ეკონომიურმა საბჭომ განიხილა საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის მიერ შედგენილი მრეწველობის და მეურნეობის დარგების 5 წლის საპერსპექტივო გეგმა. საბჭომ დაამტკიცა მეთამბაქოობის, მებამბეობის, მიწად-მოწყობის, საძოვრების, გადასახლების, ტყავეულობის მრეწველობის, სატყეო მრეწველობის, პოლიგრაფ. მრეწველობის და სამთო-ქიმიურ კომბინატის 5 წლის საპერსპექტივო გეგმა.

სვანეთის მთებში

კრება კალაში

კალაში კიდევ დავათვალიერეთ რამდენიმე სვანური სახლი და გამოვბრუნდით ყველა ერთი და იმავე აზრით:

— როგორ ცხოვრობს, როგორ ძლებს ეს ხალხი ასეთ სახლებში? რატომ ყველანი არ ჰკარგავენ თვალის ჩინს? რატომ ყველანი არ ბლექდებიან?

სკოლასთან უკვე ხალხი შეგროვილა და ელიან ფილიპეს მისვლას.

ჩვენც აღარ დავაგვიანეთ. კრების დაწყებამდის ერთი მოხუცი მუხლზე დაეცა ფილიპეს წინ. ფილიპემ იგი მაშინვე წამოაყენა ზეზე და ჰკითხა საქმის შინაარსი.

მის ოჯახზე სისხლის აღება უნდოდათ თურმე ძველ შურისმაძიებლებს. ის კონებრივად მორიგებულია და თითქმის მთელი საქონელი შეუცია. შარშან გამოსვლების დროს მაინც მოუკლავთ იმის შვილი: იმის შიშით ვაი თუ ისევ უკან წაგვართვას ქონებაო. მოკლულს სამი ობოლი დარჩენია გაჭირვებაში უპატრონოდ.

ეხლა მოხუცი თხოულობს მკვლელის კანონიერად დასჯას.

ფილიპემ ხალხს მიმართა მამაშვილური დარიგებით. აუხსნა თავისი მისვლის მიზანი და განუმარტა, თუ როგორ შეიძლება სვანეთის სინათლეზე გამოყვანა და საერთო მეურნეობაში ჩაბმა.

შემდეგ თემის სახელით გამოვიდა სალაპარაკოდ გლეხი-სვანი.

ველით, რომ ესეც რაღაც ახალ სიტყვებს გაგვაგონებს.

— დაიწყო:

— დიდათა გმადლობთ, რომ მობრძანდით ჩვენი ავისა და კარგის დასაცრილავად...

და შემდეგ მოჰყვა ასევე თავისებური და ჩამოკვეთილი გამოთქმით.

მან რიგრიგათ გადმოალაგა სვანეთის ყოველი საჭიროებანი.

გზის შემდეგ ილაპარაკა საქიმო პუნქტზე, რომელიც არსებობს იქ მაგრამ საჭირო წამლები მუქთად გვირიგდებოდესო.

ზემო-სვანეთისათვის მოითხოვს რომ შვიდწლედი

აგრეთვე სასწავლო ნივთები უფასოდ უნდა ურიგდებოდეს შეგირდებსო.

იხვეწებიან კოოპერატივს ადგილობრივ. (მთელ ზემო-სვანეთში ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კოოპერატივია—მესტიაში).

სწყევს წარსულ გამოსვლების შეცდომას.

სჩივიან აგრეთვე ყოფ. მილიციის უფროსის კოპალიანის შესახებ.

საერთოდ ყველგან დიდი საჩივარი გვესმის ხელისუფლების იმ წარმომადგენლებზე, რომლებიც იყვნენ 1924 წლის გამოსვლებამდის.

ეხლა კი ხალხი დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დვალზე და მის წინად იქ მყოფ ამხ. თ. ქლენტზე.

ამ დროს უშკულიდან მოდიან გლეხები დროშით და სიმღერით.

ფილიპე ყველაფერზე აძლევს შესაფერ პასუხს და კოპალიანის საქმე კი უეჭველად გადაეცემა პროკურორსო.

ამავე სახალხო კრებაზე პირველად გამოვიდა შარშანდელ გამოსვლების ერთი მეთაურთაგანი ეგ. გაბლიანი.

ის სავსებით შეცდომად აღიარებს შარშანდელ გამოსვლებს და მოუწოდებს ხალხს—მივსცეთ მთავრობას პატიოსანი, სვანური სიტყვა, რომ მუდამ მათთან ვიქნებით და ვიმუშავებთ სვანეთის და მთელი საქართველოს საკეთილდღეოთო.

კალადან—მესტიამდე

სრულ 12 საათზე გავსწიეთ მესტიისაკენ, რომელიც მდებარეობს კალიდან 30 ვერსის სიშორეზე.

გზა მიდის ჯერ ენგურის დაქვეითებით. შემდეგ ჩრდილოეთით უნდა გადავლახოთ უღვირის უღელტეხილი და გადავიდეთ პირდაპირ მესტიაზე, რომელიც მდებარეობს ენგურის შესართავ მდინარე მესტია-ჭალაზე.

მივსდევთ ენგურის მარცხენა ნაპირს. ერთი-ორი ადგილის გარდა გზა თითქმის ვაკეა, ტყეებსა და ჭალებს შუა გაჭრილი. ამ ზაფხულის მწველ სიცხეში ნამდვილ ნეტარებათ გვევლინება მდინარითა და ტყეებით მოვლენილი სიგრილე.

საერთოდ არავინ ველოდით სვანეთში ასეთ სიცხეებს. ეს თოვლიანი მთები მაინც არ აყუდებულიყვნენ შეუპოვრათ ყველგან—ჩვენ თვალწინ.

მაგრამ ასეთი სიცხე მაინც ხანმოკლე უნდა იყოს. ამის თვალსაჩინო საბუთი ის არის, რომ აქ ქერისა და კარტოფილის მეტი არაფერი მოდის. ხილეულობიდან კი მხოლოდ პანტასა ვხვდებით გზადაგზა. ჩვენც დანატრულებული ხან ერთს მივაწვდებით ცხენიდან და ხან მეორეს, მაგრამ თითქმის ყველა მკვახეა და მჟავე. ალბათ რთველ ქვეშ თუ ელირსებათ მათ დამწიფება.

აგერ შიგ ენგურში ერთ უშველებელ ოთხკუთხ ქვაზე აღმართულა წერწეტა კოშკი.

მაშ ამის შესახებაც მოვისმინოთ ერთი ლეგენდა:

თავისუფალ სვანეთის ზემო ნაწილ უშგულში, ენგურის პირათ აღმართულ კლდეზე წამოჭიმულა კოშკის მსგავსი ტაძარი ღვთისმშობლისა. ერთ მდევს თურმე შეჰყვარებია ეს ღვთისმშობელი, მაგრამ სასტიკი უარი მიუღია. ამაზე ძალიან გაბრაზებულა მდევი. და რადგან ღვთისმშობლისთვის პირდაპირ ვერაფერი შეუძლია, შემდეგი ხერხისთვის მიუმართია: დაუძახია სხვა მდევებისთვის და უთხოვნია ამ ღვთისმშობლის ტაძარ ქვეით დაგუბონ ენგური. წყალი ავა ტაძრამდის და ღვთისმშობელიც დაიღრჩობა ასეო. მდევებს მოუზიდიათ დიდრონი ლოდები და ჩაუყრიათ ენგურში. წყალმა შეგუბება დაიწყო. ეს ამბავი გაუგია ქვემოთ კვირიკეს და ზევით თვით ღვთისმშობელს. ამის წინააღმდეგ ერთს მაშინვე კაცი გამოუგზავნია, მეორეს—ყორი, დასტაკებიან ამ სათავეს, გაუნგრევიათ და გაუნთავისუფლებიათ ღვთისმშობელი განსაცდელისგან.

ერთ დიდ მდევს თურმე ენგურის ქვევიდან მოჰქონდა აქეთ-იქეთ იღლიაში ამოჩრილი ორი უშველებელი ქვა, რომ მიეტანა ენგურის შესაგუბებელ სათავეზე. ამ ადგილას რომ მოსულა, სადაც ციხეა, გაუგია სათავის დანგრევის ამბავი. ასეთი ამბით ნაწყენსა და იმედ-გაცრუებულს ერთი ლოდი ენგურში გადმოუგდია გაბრაზებით და მეორე კი მთის აქეთ გადაუტყორცნია. ენგურში გადმოტყორცნილ ლოდზე აგერ ეს კოშკი აუგიათ და ხსენებით მდევების კოშკი ჰქვია. ამბობენ მთის იქითაც სწორეთ ასეთი ლოდი გდიაო, მაგრამ ჩვენ იქით არ გაგვივლია და არ გვინახავს.

უღვირის უღელტეხილზე

იფარის სოფელ ცოტა ზევით გადავედით ენგურს და შევყევით პირდაპირ უღვირის ქედს. ბილიკი თითქმის სულ ტყეში მიდის ფერდობებზე, მაგრამ საბედისწერო ადგილებს მაინც აღარა ვხვდებით.

ტყიან მთის შუაგულში მოსჩანს საგანგებოთ მოკალოებული მწვანე ლამაზი მოედანი, სადაც დაგროვილა მრავალი ხალხი.

მივახლოვდით თუ არა მოედანს, უცებ ჩვენ თვალწინ ამუშავდა კინო-აპარატი.

— სვანეთის უდაბურ მთებში—დღევანდელ ტეხნიკის ასეთი თვალთმაქცობა!

მაგრამ მესტიაში ამჟამად იღებენ ერთ კინო-დრამას და ჩვენი მოგზაურობის გადამღებნიც იქიდან ამოუყვანიათ.

ხელათ გაიმართა კრება. კინო-აპარატი თავის მეტიჩრობას არ იშლის და სცდილობს აღბეჭდოს ყველა საყურადღებო მომენტი.

ლატფარის შეხვედრის შემდეგ ეს ყველაზე ლამაზი და ძლიერი სურათი იყო ჩვენს მოგზაურობაში.

აქ კარგა ვრცელი სიტყვები წარმოსთქვეს ჯერ ზიმშემ და შემდეგ ფილიპემ.

ხალხიდან ილაპარაკა მულახის თემის თავმჯდომარემ.

— თქვენ როგორც განათლებულ კაცს—კაი გზაზე გესიამოვნებათ სიარული, მაგრამ რაკილა ამ კლდეღრიან ქვეყანაში მობრძანდით, ალბათ გაინტერესებთ ჩვენი ჭირვარამის გაგება.

— რასაც თქვენ დაგვპირდით, ისე მიგვაჩნია, ვითომ კიდევაც შესრულებულა.

ასეთი ჩამოყალიბებული სიტყვებით უმასპინძლდებიან ყველგან მოხუც ბელადს.

იფარის თემის სახელით ილაპარაკა გლეხმა გულბანმა.

ყოველი სიტყვა სულ ახალ-ახალ ფორმებში გამოკვეთილი, თუმცა მუდამ ერთი და იმავე ტკივილების გარშემო ტრიალებენ.

— მთავრობა მადლობას უნდა გვეუბნებოდეს, რომ ამ მიყრუებულ კუთხეში ვცხოვრობთ და კიდევ ხალხსა ვგევართ.

— გმადლობთ, რომ მთავრობის მეთაური „[illegible]“ და მობრძანდით ჩვენი გაჭირვების სანახავათ.

— ჩვენ „დავაი“ ვართ იმიტომ რომ არაფერი გვაქვს. გაგვიყვანეთ გზა და აქ იმდენი „გუნებრიული“ სიმდიდრეა, რომ ხუთ წელიწადში აინაზღაურებთ ყველაფერსო.

კრებაზე სოფლის ქალებიც მრავლათ არიან.

აგერ ბავშვებიდან გამოერჩა წითელ ჩითის კაბაში გამოწყობილი თმა-ხუჭუჭა გოგონა და ფილიპეს მიესალმა სვანი ბავშვების სახელით—ქართულად.

ქალაქში ეს სურათი არ გაგვაკვირვებს, მაგრამ სვანეთის მთებში ეს ჩვენზე ყველაზე მეტ შთაბეჭდილებას ახდენს.

კრების გათავებისას ფილიპეს მიმართავენ მრავალი თხოვნებითა და განცხადებებით.

* * *

ზემო-სვანეთში ქართული თითქმის ყველას ესმის, განსაკუთრებით კაცებს მაინც. ლაპარაკიც ეხერხებათ ქართულად. მაგრამ ბევრი სვანურად არჩევს სიტყვის თქმას, რომ უფრო თავისუფლად და სწორად გამოხატოს თავისი აზრი.

აქ უეჭველად უნდა აღვნიშნოთ იქაური თარჯიმანი ვინმე—სები.

ეს ყმაწვილი კაცია ძალიან დარბაისელი შეხედულებისა. ის ყოფილა ხუცესად და გაუხდია ანაფორა ამ ორი-სამი წლის წინად, ეხლა ის პარტიული კაცია. დიდ მუშაობას ეწევა მთელ სვანეთში და ძალიან ყოჩაღი—მოფიქრებული კაცის შთაბეჭდილებას ახდენს.

ჩვენი თარჯიმანი სულ ის იყო, გარდა უკანასკნელ სოფელ უშგულისა.

საინტერესოა სების ლაპარაკიც და თარგმანიც.

მოლაპარაკე იტყვის რომელიმე დამთავრებულ აზრს და შეჩერდება. სები მაშინათვე სთარგმნის სიტყვასიტყვით. და ეს გრძელდება ბოლომდის. ამრიგად ის ნალაპარაკევის სქემას კი არ გადმოგვცემს, არამედ თვით ლაპარაკს—ყოველი წვრიმალითა და თავისებურობით ისე გრძელდებოდა ყოველ კრებაზე და ჩვენც საუკეთესო საშუალებათ სწორედ ეს მიგვაჩნდა.

გაათავებდა თუ არა სები თავის მოვალეობას კრებაზე, შემდეგ უჩინრათ მოაჯდებოდა თავის კოხტა ჯორს და სადღაც გაჰქრებოდა.

რომელიმე ახალ ადგილზე მისვლისას სები უკვე წინ დაგვხვდებოდა;

მას ან კრება მოუწყვია ან პურმარილით შეგვებება, ან კიდევ სხვა რამე თადარიგი დაუჭერია.

ნამდვილი გაჭირვების ტალკვესია ეს სები.

მისი უდიდესი ღირსება, რომ არავითარ შემთხვევაში არა სცდილობს თავის თავზე რამე სთქვას, ან იყოყლოჩინოს. ის ყოველთვის სცდილობს, რაც შეიძლება მეტი გააკეთოს და თანაც სრულიად უჩინრათ დარჩეს.

ჩვენ თვალს ვადევნებთ იმას და როცა უჩინრათ გაჰქრება, უკვე დარწმუნებული ვართ, რომ წინ დაგვხვდება რაღაც ახალი მარიფათით.

ხელდახელ შევნაყრდით სოფლელებისაგან მოტანილ ნახევრათ უმი ხორცით და ნახევრათ ცომი პურით და გავეშურეთ მესტიისაკენ.

ცოტა აღმართის შემდეგ—გადავსცდით ქედს და ხალისიანათ დავეშვით მესტიისაკენ.

ინსტინქტიურათ იქ ველით რაღაც კულტურის ნიშანს და მცირედ მოსვენებასაც. გაგვიმართლდება იმედი?

საღამოს ჟამზე შევედით მესტიაში. მთელი ხალხი შეკრებილიყო შესახვედრათ. აქაც პურ-მარილითა და სიმღერით შეგვებება.

დაღლილ-დაქანცულებს ჩვენ მოსვენება გვენატრება. კრებისთვის კი აღარ გვცალია.

მაშ ხვალამდის.

ლევ. მეტრეველი.

შეცდომის გასწორება

„დიდ მაუზერიანი ყმაწვილი“, რომელზეც ლაპარაკია ლ. მეტრეველის წერილში („კომუნისტი“ № 234) არის არა განათლების განყოფილების გამგე, როგორც სწერს ავტორი, არამედ პოლიტ-განათლების ქვეგანყოფილების გამგე გიორგი ზერულავა.

განათლების განყოფილების გამგე სვანეთში გიორგი გვარლიანი.

თბილისი, 11 ოქტომბერი.

ფრიდ ბრამლის გარდაცვალების გამო

საქართველოს პროფსაბჭოს სამძიმარის დეპეშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ ინგლისის ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოს მდივნის ფ. ბრამლის გარდაცვალების გამო შემდეგი სამძიმრის დეპეშა გაგზავნა ლონდონში:

ლონდონი. ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოს.

საქართველოს პროლეტარიატი საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სახით თავს ხრის მსოფლიო პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობისათვის დაუღალავ მებრძოლის ამხანაგ ბრამლის ნეშტის წინაშე.

მძიმეა დანაკლისი ინგლისის მუშათა კლასისათვის, რომელმაც დაჰკარგა ერთი საუკეთესო ბელადთაგანი. მძიმეა დანაკლისი მსოფლიო პროლეტარიატისათვის, რომელმაც დაჰკარგა მებრძოლი, მუშათა კლასის მთლიანობისა და გამარჯვებისათვის. საქართველოს პროლეტარიატი თქვენთან ერთად გლოვობს საქართველოს მუშების მეგობრის დაკარგვას. ამხანაგ ბრამლის ნეშტის წინაშე ჩვენ ვიძლევით აღთქმას ვიბრძოლოთ მსოფლიოს მუშათა კლასის მთლიანობისათვის.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი.

ძველი ვერცხლის ფულის შესყიდვა

საბჭოთა კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებებში სწარმოებს მეფის დროს მოჭრილ ვერცხლის ფულების შესყიდვა.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა აცნობა ყველა თავის დაწესებულებებს, მათ შორის სახალხო კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველოს, ამ ფულების ახალი ფასები.

მაგალითად, მეფის დროს მოჭრილ ვერცხლის ფულის (ხუთ შაურიანები) ათ შაურიანები და მანეთიანები, მიღების დროს—ერთ კილოგრამზე გადახდილი უნდა იქნეს 34 მან. 50 კაპ., ვერცხლის ფულების ცალ-ცალ-ცალკე მიღების დროს, მაგალითად 1 მანეთზე უნდა იქნეს 68 კაპეიკი.

ხურდა ვერცხლი (5, 10, 15, 20 კაპ.) მიღებული უნდა იქნეს წონით, ერთი კილოგრამი ხურდა ვერცხლი ღირს 18 მან. 36 კაპ. ერთი მანეთის წვრილ ხურდა ფულის ჩაბარების დროს, ერთ მანეთზე გადახდილი იქნება 32 კაპეიკი.

კოოპერაცია

მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსი“

საჭიროა განმარტება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მეურნეობის აღდგენა-განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ კოოპერაციის საშუალებით შესაძლებელი ხდება წვრილ-წვრილი მეურნე გლეხობის შეკავშირება. ამ საკითხზე პარტიის 14 კონფერენციის გადაწყვეტილება ასეთია: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია უნდა გაერთიანდეს ერთის მხრით სასოფლო სამეურნეო ამხანაგობათა მიმართულებით, ხოლო მეორეს მხრით სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მიმართულებით.

ჩვენი გლეხობა მისდევს მესაქონლეობას, მევენახეობას, მეთამბაქოეობას, ხვნა-თესვას, ბამბის მოყვანას, მეცხვარეობას და სხვა. რომ აღნიშნული დარგები განვითარდეს და მონაწილეობა მიიღოს კოოპერატიულმა კაპიტალმა საქონლის ტრიალში, საჭირო შეიქნა სპეციალური კავშირების გახსნა, რომლებიც შედიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გაერთიანებაში, „წარმოკავშირში“. „წარმოკავშირი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს მათში შემავალ ორგანიზაციებს. უნდა ცდილობდეს ერთის მხრივ მათი ნაწარმოებისათვის ბაზარის მოპოვებას და მეორეს მხრივ კულტურულ და ორგანიზაციულ მუშაობას. თუ რამდენათ ასრულებს დღეს ამას „წარმოკავშირი“ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ ამ წერილში. მხოლოდ გვინდა მოკლედ აღვნიშნოთ ერთი არასასურველი და ყოვლად მიუღებელი საქციელი. მოკლედ საქმის ვითარება ასეთია:

„წარმოკავშირის“ სისტემაში მეცხვარეთა გაერთიანებას ერთი საპატიო ადგილი უჭირავს, მეცხვარეებს აქვთ თავიანთი საკუთარი ორგანიზაციები: „მწყემსი“-ს და „ბირლიკი“-ს სახელწოდებით. აღნიშნული ორგანიზაციები მეცხვარეებში ეწევიან ორგანიზაციულ და კულტურულ მუშაობას. მათ განაწილებული აქვთ სამუშაო რაიონები. „მწყემსი“ მუშაობს თელავის, სიღნაღის და თბილისის მაზრებში, ხოლო „ბირლიკი“—ბორჩალოს მაზრაში. რაც შეეხება დანარჩენ მეცხვარეებს, მაგ. დუშეთის მაზრაში, მათაც აქვთ თავიანთი ორგანიზაციები. მატყლის დამზადება ხდება ყოველთვის მეცხვარეთა პირველსაფეხურიან კოოპერატივების საშუალებით. დამზადებულ ასაღებს „წარმოკავშირი“.

წელსაც „წარმოკავშირისთვის“ „მწყემსი“-ს და „ბირლიკს“ უნდა დაემზადებინა მატყლი, მხოლოდ „წარმოკავშირს“ მათთვის უნდა მიეცა ავანსები თავის დროზე. მაგრამ შემოდგომის მატყლის ოპერაციის დაწყების დროს მოულოდნელად მატყლის შესაგროვებლად „მწყემსი“-ს და „ბირლიკი“-ს წევრებში გამოდის თვითონ წარმოკავშირი. მას აყვანია აგენტებათ კერძო პირები, რომლებიც დაირბენ მეცხვარეებში „მწყემსი“-ს წინააღმდეგ და ათასნაირ პროვოკაციულ ჭორებს ავრცელებდნენ იმის შესახებ, ვითომც „მწყემსი“ გაკოტრდა,—მას ნდობა აღარ აქვს, თავმჯდომარე გონაშვილი თვეში ღებულობს ხუთას მანეთს და სხვა.

ამ არასასურველ მოვლენას „მწყემსი“-ს გამგეობამ მიაქცია ყურადღება და „წარმოკავშირის“ გამგეობას მიუთითა, რომ სპეკულიანტების, ჩარჩების საშუალებით არ უნდა ეწეოდენ კოოპერაციის წინააღმდეგ მუშაობას, ვინაიდან ამით აშკარად ირღვევა ჩვენი შეთანხმება, და გარდა ამისა კოოპერატიული ორგანიზაცია ჰკარგავს გლეხების თვალში თავის მნიშვნელობასო. „წარმოკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე ამხ. დუმბაძე დაეთანხმა „მწყემსი“-ს გამგეობას და მთელი აპარატი გადაეცა „მწყემს“-ს.

მაგრამ ლადო დუმბაძის შვებულებაში წასვლის შემდეგ წარმოკავშირის გამგეობის წევრი ჯანდიერი ახალქალაქში გზავნის შემდეგ შინაარსის დეპეშას: აღმასკომს. ასლი მურადოვს. „წარმოკავშირის“ გამგეობის მიერ მურადოვის სახელზე გაცემული მანდატი პირველი სექტემბრის თარიღით და ნომრით 5445, ჩაითვალოს გაუქმებულათ. თუ მატყლი დაკავებულია, გადაეცეს მურადოვს. უკანასკნელს უფლება ეძლევა შესცვალოს დევდარიანი და გააგრძელოს დამზადება თანახმათ ინსტრუქციისა № 264 | 6162. წარმოკავშირი ჯანდიერი“.

როგორც მკითხველი ხედავს დეპეშას ღებულობს წარმოკავშირის აგენტი მურადოვი, ხოლო ასლს ამ დეპეშისას არ ატყობინებს გონაშვილს, რომელიც ახალქალაქში იმყოფება. მურადოვი ამ დეპეშით გამოდის მეცხვარეებში და სიქვეყნოთ ამბობს, რომ „მწყემსი“-ს ორგანიზაციას არაფერი შეუძლია, გონაშვილი გადაყენებულია და სხვა; მეცხვარეებს ამაზე გული სტკივათ, მათ იციან, რომ „მწყემსი“ და „წარმოკავშირი“ ერთგვარი ორგანიზაციებია, იცნობენ ლადო დუმბაძეს და გაკვირვებულნი ერთმანეთს ეკითხებიან, თუ ჩვენი კავშირი არ ვარგოდა, რატომ ლადო დუმბაძემ ეს [illegible] მეცხვარეების ყრილობაზე არ გვითხრაო; ამავე დროს ამბობენ, რომ ეს ამ ჩარჩების ხრიკებიაო.

ჩვენ კიდევ სხვა საბუთების მოყვანა შეგვეძლო, მაგრამ ჯერჯეროზით ესეც საკმარისია. დღეს ჩვენ ერთი რამ გვაინტერესებს: რად დასჭირდა წარმოკავშირს პირველ საფეხურიან კოოპერატივის ზურგის გამაგრების მაგიერ, მის წინააღმდეგ შემყიდველ ჩარჩების გამოშვება. არის თუ არა ეს აშკარათ საზარალო კოოპერაციისათვის?

გ. ლასხარი.

მეცხვარეთა საზ. „მწყემსში“

მატყლის დამზადება

„მწყემსი“-ს ორგანიზაციამ შემოდგომის მატყლის ოპერაცია უკვე დაამთავრა ახალქალაქის მაზრაში. „მწყემსი“-ს გამგეობამ ზემოაღნიშნულ რაიონში დამზადა დაახლოებით 80 პროც. მთელი მატყლის, რაც უდრის 26.000 ფუთს. ამ ჟამად განსაკუთრებით ყურადღება აქვს მიქცეული თელავის მაზრას და დუშეთისას, სადაც განზრახულია 13.000 ფუთი მატყლის დამზადება.

გამსაღებელი პუნქტები თბილისში

„მწყემსი“-ს გამგეობამ თბილისში გახსნა ხორცის გამსაღებელი პუნქტი, სადაც იყიდება საუკეთესო ხარისხის ხორცი. ზამთრის მარაგისათვის მიღებულია ზომები, უკვე წარმოებს ცხვრის და ღორების შესყიდვა. სულ მალე გაიხსნება რძის ნაწარმოების გამსაღებელი პუნქტი ყველის, ერბოს, კარაქისა და სხვა. ვინაიდან თბილისის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა მატყლის, ამიტომ „მწყემსი“-ს გამგეობას განზრახული აქვს გახსნას განყოფილება, სადაც გაიყიდება მატყლი.

სასოფლო მეურნეობა

ბამბის მავნებლები ყარაიაზ-ბორჩალოს რაიონებში

როგორც ყველა კულტურულ მცენარეს, ისე ბამბასაც ჰყავს თავისი სპეციფიური მავნებლები — მწერი, რომლებიც ანადგურებენ ამ ძვირფას კულტურას. მართალია მავნებლებსაც ჰყავთ მტერი ისევ მწერთა სამეფოდან, რის გამოც მათი ინტენსიური გამრავლება ნაწილობრივ ხელი ეშლება. თვით მცენარეც უწევს წინააღმდეგობას მასზე დაბინავებულ მძარცველ სტუმარს, მაგრამ ჯამი ორივე მოქმედებისა იმდენათ სუსტია, რომ მცენარე საჭიროებს აუცილებელ დახმარებას ადამიანის მიერ, რათა გამოვიდეს გამარჯვებული ამ ბრძოლაში და მოგვცეს სასურველი ნაყოფი.

აღნიშნულ რაიონებში და ნაწილობრივ დასავლეთ საქართველოშიაც ბამბის მცენარეს უჩნდება ავადმყოფობა ე. წ. „ჩორი", რომელიც გამოწვეულია შეუიარაღებელ თვალით ძნელად შესამჩნევ პატარა ცხოველებით. ასეთი ავადმყოფობის დროს ბამბის ფოთლის ზედაპირი ალაგ-ალაგ ღებულობს მოწითალო ჟანგის ფერს. შემდეგ სავსებით ხმება და ცვივა, როგორც ფოთლები ისე სანაყოფე ყლორტებიც. ასე რომ მცენარის მხოლოდ ღერო ღა რჩება და აქედან ცხადია ვერაფერს მივიღებთ. მიმდინარე წლის შუა ზაფხულში თავი იჩინა სალაპარაკო მავნებელმა განსაკუთრებით ყარაიას რაიონში და წარმოუდგენელი სისწრაფით ვრცელდებოდა. მაგრამ ბამბის ნათესების განადგურების საფრთხე აცილებული იქნა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლ ბიუროს მიერ დროზე მიღებულ ზომების წყალობით. ბიუროს წინასწარ ჰქონდა ადგილზე გადასროლილი საკმაო რაოდენობა საჭირო წამლისა ხელსაწყო აპარატებით. მის მიერ მოვლინებულ სპეციალურ პირების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ბამბის ექიმობა, ე. ი. ბრძოლა „ჩორი"-ს წინააღმდეგ. ამის შედეგი კი ის არის, რომ დღეს გლეხობა სიხარულით აგროვებს 4 ბალიან მოსავალს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი შევძლოთ მიგვეღოთ სულ დიდი 50 პროც. მოსავლისა. ეს კი გარდა პირდაპირი ზარალისა საშიში იყო კიდევ იმ მხრივ, რომ გლეხობას გული გაუტყდებოდა მომავალში ამ კულტურის მოშენებაზე და ისიც, რომ წელს დარჩენილი ასეთი რიცხვი მავნებლებისა აშკარა წარმოსადგენია თუ როგორი რაოდენობით მოევლინებოდენ მომავალ წლის ნათესს.

ბიურო აწარმოებდა აგრეთვე შესწავლას გამოურკვეველ მავნებლებისას, მაგალ. „ბამბის ტილი"-ს და ბრძოლას, როგორც მის ისე სხვა მავნებელთა წინააღმდეგ.

ი. ღ.

ჩაის მცენარის ახალი რაიონი გურიაში

უკანასკნელ დრომდე დასავლეთ საქართველოში ჩაის მცენარის გასაშენებელ რაიონებად ცნობილი იყო ჩაქვის, კობულეთის რაიონები, ზუგდიდის მაზრის და აფხაზეთის ერთი ნაწილი. ეს ორი უკანასკნელი რაიონები სათანადოთ არ არის კიდევ გამოკვლეული. რაც შეეხება ჩაქვის და კობულეთის რაიონს, აქ მოყვანილი ჩაი ღირსებით მთელ საბჭოთა კავშირში იყო განთქმული.

გასულ ზაფხულში ჩაის კულტურის გასაშენებელი რაიონის გამოკვლევებს აწარმოებდენ ცნობილი სპეციალისტი ლაფუ და ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის წარმომადგენელი დრეილი.

მათ შესწავლილი და გამოკვლეული აქვთ დასავლეთ საქართველოს ჩაის მცენარის ყველა რაიონები. ამ ზაფხულზე მათ მოაწყვეს ნატანებიდან სოფელ აცანამდე მდებარე რაიონის გამოკვლევა იმ მიზნით, რომ გაეგოთ, თუ რამდენად იხეირებს ამ ადგილებში ჩაის მცენარე. გამოკვლევის საშუალებით მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ნატანებ-აცანის რაიონი (ოზურგეთის მაზრა), წარმოადგენენ გაცილებით უკეთეს მიდამოებს ამ ძვირფასი მცენარის გასავრცელებლად, ვიდრე ჩაქვის და კობულეთის რაიონები. ნატანებ-აცანის რაიონის უპირატესობა სპეციალისტთა აზრით ის არის, რომ იგი სავსებით დაცულია მთელი წლის განმავლობაში ქარებისაგან, ჩაქვა-კობულეთის რაიონი კი, რომელიც ზღვის პირად მდებარეობს, მუდამ დაუფარავია ქარებისაგან, რომელნიც ცუდათ მოქმედებენ. როგორც მცენარის აღმოცენებაზე, ისე მის განვითარებაზე. გარდა ამ უპირატესობისა სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ნატანებ-აცანის რაიონის მიწის ნიადაგი თავის თვისებებით და აგრეთვე მცენარეულობით ძალიან ენათესავებიან ჩინეთის ჩაის მცენარის რაიონებს. ეს მსგავსება, სპეციალისტების აზრით, საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ოზურგეთის რაიონში გაშენებული ჩაის მცენარის პროდუქცია გაცილებით უფრო მაღალ ღირსების იქნება, ვიდრე საქართველოს რომელიმე სხვა კუთხისა.

მოსავალი

გურიაში

გურიის ყველა რაიონებში დამთავრდა ქირნახულის მოწევა. არ დაწყებულა მხოლოდ ხილეულობის შეკრეფა. სიმინდის მოსავალი გურიის დაბლობ რაიონებში ალაგ საშუალოა, ალაგ საშუალოზე მაღალი იმ რაიონების გამოკლებით, სადაც ამ ზაფხულზე ნიაღვრობა იყო. გურიის მთიან ადგილებში მოსავლის მოწევა ჯერ არ დასრულებულა. მთიანი ადგილების მოსახლეთა უმრავლესობა ზაფხულიდან ყიდულობს სიმინდსა და პურს. ახალი მოსავლის გამო ქირნახულის ფასებმა საგრძნობლად იკლო.

ზაფხულზე ფუთი სიმინდი ფასობდა 3 მან. 20 კ.—3 მან. 50 კაპეიკი. ამჟამად ფუთი სიმინდი ფასობს 2 მანეთი.

ხილის მოსავალს ყველგან კარგი პირი უჩანს.

ჭოროხის და კობულეთის მაზრებში

ჭოროხის და კობულეთის მაზრებში სიმინდის მოწევა დამთავრდა. ორივე მაზრებში მოსავალი საშუალოა. შარშანდელთან შედარებით სიმინდის მოსავალი ნაკლებია.

ცუდი მოსავალი არის მოსალოდნელი აგრეთვე სუბტროპიკული მცენარეებისაგან., რომელნიაც გასულმა ზამთარმა საგრძნობლად დააზიანა.

კახეთი

ველისციხის რაიონში ყურძნის კრეფა და დაწურვა დამთავრდა. ღვინის მოსავალი სხვადასხვაგვარია. ალაგ-ალაგ მოსავალი კარგი იყო, ალაგ საშუალო, ხოლო ალაგ კი ცუდი. იმ ვენახებში, რომელნიც ფილოქსერისგან უვნებელი არიან, შარშანდელთან შედარებით მოვიდა 50 პროცენტით მეტი მოსავალი.

ფილოქსერით დაზიანებული მამულების მეპატრონე გლეხებმა ყოველ დესეტინაზე მიიღეს ნორმალური მოსავლის მხოლოდ 20 პროცენტი. ზოგიერთ რაიონებში წითელი ღვინის ჯიშები სრულიად გახმენ. საერთოდ წელს ველისციხის რაიონში ღვინის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

აჭარისტანში

აჭარისტანის მაზრებისათვის მიმდინარე სამეურნეო წლისათვის საგრძნობლად იქნა შემცირებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამი: ორი თვის განმავლობაში სწარმოებდა მუშაობა საგადასახადო ნორმების გამოსამუშავებლად. გადასახადის ნორმის დამუშავების დროს მიღებულ იქნა მხედველობაში შარშანდელი ზამთრის მიერ გლეხის მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი. აჭარისტანის ყველა მაზრებში ჩატარებულ იქნა წინასწარი საგადასახადო კამპანია. გლეხობა კმაყოფილი დარჩა გადასახადის ნორმის შემცირებით და აღუთქვა ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასახადის თავის დროზე და უკლებლივ შეტანა. სექტემბრის შუა რიცხვებიდანა ქობულეთის მაზრის გამოკლებით, ყველა მაზრებში დაიწყო გადასახადის აკრეფა. გლეხებს გადასახადი შეაქვთ სამაზრო აღმასკომებთან საგანგებოდ დაწესებულ სალაროებში. გადასახადის ნაწილი შესულია აგრეთვე ბათომის ხაზინაში.

გადასახადის დაბეგრილ ობიექტების რიცხვში შევიდა 6.800 დესეტინა მიწა, აქედან 1.452 სახნავი მოდის ხულოს მაზრაზე, სადაც მიწების ეს რაოდენობა სულ დათესილია. 1160 დესეტინა სათიბი, 51 დესეტინა ბოსტანი, 16 დესეტინა ბრინჯის ყანა (ქობულეთის მაზრაში) და 23 დესეტინა თამბაქოს პლანტაციები.

მთელ ოლქში გადასახადი შეეწერა აგრეთვე 31.634 სულს მსხვილფეხ და წვრილფეხ საქონელს. 1924 წელთან შედარებით აჭარისტანში სათესი მოედანი გადიდებულა 1.500 დესეტინით, ხოლო პირუტყვის რაოდენობა კი შემცირებულა 1924 წელთან შედარებით 10 პროცენტით. მიზეზი შარშანდელი მკაცრი ზამთარია.

მებამბეთა თათბირი

უკანასკნელი სხდომა

ამ სხდომაზე წარმოდგენილი იქნა წინა სხდომაზე არჩეულ კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლიუცია. წარმოდგენილი რეზოლიუციის მიხედვით თათბირი წარმოკავშირის საბამბო სექციის მუშაობას სცნობს დამაკმაყოფილებლათ. თათბირი მოითხოვს, საორგანიზაციო ხარჯებისათვის არსებულ 5 პროც. გადიდებული იქნას 10 პროცენტამდე; გლეხებს ბამბის მიტანისთვის 10 ვერსის ზევით მიეცეთ საგზაო ქირა ჩამოეწეროს შარშან გაცემულ ვალებზე სარგებლის სახით დადებული პროცენტები, გადიდებული იქნას წრევანდელ მოსავალზე ფასები, ვინაიდან არსებული ფასები მეურნეს გაწეულ შრომასაც არ უნაზღაურებს; აღიარებული იქნას ბამბის ჩასაბარებელ პუნქტებათ: ყარაიაზის რაიონში—საქერბამბის ქარხანა, კახეთის რაიონში—სადგური წნორის-წყალი და ბადიაური, ბორჩალოს რაიონში—აშაგა-სერალის რკინის გზის სადგური; დასავლეთ საქართველოში: სამტრედიის და ჯიხაიშის რაიონში—სადგური სამტრედია, ვანი და ტობანიერის რაიონისათვის—სოფ. ვანი, ამაღლება, ზეინდარი, სიმონეთი, ზესტაფონის რაიონისათვის—ქუთაისის სადგური; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბამბის მეურნეობისათვის ბამბის სანაცვლოდ დასარიგებელ ხორბლეულისა და ფერთლეულობის ხარისხს.

მომავალ წლისათვის ბამბის დასათესი სივრცე განისაზღვროს 12,500 დესეტინით.

საქარბამბას და წარმოკავშირს შორის დასადები ხელშეკრულების განსახილველად მოწვეული იქნას ახალი თათბირი, მაშინ როცა ამას საჭიროთ დაინახავს წარმოკავშირი.

მიღებულ იქნას სათანადო ზომები ნათესების მოსარწყავათ და ნათესების სტიქიურ უბედურებისაგან დასაზღვევათ და სხვ.

რეზოლიუცია იწვევს კამათს, რადგან წარმოდგენილ რეზოლიუციის წინააღმდეგ გამოდის საქარბამბის წარმომადგენელი კრიშტალი, რომელიც წინააღმდეგია 10 ვერსზე ზევით საგზაო ქირის მიცემის; საორგანიზაციო ხარჯებისათვის 5 პროცენტის 10 პროცენტამდე გადიდების, გაცემულ ავანსებზე სარგებლის მოხსნის, ბამბაზე ფასის გადიდების და სხვ.

თათბირის წევრები ერთხმად ილაშქრებენ კრიშტალის წინააღმდეგ და აღნიშნავენ, რომ წინა კრებაზე კრიშტალი ჩვენ გვისაყვედურებდა შტატის გაბერვას, რომლის შემცირების შემდეგ თითქოს საკმარისი იქნება 5 პროც. საორგანიზაციო ხარჯებისათვის, რაც ამავე დროს ასწევს ფასებს ბამბაზე. მოკამათენი აღნიშნავენ, რომ ძირითადი კოოპერატივების შტატი ისე მცირეა და მათი ხელფასი იმდენათ პატარა, რომ მათი შემოკლება-შემცირება ნიშნავს კოოპერატივების გაუქმებას.

კამათში ირკვევა, რომ ადგილებზე გლეხებს კერძო ვაჭრები ფუთ ბამბაში აძლევენ 5 მანეთიდან 5 მ. 50 კაპეიკამდე, იმ დროს, როცა საქარბამბა ფუთ ბამბაზე იძლევა 4 მ. 15 კ. რაც საფრთხეს უქადის ბამბის კამპანიას.

თათბირი აგრეთვე გამოსთქვამს თავის აზრს, რომ საქარბამბა, რომელიც შუამავლის როლს თამაშობს წარმოკავშირსა და ა|კ. საბამბო კომიტეტს შორის, გაუქმებული იქნას და წარმოკავშირმა უშუალოთ იქონიოს კავშირი ა|კ. საბამბო კომიტეტთან ბამბის დამზადების საქმეში და მანვე როგორც გლეხობასთან უფრო დაახლოვებულმა ორგანომ, მარტომ აწარმოოს ადგილებზე ბამბის დამზადება, რაც ერთი ორად შეამცირებს ხარჯებს და საგრძნობლად ასწევს ფასებს ბამბაზე. აგრეთვე ადგილებზე ის შებლა-შემოხლა, რომელიც დღეს ხდება საქარბამბის, აღარ განმეორდება წარმომადგენლების წყალობით და გლეხობასაც ეცოდინება ვისთან აქვს ნამდვილად საქმე.

კამათის დასრულების შემდეგ, თათბირმა ერთხმად მიიღო წარმოდგენილი რეზოლიუცია, საქარბამბის წარმომადგენლის გამოკლებით.

მეაბრეშუმეობა

აბრეშუმის პარკის გაგზავნა უცხოეთში

დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ბათომის ნავთსადგურით უცხოეთში გაიგზავნა 12 ათასი ფუთი აბრეშუმის ხმელი პარკი. პარკი გადაგზავნილია მარსელში. ამ მოკლე ხანში მარსელში გაემგზავრება საზოგადოება „აბრეშუმის" წარმომადგენელი გაგზავნილ პარკის გასასაღებლად.

ამჟამად სამტრედიაში, ქუთაისში და ხონში, სადაც აბრეშუმის ხმელი პარკი თავს იყრის საქართველოს ყველა კუთხეებიდან, სწარმოებს მარსელური სისტემის მიხედვით ხმელი პარკის დახარისხება. ამ სამუშაოებზე ამჟამად დასაქმებულია დაახლოებით 1000 მუშა-ხელი.

პარტიული ცხოვრება

კიდევ უჯრედების სხდომების, მომხსენებლების და დაგვიანების შესახებ

ხშირად ჩვენი პარტიული უჯრედების სხდომებს ეკარგებათ ერთგვარი ინტერესი და სიცხოველე. უფრო მეტიც, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ტყუილა-უბრალოთ, სრულიად უსარგებლოთ გიხდება ამ სხდომებზე ყოფნა.

რით შეგვიძლია ავხსნათ ეს?

ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ უჯრედების სხდომები მეტად ჭიანურდება. უჯრედების სხდომების დღის წესრიგში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ გამონაკლისებს, თითქმის ყოველთვის დასმულია ორი, სამი, ოთხი მოხსენებაც კი. ამას უნდა დაუმატოთ მიმდინარე საკითხებიც, რომელნიც ჩვეულებრივად არა ნაკლებ ერთი საათისა და ზოგჯერ კი მეტ დროსაც მოითხოვენ.

ცხადია, მოხსენებები, რომლებიც კეთდება უჯრედების სხდომებზე, თუ კარგად იქნენ დამუშავებული და მომხსენებლებმა თავიანთი მხრით შესძლონ უჯრედისათვის ალღოს აღება იმ რიგად, რომ უჯრედის წევრთა და უპარტიო ამხანაგებს შორის გამოიწვიონ სათანადო ინტერესი, რომ ისინი არ მოიქანცონ და ყოველივე თქმულიც მათ მეხსიერებაში აღიბეჭდოს,—მაშინ მოხსენებათა რაოდენობას არ მივაქცევდით ამდენ ყურადღებას. მაგრამ სინამდვილე სრულიად სხვას ჰლაპარაკობს.

ხშირად, როდესაც მომხსენებელი იწყებს თავის მოხსენებას, ის პირველ თავის მოვალეობად სთვლის „შესავლის" სახით, წინასწარ გააფრთხილოს დამსწრე ამხანაგები, რომ ის მოხსენებისათვის არ არის საკმაოდ მზად, რადგან მან მხოლოდ წინა დღით გაიგო ამის შესახებ და დასასრულ ბოდიშს იხდის, რომ შეიძლება მას მოხსენებაში რაიმე გამოჩრეს, ან კარგად ვერ განმარტოს ესა თუ ის საკითხი და სხვ. შემდეგ იწყება მოხსენება, რომელსაც დასასრული არა აქვს. მოხსენება კი დაუმუშავებელია. ამ მოხსენებას მისდევს მეორე, მესამე და ასე შემდეგ.

ამნაირად, სხდომები დიდხანს გრძელდება, რაც დამსწრე ამხანაგებში იწვევს პასიურობას. რომ ძალიან დიდი სურვილი ჰქონდეს მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობის მიღებისა, ასეთ პირობებში ამხანაგი იძულებული ხდება თავი შეიკავოს, რომ სხდომა კიდევ არ გაჭიანურდეს.

ასეთ მდგომარეობას საჭიროა გამოუცხადოთ სასტიკი ბრძოლა. ამისათვის აუცილებელია, რომ ჩვენს უჯრედების სხდომებზე ისმებოდეს მხოლოდ ერთი ან ორი მოხსენება. მაგრამ ეს მოხსენებები უნდა იქნან ყოველ მხრივ დამუშავებული, რისთვისაც ბიუროებს მართებთ მიიღონ სათანადო ზომები, კერძოდ თავის დროზე შეატყობინონ მომხსენებელთ, რომ ისინი მომზადებულნი წარსდგენ უჯრედების წინაშე.

კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ხაზი უნდა გაუსვათ.

ამ ბოლო დროს მასიურ მოვლენადაა გადაქცეული, რომ ამა და ამ დანიშნულ საათზე ამხანაგები სხდომებს არ დაესწრონ. ზოგიერთი ამხანაგები ამას ზაფხულის პერიოდით ხსნიან. მაგრამ ამ მხრივ არც გასულ ზამთრის პერიოდში იყო ყველაფერი რიგზე.

სხდომებზე თავის დროზე დასწრება, დაგვიანების წინააღმდეგ ბრძოლა—აი, რას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ახლად არჩეულმა ბიუროებმა.

ა—ლი.

უპარტიოთა შორის მუშაობისათვის

დღეს სოფლად ჩვენი უჯრედები მიმართავენ ახალ ორგანიზაციულ ფორმებს უპარტიო მასებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. თვით ის ფაქტი, რომ ხშირ-ხშირად იმართება უჯრედების ღია სხდომები, რომლებზედაც ირჩევა საჭირბოროტო ხასიათის საკითხები და ამ ღია სხდომებზე იზრდება უპარტიო დამსწრეთა რიცხვი, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ამ საკითხების გარჩევაში—ამის საუკეთესო საბუთია.

თუმცა აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქის, განსაკუთრებით კი სოფლის ორგანიზაციებს ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მართებთ ამ სხდომების შინაარსის გაუმჯობესებისათვის. თუ ჩვენი პარტიული ამხანაგები კარგად შეისწავლიან სოფელს, მათ ეცოდინებათ ის, თუ რა აწუხებს და რა ესაჭიროება გლეხობას—შესაძლებელი გახდება ამ ღია სხდომების შინაარსის გაუმჯობესებაც.

პარტიული მუშაობის ამ მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

როგორც ვიცით, ჩვენში მრავლად მოიპოვება ისეთი ადგილები, სადაც პარტუჯრედები არ არსებობენ. აქ ისმის საკითხი: როგორ შეგვიძლია დავამყაროთ გლეხურ მასებთან მჭიდრო კავშირი, სადაც არ არსებობენ პარტუჯრედები?

რუსეთში პარტუჯრედები თავიანთ წევრებს ცალ-ცალკე ამაგრებენ სხვადასხვა სოფლებზე, სადაც ასეთი უჯრედები არ არსებობენ. მიმაგრებული ამხანაგები რეგულიარულად მიემგზავრებიან სოფლად, სადაც ეხმარებიან საზოგადოებრივ და საბჭოთა ორგანიზაციებს ამა თუ იმ მითითებით, აძლევენ გლეხობას ახსნა-განმარტებებს და რჩევა-დარიგებებს. მაგრამ მიმაგრებული ამხანაგების მუშაობა მხოლოდ ამით არ განისაზღვრება, ისინი ამა თუ იმ სოფლის საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაკებთან იკავებენ პირად და მუდმივ კავშირს, მართავენ მათთან მიწერ-მოწერას და სხვ. აი, ამ მიმაგრებულ ამხანაგების საშუალებით პარტუჯრედები გებულობენ სოფლის მდგომარეობის ნამდვილ სურათს, ამნაირი გზით სათანადო დახმარებას უწევენ სოფლის გლეხკაცობას და მჭიდრო კავშირსაც ამყარებენ მასთან.

საჭიროა, ამხანაგების ეს მიმაგრების სისტემა ჩვენშიაც შემოღებული იქნეს, რადგან საქართველოში მრავალია ისეთი ადგილები, სადაც პარტუჯრედები სრულებით არ არსებობენ.

როდესაც ლაპარაკია უპარტიოებთან კავშირის დამყარებაზე, აუცილებლივ უნდა შევჩერდეთ უპარტიოთა აქტივის საკითხის შესახებ. ჩვენს უჯრედებს უპარტიოთა აქტივის შექმნის საქმეში ჯერ კიდევ არა აქვთ საკმაო მიღწევები. უპარტიოთა ჩაბმა უჯრედების პრაქტიკულ მუშაობაში არ მიმდინარეობს ისე, როგორც ეს საჭიროა. პარტიაში ახლად მიღებულნიც, რომელთა უშუალო მოვალეობას წარმოადგენს უპარტიოთა შორის მუშაობის გაცხოველება, უპარტიოთა მიზიდვა უჯრედების სხდომებზე, ამ მიმართულებით ვერ აწარმოებენ სათანადო მუშაობას. ახლო მომავალში ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. უჯრედებში უნდა შევქმნათ და გავაძლიეროთ უპარტიოთა აქტივი.

ც—ლა.

კომკავშირი და „მოსავლის დღესასწაული"

საქართველოს კომკავშირმა ორჯერ მოინდომა ამ „დღესასწაულის" ჩატარება, მაგრამ მას არ გამოეხმაურენ პარტიული და სხვა ორგანიზაციები, რის გამო ამ „დღესასწაულს" არავითარი კვალი არ დაუმჩნევია.

რუსეთში კი მან ფართო ხასიათი მიიღო.

რას წარმოადგენს ეს „დღესასწაული"?

ჩვენ არ გვაინტერესებს მარტო ზეიმი. ჩვენი მიზანია ჯამი გამოუყვანოთ გასულ სამეურნეო წელს; ყველას დავანახოთ გაუმჯობესებული მეურნეობის ნიმუშები; ადგილობრივ პირობების მიხედვით დავისახოთ მომავალი ამოცანები სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად; შევაფასოთ აგრონომის, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობის, საცდელ-საჩვენებელ სადგურების, აგროპუნქტების, სასოფლო-სამეურნეო წრეების მუშაობა; გავაცნოთ გლეხობას საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის განსავითარებლად და სხვ.

ამნაირად ამ კამპანიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად. ამიტომ ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ყველა ორგანოები (მიწად-მოქმედების კომისარიატი, წარმოკავშირი, პოლიტგანათლების მმართველობა), რომელნიც სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდას აწარმოებენ სოფლად, უნდა დაეყრდნონ კომკავშირს, უკეთ ვსთქვათ, მის უჯრედებს და მათთან ერთად მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ „მოსავლის დღესასწაულის" ჩატარებაში.

„დღესასწაულის" მთავარი ძალა უნდა იყოს აგრონომი; მან თითოეულ სოფლის პირობების მიხედვით უნდა გააცნოს გლეხობას, თუ როგორ შეიძლება მეურნეობის გაუმჯობესება, რადგან მხოლოთ ზოგადი მსჯელობით გლეხს ვერ დავაინტერესებთ.

ამ მუშაობის ფერხულში უნდა ჩაებას მასწავლებლობაც. „დღესასწაულმა" უნდა განამტკიცოს მასწავლებლობის უნდა კომკავშირის შეთანხმებული და საქმიანი დამოკიდებულება.

„მოსავლის დღესასწაულმა" სკოლებში, მოწაფეთა შორისაც უნდა შეიჭრას. მოწაფეებმა მასში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ. ამით ხელს შევუწყობთ სკოლების სოფლის მეურნეობასთან დაახლოვებას.

აგროწრეებმა, რომლებიც დაარსებულნი კომკავშირის თაოსნობით, ჯამი უნდა გაუკეთონ თავიანთ მუშაობას და მიღებულ გამოცდილებათა მიხედვით დაისახონ ახალი ამოცანები.

საშეფო საზოგადოებასაც ეხლა ეშლება მუშაობის ფართო ასპარეზი. მან უნდა მიაწოდოს სოფელს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, გაუგზავნოს ლექტორები, გაუმჯობესებული იარაღები და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თემის ცენტრში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობას. სამაგალითო ექსპონატების წარმომდგენ გლეხებს ჯილდო უნდა მიეცეს. ამით ჩვენ მათ უფრო წავახალისებთ.

მთელი ეს ზეიმი ქოხ-სამკითხველოში უნდა ჩატარდეს. მრავალთა შორის, ქოხ-სამკითხველოებში უნდა მოეწყოს „სასოფლო-სამეურნეო კუთხეები".

ამ რთულ საქმის შესასრულებლად საჭიროა ეხლავე მზადება. პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებმა უნდა უხელმძღვანელონ ამ „დღესასწაულს" და გამოყონ კომისიები, რომლებშიც იქნებიან ყველა ორგანიზაციების და გლეხობის წარმომადგენლები.

შარშანწინ ამხ. ნ. კრუპსკაიამ სთქვა: „მოსავლის დღესასწაული" გადაიქცევა ნამდვილ კულტურულ დღესასწაულად...

დიდება და პატივი კომკავშირს კარგ ინიციატივისა და მხურვალე ლტოლვისათვის და მის ცხოვრებაში გასატარებლად"-ო.

საქ. ლენინური კომკავშირი მთელ თავის ენერგიას დახარჯავს ამ „დღესასწაულის" ღირსეულად ჩასატარებლად, ხოლო მასთან უნდა იყვნენ დანარჩენებიც.

ე. ფრანგიშვილი.

უნდა გავაძლიეროთ მუშაობა

საჭიროა თვალი გადავავლოთ დღევანდელ სოფლის სინამდვილეს, დავრწმუნდეთ, რომ ადგილობრივი გლეხკაცობის აქტივობა იმდენად გაიზარდა, რომ სოფლის კომუნისტები მრავალ შემთხვევაში ვერც კი აკმაყოფილებენ გლეხების მოთხოვნილებებს.

ამას ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დღეს უნდა მიაპყრონ განსაკუთრებული ყურადღება.

რა გვმართებს ჩვენ ამ შემთხვევაში?

საჭიროა პარტიულ მასის აქტივობის გაზრდა და ამხანაგებში პარტგანმანათლებელ მუშაობის გაცხოველება. ეს ამოცანა უნდა გადავჭრათ როგორც წესი და რიგია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შორს ვერ წავალთ.

პარტიის თვითეული წევრი სწორედ უნდა ერკვეოდეს პარტიის პოლიტიკაში, პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებებში. მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი. საჭიროა პარტიის წევრი იყოს საუკეთესო აგიტატორი და პარტიის პოლიტიკის სისწორით გამშუქებელი ფართე გლეხკაცობაში.

პარტიის პოლიტიკის მახინჯად გაგება და მიმდინარე მომენტში სალათ ვერ გარკვევა—აი ასეთი მდგომარეობა ძირ-ფესვიანად უნდა აღმოვფხვრათ.

ჩვენი მორიგი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აღზრდის და თვითგანვითარების საქმე პარტიის წევრებში სათანადოთ იქნას მოგვარებული. პარტიის ორგანოები ამ მიმართულებით ღებულობენ ზომებს. საჭიროა ამ სფეროში მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება.

ა. კ. ბოჭუა.

წერილები ადგილებიდან

ქ. ცაგერი (ლეჩხუმის მაზრა)

როგორ მიმდინარეობს მუშაობა ქ. ცაგერის კომუჯრედებში.

ქ. ცაგერში არსებობს ორი კომუჯრედი: ერთი პარტკომთან და მეორეც აღმასკომთან. ამ ბოლო დროს უჯრედების მუშაობა საგრძნობლად გამოცხოველდა ამხანაგებში განმტკიცდა დისციპლინა: აღარა აქვს ადგილი კრებებზე დაგვიანებას და დაუსწრებლობას. გარდა შინა-პარტიული მუშაობისა კომუჯრედში დაინტერესებულნი არიან საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებითაც. ზაფხულის პერიოდში კომუჯრედების მიერ მოწყობილ ღია სხდომებზე მოსმენილ იქნა სხვადასხვა ორგანოების მუშაობის საანგარიშო მოხსენებები, რომელთა გარშემო გამართულ კამათში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ როგორც პარტიული, ისე უპარტიო ამხანაგები.

ა|წ. 2 ოქტომბერს მოწვეული იყო კომუჯრედების გაერთიანებული სხდომა, რომლის დღის წესრიგში იდგა საკითხი ადგილობრივ ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობაზე. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ განყოფილებას არ სცოდნია სად არის და ვის აქვს ცაგერის საავადმყოფოს ინვენტარი: რკინის საწოლები, ლოგინის მოწყობილობა და სხვა. მაგრამ კამათში გამოირკვა ისიც, რომ ეს ინვენტარი განათხოვრებული ყოფილა კერძო პირებზე იმ დროს, როდესაც თვით ავადმყოფები მოთავსებული არიან ხის საწოლებზე. ასეთი უგემო მუშაობის გამო სხდომამ განყოფილების მუშაობა სცნო არადამაკმაყოფილებლად და გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა რევიზიის მოხდენა.

სასურველია, რომ ასეთ სხდომებზე დაესწრენ კომკავშირელებიც. ამასთანავე აუცილებელია, რომ ასეთი ღია კრებები ხშირ-ხშირად იმართებოდეს.

ვარამი.

საჩხერე (შორაპნის მაზრა)

პოლიტ-ცოდნის მოძრავი სკოლის მუშაობა

სამი თვე ნახევარია მას შემდეგ, რაც საჩხერის რაიონში მუშაობს პოლიტ-ცოდნის მოძრავი სკოლა. სკოლას ხელმძღვანელობს ამხ. თ. ცინცაძე, რომელიც არავითარ ძალღონეს არ ზოგავს იმისათვის, რომ პოლიტ-ცოდნის მოძრავი სკოლის მუშაობა თავის სიმაღლეზე დააყენოს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ ამ ამხანაგს რაიონის სხვადასხვა სოფლებში მიმოსვლისათვის სიცხეში ერთხელაც ვერ აღმოუჩინა ცხენით დახმარება, ის მაინც ფეხით განაგრძობს სიარულს თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის. რაიონში დაარსებულია ოთხი პოლიტ-ცოდნის მოძრავი სკოლა: ერთი თვით საჩხერეში, მეორე—სოფ. ჭალაში, მესამე—ქორეთში და მეოთხეც არგვეთში. ეს სოფლები ერთი მეორისაგან 8—9 ვერსით არიან დაშორებული. მეცადინეობა სკოლებში კარგად მიმდინარეობს.

გარდა ამისა ამხ. ცინცაძის მეოხებით გამოცხოველებული იქნა ქოხ-სამკითხველოს საბჭოს მუშაობაც, მას მიერ სოფლებში მოწყობილ იქნა ლიტერატურული გასამართლება, რითაც ადგილობრივი გლეხკაცობა დიდათ კმაყოფილი დარჩა.

ერთი სიტყვით ამხ. ცინცაძის ჩამოსვლით საჩხერეს რაიონში როგორც პოლიტიკური, ისე კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა გამოცხოველდა.

მეთვალყური.

ტფილისი

ჩვენი უჯრედი მოისუსტებს

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს სადურგლო-სამკრო კომუჯრედში წევრთა რიცხვი ძალიან მცირეა. ამიტომ უჯრედში მუშაობაც მოისუსტებს. თუმცა პარტიული კრებები ყოველთვის და თავის დროზე იმართება, მაგრამ ღია სხდომები კი არა. იმისათვის, რომ უპარტიოთა შორის გავაძლიეროთ მუშაობა, დავრაზმოთ ისინი ჩვენ კომუჯრედის გარშემო, საჭიროა უჯრედი ხშირად აწყობდეს ღია სხდომებს, რომლებზედაც უნდა დაისვას საჭირბოროტო საკითხები. თუ პირველ ხანებში რაიონულმა კომიტეტმა სათანადო დახმარება არ აღმოუჩინა ჩვენ უჯრედს, მუშაობა წინ ვერ წავა. უჯრედზე მომაგრებული უნდა იქნენ საკმაო რიცხვი ამხანაგებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ლაპარაკი უჯრედის მუშაობის გაცხოველებაზე —ზედმეტია.

ჩიკო.

ქობულეთი (აჭარა)

პარტკომმა დაარსა „რემედას"-ის ბიურო

ამას წინად ქობულეთის მაზრაში პარტიული კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დაარსებული იქნა „რემედას"-ის ბიურო, რომელმაც მუშაობა დაიწყო 8 სექტემბრიდან. ამ ხნის განმავლობაში ბიურომ ჩამოაყალიბა 10 უჯრედი, რომლებშიაც ირიცხება 125 წევრი. „რემედას"-ის უჯრედების წევრები იწერენ „სოფლის კომუნისტს", ჟურნალ „რემედასს" და სხვა წიგნებს.

უსურვებთ ამ უჯრედებს ნაყოფიერ მუშაობას.

წევრი

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

სოფ. მათხოჯი

(ხონის რაიონი)

როგორ მუშაობს ჩვენი უჯრედი

სოფ. მათხოჯის უჯრედი დაარსდა 1921 წელს. პირველად ამ უჯრედში ირიცხებოდა 15—20-დე ახალგაზრდა. მუშაობაც მოისუსტებდა, რადგან არ გვყავდა პოლიტიკურად საკმაოდ მომზადებული ამხანაგი ხელმძღვანელები. მაგრამ ამ ბოლო დროს უჯრედი ძლიერ გაიზარდა. ის თავის ირგვლივ იკრებს 60-დე ახალგაზრდას. უჯრედში ნაყოფიერ მუშაობის წარმოებისათვის და წევრთა შორის აქტივობის ასაწევად ა|წ. 20 ენკენისთვეს უჯრედის მორიგ სხდომაზე გადაწყდა, რომ უჯრედი გაიყოს ორ ნაწილად. საჭიროა თემკომმა და რაიკომმა უჯრედის ამ დადგენილებას მხარი დაუჭიროს და უჯრედებში გამოგზავნოს უფრო მომზადებული ამხანაგები.

როგორც ვიცით, სოფ. მათხოჯი აშენებს უზარმაზარ სახალხო სახლს. ამ საქმეში მეტად დიდი წვლილი შეაქვთ უჯრედის წევრებს, რომლებიც კვირაში ერთხელ გამოდიან უპარტიო ახალგაზრდობასთან ერთად და გულმოდგინეთ მუშაობენ სახალხო სახლზე.

ა. დ. მათხოჯელი.

სოფ. საგარეჯო

(გარე კახეთი)

ჩვენი ორგანიზაცია გადავიდა სათემო სისტემაზე

საგარეჯოს კომკავშირის ორგანიზაცია სათემო სისტემაზე გადავიდა 1925 წ. — 10 სექტემბერს. ამ გადასვლამ დიდი ცვლილება შეიტანა უჯრედების მუშაობაში. ამხანაგებში განმტკიცდა დისციპლინა, სოფელ ნინოწმინდაში დაარსდა ახალი უჯრედი, სადაც წევრების რაოდენობა აღწევს 20 კომკავშირელს. ჩაბმული არიან სხვადასხვა სამუშაოებში, კედლის გაზეთის საქმეც კარგადაა დაყენებული, ამოძრავდა დრამატიული და პოლიტწრეები და სხვა. ერთი სიტყვით მუშაობა დაიძრა ერთ წერტილიდან.

თ. წიწაძე.

პარტიული ქრონიკა

თბილისის კომიტეტის აგიტ-კოლეგიაში

აგიტ-კოლეგიამ, მოისმინა რა საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მოხსენება დამაკმაყოფილებლად სცნო მისი მუშაობა და შეიტანა მთელი რიგი შესწორებებისა მომავალი მუშაობის გეგმაში.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა

თბილისის კომიტეტის აგიტ-კოლეგიამ აღნიშნა პროფორგანიზაციების კულტურულ მუშაობის უარყოფითი მხარეები და საჭიროდ სცნო მომავალში მათი აღმოფხვრა და მუშების კომუნისტური აღზრდის გაძლიერება.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილების და პარტორგანიზაციების დამოკიდებულების შესახებ

აგიტკოლეგია აღნიშნავს, რომ პროფკავშირების კულტგანყოფილებები არ უთანხმებენ თავიანთ მუშაობას პარტორგანიზაციებს და კომკავშირს, რის გამო წინადადებას აძლევს კულტგანყოფილებას მომავალში ბოლო მოუღოს ასეთ არანორმალურ მოვლენას პარტორგანიზაციებთან ურთიერთობაში.

საკლუბო მუშაობა.

აგიტ-კოლეგია საკლუბო მუშაობას სთვლის კავშირების კულტგანყოფილებათა უმთავრეს მუშაობათ, რის გამო წინადადებას აძლევს კულტგანყოფილებებს გააძლიერონ პარტიის და კომკავშირის წევრების ჩაბმა საკლუბო მუშაობაში, გააძლიერონ აგრეთვე პარტიული გავლენა კლუბებში და მოაწყონ პარტკოლექტივები.

ახალგაზრდათა სექციების მოწყობა.

კლუბებში ახალგაზრდათა სექციების მოსაწყობათ და ამ სექციებში ახალგაზრდობის ჩაბმის გასაძლიერებლად, პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას წინადადება მიეცა გაატაროს ცხოვრებაში რუსეთის ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცეკას დირექტივა, რომელიც შეთანხმებულია საკავშირო პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან.

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიაში

კომკავშირის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ

საორგანიზაციო კოლეგიამ, მოისმინა რა მოხსენება საქ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის მუშაობაზე, მიიღო მთელი რიგი პრაქტიკულ წინადადებებისა კომკავშირის მუშაობის გასაძლიერებლად.

პარტიული კადრის გასაძლიერებლად

საორგანიზაციო კოლეგიამ, კომკავშირში პარტიულ კადრის გაძლიერების მიზნით, წინადადება მისცა რაიონულ პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებს გააძლიერონ კომკავშირის აქტივის მიღება პარტიაში და დააჩქარონ პარტიის კანდიდატების (კომკავშირის წევრების) წევრებათ გადარიცხვა.

უმუშევრობის შესახებ კომკავშირელებს შორის.

საქ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტს წინადადება მიეცა შეისწავლოს საკითხი უმუშევრობის შესახებ კომკავშირელებს შორის. საორგანიზაციო კოლეგია საჭიროდ სთვლის აგრეთვე გამოყოს სპეციალური ფონდი იმ უმუშევარ კომკავშირელების გასაგზავნათ, რომელთაც სურთ სამშობლოში დაბრუნება.

პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

პიონერთა ორგანიზაციებში აღმზრდელობითი მუშაობის გასაღრმავებლად გადაწყდა მოწვეულ იქნეს სპეციალური თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება პიონერთა ორგანიზაციებში მუშაობის საკითხები.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა კავშირის ქვედა უჯრედების რეორგანიზაციის გამო

თითქმის უკვე ყველა კავშირებში დაიწყო შემოდგომის „კამპანია" ადგილკომების გადახალისების მიზნით. განათლების კავშირში კი ამ გადახალისებასთან ერთად პარალელურად მიმდინარეობს რეორგანიზაციაც. დღემდე განათლების კავშირი თბილისში მყოფ კავშირის წევრთ აერთიანებდა სარაიონო ადგილკომებში. თითეულ ადგილკომში შედიოდა ოთხასი, ხუთასი და ხშირად მეტი წევრიც. რა თქმა უნდა, ასეთი მრავალრიცხოვანი ადგილკომი ვერ იქნებოდა საკავშირო მასასთან ახლოს და ამიტომ გადაწყვეტილი იყო ადგილკომების რეორგანიზაცია დაწყებულიყო ჩვენთან გაზაფხულში, მაგრამ განათლების კავშირის მუშაობის სპეციფიურობის გამო, გადატანილ იქნა იგი შემოდგომისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხნის განმავლობაში განსაკუთრებით ზოგიერთი ადგილკომების მუშაობა ძალზედ მოდუნდა რაიცა ეჭვს გარეშეა, გამოწვეული იყო მომავალი რეორგანიზაციის მოლოდინში.

აღსანიშნავია, ის გარემოებაც, თუ როგორ ხვდებოდა ჩვენი კავშირის წევრები და განსაკუთრებით კი, მასწავლებლობა, რეორგანიზაციას. რა საკვირველია, რეორგანიზაციის აუცილებლობა აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევდა და ყველანი თანახმანი იყვნენ.

სხვა კითხვებთა შორის ყველა კრებებზე სვამენ კითხვას იმის შესახებ, ისარგებლებს თუ არა ახლად არჩეული ადგილკომი (შედარებით მცირერიცხოვანი) იმ უფლებებით, რა უფლებებითაც იყო აღჭურვილი სარაიონო ადგილკომი; დაურიგდებათ თუ არა მათ სათანადო ინსტრუქციები და დებულებები. რა თქმა უნდა, ამ კითხვებზე მათ ეძლევათ გარკვეული და დადებითი პასუხი.

ადგილკომების რეორგანიზაცია ყველა რაიონებში დამთავრდება დაახლოვებით ოქტომბრის დამლევს, ვინაიდან ახალი გეგმით, ნაცვლად 17 სარაიონო ადგილკომისა თბილისში გვეყოლება 80—90 ადგილკომი. ჩვენი კავშირის სათანადო განყოფილებებს ამ მოკლე ხნის განმავლობაში დასჭირდებათ ხელმძღვანელობის ძალზე გაძლიერება. ახლად არჩეული ადგილკომები კი თავის მხრივ, ვიმედოვნებთ, ყოველივე ღონეს იხმარებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობის შესასრულებლათ და მათი ამომრჩევლების იმედების გასამართლებლათ.

ვ. ფანცულაია.

მუშაობა მოჯამაგირეთა შორის

სოფლის მეურნეობაში გაფანტულ მრავალრიცხოვან მოჯამაგირეთა შეკავშირება დღეს ერთ-ერთ თვალსაჩინო საქმედ ითვლება. ამ საკითხის გადაწყვეტა მინდობილი აქვს მიწატყის პროფესიონალურ კავშირს.

ამჟამად ჩვენში შეკავშირებულია —10.000 მეტი მოჯამაგირე. ა/წ. 1 მაისამდე, აღრიცხულია მთელ საქართველოში მხოლოდ—5.525 მოჯამაგირე, რომელთაგან — 25,8 პროც. ს კავშირი აქვს მეურნეობასთან და 25 პროც. კი გადაყვანილია კავშირში წევრებად. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მოჯამაგირეებს აქვთ სოფლის უჯრედები რომლებთანაც მიმაგრებული არიან აქტიური კომკავშირელები და აწარმოებენ მუშაობას.

ხელფასი და სოც. დაზღვევა

მოჯამაგირეთა ხელფასის საზღვრის აწესებს კავშირი, დამქირავებლის ეკონომიური მდგომარეობისდამიხედვით და სდებს მათთან სათანადო შრომის ხელშეკრულებებს.

ა/წ. მაისისათვის დადებულია სულ 4.325 ხელშეკრულება, რომელთა მიხედვით მოჯამაგირის მინიმალური ხელფასი განისაზღვრება (სასმელ-საჭმელის და ტანისამოსის ჩართვით)—7 მანეთით; მაქსიმალური—30 მანეთით და საშუალო კი—10 მან. და 44 კაპ. თვიურად. არიან მოჯამაგირეები, რომლებიც მუშაობენ დღიურად. მათი დღიური ხელფასი სეზონურ მუშაობის დროს ქანობს—60 კაპიკიდან—ექვს აბაზამდე და განსაკუთრებულ შემთხვევებში 3—5 მანეთამდეც კი ადის.

რაც შეეხება მოჯამაგირეთა დაზღვევის საკითხს, იგი ტარდება შრომის სახ. კომისარიატის დადგენილების № 2 (1924 წ. 1 ოქტ.) თანახმად.

კონფლიქტები

დამქირავებლებსა და მოჯამაგირეთა შორის ადგილი აქვს დავაუთანხმოებებს. დღემდე აღძრული [illegible] იყო—216 საჩივარი, რომელი[illegible] ბოდა—247 მოჯამაგირეს. მათგან მოჯამაგირეთა სასარგებლოდ დამთავრდა—95,4 პროც., დამქირავებელთა—4,6 პროც. და გადაეცა სასამართლოებს—9,7 პროც.

პროფმუშაობის ქრონიკა

სურსათ-გემოვნების კავშირში.

— **საბინაო ამხანაგობები.** სურსათ-გემოვნების კავშირის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო მუშათა სახლების საბინაო ამხანაგობებისთვის გადაცემა.

— **ამხ. ავეტისოვის კოპენჰაგენიდან დაბრუნება.** სურსათ-გემოვნების მუშაკთა კავშირის ც. გ. პ. / გ. მდივ. ამხ. ავეტისოვი დაბრუნდა კოპენჰაგენიდან, სადაც იგი მონაწილეობას იღებდა სურსათ-გემოვნების მუშაკთა საერთაშორისო კონგრესზე. კონგრესის შესახებ ახლო მომავალში ის წაიკითხავს მოხსენებას მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

მიწა-ტყის კავშირში

— **მიწა-ტყის კავშირთა კონფერენცია.** მიწა-ტყის კავშირის ცენტ. გამგეობის დადგენილებით აფხაზეთში 20—25 ოქტომბერში მოწვეულ იქნება მიწა-ტყის კავშირების წევრთა კონფერენცია. კონფერენცია გაიხსნება—ქალ. სოხუმში.

— **ეს მუშებიც კავშირის წევრებად ჩაირიცხებიან.** სიღნაღის მიწა-ტყის თამბაქოს პლანტაციებში მომუშავე შავი მუშები მიწა-ტყის კავშირის ცენტ. გამგ. დადგენილებით, უნდა იქნენ ჩარიცხულნი კავშირში.

— **მწყემსების ჩარიცხვა კავშირში.** მიწა-ტყის კავშირის ცენტ. გამგეობამ დაადგინა სიღნაღისა და თელავის მაზრებში მყოფი მწყემსები (დაქირავებულნი) ჩარიცხულ იქნენ კავშირში. დაევალა ამ მაზრებში არსებულ მიწა-ტყის კავშირის განყოფილებებს გამოაცხადონ მწყემსებს, რომ ისინი (მწყემსები) ვალდებულნი არიან ყოველ თვის დამლევს შეიტანონ საწევრო გადასახადი იმ სამაზრო განყოფილებებში, სადაც ისინი გადადენიან ცხვრის ფარას, ან ჯოგს.

ინსტრუქტორის დანიშვნა.

— სიღნაღის მაზრაში მყოფ მწყემსებს შორის სამუშაოდ. (ეს მწყემსები გადასულნი არიან თელავის მთებში) მიწა-ტყის კავშირის ცენტ. გამგეობამ დანიშნა განსაკუთრებული ინსტრუქტორი.

ზრუნვა მოჯამაგირეებზე.

— მიწა-ტყის კავშირის ცენტრ. გამგეობამ ნება დართო სიღნაღის სამაზრო განყოფილებას, ადგილობრივ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ორგანოების დახმარებით, შეაკეთოს ლაგოდეხში არსებული ყაზარმები მოჯამაგირეთა თავშესაფარის მოსაწყობად.

ქარელის რაიონის დაარსება.

— მიწა-ტყის კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ ნება დართო გორის მაზრაში არსებულ გომის რაიონიდან ქარელის რაიონის გამოყოფის.

— **მოჯამაგირეთა კავშირში ჩარიცხვა.** მიწა-ტყის კავშირის ცენტ. გამგეობამ წინადადება მისცა გორის სამაზრო განყოფილებას მოჯამაგირეების კავშირში დაუყოვნებლივ ჩარიცხვის შესახებ.

მედსანშრომის კავშირში

აფთიაქართა დასასვენებელი სახლი. აფთიაქართა საერთო კრების დადგენილებით ერთ ერთ აგარაკზე მომავალ წელში აშენებული იქნება აფთიაქართა დასასვენებელი სახლი.

რკინისგზის პროფკავშირებში

— **მოითხოვენ შეკეთებას.** სადგურ სკრის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მიმართა სალიანდაგო სამსახურს შეაკეთოს საერთო საცხოვრებელი ყაზარმა.

— **მოსწავლეთა ბრიგადებისათვის.** ხაშურის დეპოს საწარმოო თათბირმა მიმართა ადმინისტრაციას მოაწყოს ხაშურის დეპოს მოსწავლეთა ბრიგადებისათვის საერთო საცხოვრებელი ბინა.

— **25.000 მანეთი.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მისცა ბაქოს საუბნო კომიტეტს საბინაო მშენებლობისათვის 25.000 მანეთი.

— **შეკეთება.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომი შეუდგა კონდუქტორთა აუდიტორიის შეკეთებას მომავალ საზამთრო სეზონში კულტმუშაობის საწარმოებლად.

— **აწყობენ წითელ კუთხეს.** თბილისის უბნის რკ. გზ. დამცველ რაზმის ადგილკომი აწყობს წითელ კუთხეს რაზმელთა შორის კულტმუშაობის საწარმოებლად.

— **ფურნის შეკეთება.** სად. ქიათურის საწარმოო თათბირმა მიმართა „ზაკტპის" შეაკეთოს ქიათურაში არსებული ფურნე.

— **ქოხსამკითხველოები.** ლენინაკანის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მოაწყოს ხაზზე 8 ქოხ-სამკითხველო.

ბრძოლა უმუშევრობასთან

უმუშევართა რიცხვი საზოგადოებრივ სამუშაოებზე

გასულ სამეურნეო წელს ბრძოლა უმუშევრობასთან საქართველოში სწარმოებდა საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობის საშუალებით. დაახლოვებით გამოანგარიშებით 1924—25 საბიუჯეტო წლის განმავლობაში საზოგადოებრივ სამუშაოებზე მთელს საქართველოში დაბანდებული იყო 3.000-დე მუშა ხელი. საშუალოდ ყოველ უმუშევარს უმუშავნია თვენახევარი—ორი თვე. ამ ერთი წლის განმავლობაში ყოველდღიურად მუშაობდა საშუალოდ 1.200 კაცი.

შესრულებული სამუშაოები

გასულ საბიუჯეტო წელს დამთავდა მთელი რიგი საზოგადოებრივ სამუშაოებისა. ზოგიერთი მათგანი—მაგალითად ვერის გზატკეცილის გაყვანა, ქალაქის განაპირა უბნების კეთილმოწყობა გაგრძელდება მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაშიაც. შესრულებულ სამუშაოებს შორის ყველაზე საყურადღებოა თბილისის განაპირა უბნების მოწყობა-მოწესრიგება. უმუშევართა ძალებით განაპირა უბნებში გაყვანილ იქნა წყალსადენი, დაგებულ იქნა ქუჩებზე ქვაფენილები, გაყვანილი ელექტრონის განათება და ამოშრობილ იქნა საბურთალოს ჭაობები.

საზოგადოებრივი სამუშაოები მოეწყო აგრეთვე პროვინციაში, სადაც სწარმოებდა უმთავრესად მუშაობა ჭაობიანი ადგილების ამოსაშრობად. ჭაობების ამოშრობამ გამოიწვია დიდი თანაგრძნობა სოფლებს შორის, რომელნიც თვითონაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ ამ მუშაობაში.

რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში საზოგადოებრივი სამუშაოების საშუალებით სწარმოებდა ახალი ქუჩების გაყვანა.

საზოგადოებრივი სამუშაოები მიმდინარე წლისათვის

საზოგადოებრივი სამუშაოები დაჭაობიანებული ადგილების ამოსაშრობად სოფლად, და პროვინციის ქალაქების კეთილმოსაწყობად გრძელდება მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაშიაც. განზრახულია მუშაობის ფართო მასშტაბით წარმოება ბორჯომის და ბათომის რაიონებშიც.

შრომის კოლექტივები

მიმდინარე ზაფხულზე შრომის სახალხო კომისარიატმა გამოიკვლია შრომის ბაზრის და უმუშევრობასთან საბრძოლველად დაწესებული ორგანიზაციის მდგომარეობა.

სულ საქართველოში მოწყობილი ყოფილა 40-ზე მეტი შრომის კოლექტივი, რომლებშიაც მუშაობს საერთოდ 2000-დე უმუშევარი. მიმდინარე წელს კოლექტივებს მიეცემათ ბანკებიდან სესხი, რაც საშუალებას იძლევა გაფართოვებულ იქნეს შრომის კოლექტივების მუშაობა. მიმდინარე სამეურნეო წელს არსებულ კოლექტივებს გარდა მოწყობილი იქნება ლურსმის წარმოების და ხის დამამუშავების კოლექტივები.

გაფართოვებულ იქნება აგრეთვე სატრიკოტაჟო ფაბრიკა, სადაც დაიდგა 50 წინდის საქსოვი მანქანა.

განზრახულია აგრეთვე ამ მიმდინარე წელს მოეწყოს შრომის სახლები ახალგაზრდებისათვის.

სამზადისს აქედანვე უნდა შევუდგეთ

(1926 წლის საერთო აღწერის გამო)

მთლიანი სტატისტიკური აღწერა, როგორც ვიცით ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთხელ იყო და ისიც ოცდა რვა წლის წინათ. მას შემდეგ ძველი რუსეთი სრულიად გამოიცვალა. ომმა და რევოლიუციამ დიდი ცვლილება შეიტანა არა მარტო მის პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ სამეურნეო ცხოვრებაშიაც. ნიკოლოზის იმპერიის ნაცვლად დღეს ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი გვაქვს, ბურჟუაზიულ წარმოების მაგიერ ჩვენში სოციალისტური მეურნეობაა.

მიუხედავათ ასეთი ძირითადი გარდაქმნისა, ჩვენ დღემდისაც ხშირათ გვიხდება მეფის დროინდელ სტატისტიკის ცნობებზე დამყარება. კულტურულ ქვეყნებში, როგორც მაგალითად ბელგია, ამერიკის შტატები, გერმანია და სხვებია, სახელმწიფოს ფარგლებით სხვადასხვა ხასიათის სტატისტიკური აღწერები ყოველწლიურათ სწარმოებს. მარტოლოდ ძველი რუსეთის ჩამორჩენილობით და უკულტურობით უნდა აიხსნას, რომ საერთო აღწერები იქ, როგორც სისტემა, როგორც სახალხო მეურნეობის მუდმივი თანამხლებელი, არ არსებობდა. ძველი რუსეთის სტატისტიკურ აღწერებს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდათ: ეს იყო ხალხის გადასახადიანობის უნარის გამოკვლევა, მისი სამხედრო ბეგრის მოხდის შესაძლებლობის გამორკვევა. ასეთ მიზანს ისახავდა არა მარტო სახელმწიფოს მიერ წარმოებული აღწერები, არამედ ეგრეთ წოდებულ ლიბერალურ ერობის სტატისტიკაც კი.

ამან ბუნებრივათ შექმნა მოსახლეობაში აღწერისადმი უნდობლობა. გლეხს დღეს არ სჯერა, ვერ წარმოუდგენია, რომ აღმწერი, რომელიც ფანქარით და ქაღალდით მიდის მასთან, გადასახადის და ბეგრის მიზნით არაა გაგზავნილი სახელმწიფოსაგან. ძველი შიში და ეჭვიანობა აღწერისადმი დღესაც მაგრათაა ფესვგადგმული მოსახლეობის უმრავლესობაში. ჩვენ არ შეგვიძლია ასეთ მდგომარეობას შევურიგდეთ. საბჭოთა მეურნეობა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. საჭიროა ანგარიში, საჭიროა გამორკვევა. რა გვქონდა, რა გვაქვს, რა გვექნება, რას წარმოადგენს მთლიანათ საბჭოთა მთელი რესპუბლიკები, როგორც ეკონომიური ერთეული. უამისოთ შეუძლებელია ჩვენი წარმატებით წინსვლა.

კერძოდ სოფლის მეურნეობის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის 1926 წ. სრულიად საკავშირო აღწერას უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა. ჩვენ ერთ მთავარ ამოცანად გვაქვს დასახული წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა. ჩვენ ვისწრაფით სოფლის ფიზიკურად გაჯანსაღებისაკენ, ჩვენ გვინდა გავამრავლოთ და გავაფართოვოთ გზები და ხიდები, ჩვენ გვსურს მოვაშენოთ ჯიშიანი შინაური საქონელი ჩვენ მიზნად ვისახავთ წინ წავსწიოთ მაღალ კულტურის მეურნეობა (მევენახეობა, მეთამბაქოება, მეაბრეშუმეობა და სხვა)—ერთი სიტყვით ჩვენ გვინდა ახალი, ფიზიკურათ ჯანსაღი, კულტურულათ და ეკონომიურათ აყვავებული სოფელი. როგორ შეიძლება ამის მიღწევა, თუ არ გვეცოდინება დღევანდელი მდგომარეობის სურათი, ეხლანდელი სოფლის მთელი ავ-კარგი? არ შეიძლება მაგალითად წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად სკოლების ქსელის შექმნა, თუ არ იცი სად რამდენი წერა-კითხვის უცოდინარია. ასეთივე მდგომარეობაა საექიმო-სასანიტარო პუნქტების ქსელის გამომუშავების დროსაც.

ამიგად საბჭოთა აღმშენებლობაში სტატისტიკას უაღრესი სარგებლობის მნიშვნელობა ეძლევა. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ეხლა, როდესაც ჩვენ სადაცაა გადავლახავთ ომამდე არსებულ ეკონომიურ მიღწევის საზღვარს და ახალი აღმშენებლობის გზით გავეშურებით წინ.

მშრომელ გლეხობამ, მთელმა მოსახლეობამ უნდა გაიგოს, რომ საბჭოთა სტატისტიკა და კერძოთ მომავალი 1926 წლის საერთო აღწერა მიზნათ ისახავს ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის გამორკვევას, ამ ცნობებით იხელმძღვანელებს მთავრობა მოსახლეობის დახმარების საქმეში, რაიმე სტიქიურ უბედურების დროს (გვალვა, წყალდიდობა, ცეცხლი). ამავე ცნობებზე დაყრდნობით უნდა წაიდეს წინ ჩვენი მეურნეობრივი განვითარებაც.

აღწერის საკითხი მარტო სტატისტიკურ ორგანოების საზრუნავ საგანს არ წარმოადგენს. ამ დიდი საქმის ღირსეულათ შესრულებაში, როგორცაა მომავალი 1926 წლის საერთო აღწერა, ერთნაირათ დაინტერესებულნი ყველა საბჭოთა დაწესებულება და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საჭიროა სამზადისის ამ თავითვე შედგომა. საჭიროა ყველას დახმარება და სტატისტიკურ იდეის რაც შეიძლება ფართე პროპაგანდა.

ამისათვის უნდა გამოყენებულ იქნას ყველა კონფერენციები, ყრილობები, საზოგადო კრებები და კედლის გაზეთები.

ჩვენ გვჯერა, რომ ყოველ შეგნებულ საბჭოთა მოქალაქეს ესმის სტატისტიკის მნიშვნელობა და ის არ დარჩება 1926 წლის საერთო აღწერის აქტიურ მონაწილეობის გარეშე.

ა. შ—ელი.

ხმა

საქართველოს ყოფილ სოციალ-დემოკრატ. მუშათა პარტიის წევრების და ყოფილ გვარდიელების, ერწოს რაიონის გლეხების

ჩვენ ერწოს რაიონის ყოფილ სოციალ-დემოკრატ. მუშათა პარტიის (მენშევიკების) წევრები და ყოფილი გვარდიელები სრულიად უცვლელად ვღებულობთ 1923 წ. 25—30 აგვისტოს დეკლარაციას, გამოტანილს ყოფილ მენშევიკების მიერ და ამასთან ერთად გვსურს განვაცხადოთ შემდეგი:

1. 1918 წლიდან მხარდამხარ მივდიოდით იმ მთავრობასთან ერთად, რომელიც თავის თავს ასაღებდა სოციალისტურად და რომელიც ჩვენც გვწამდა ასეთად, ხოლო მისი ხელმძღვანელი პარტია—სოციალისტურ პარტიათ.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ისინი შეასრულებდენ თავიანთ დანაპირებს, მაგრამ მოვსტყუვდით; მიწა, რომელიც უნდა მიეღოთ გლეხებს, რომელიც შეადგენს გლეხების მდგომარეობის მტკივან ადგილს,—ეს მიწა, ისიც უფრო კარგი ხარისხის, შემოფარგლეს და დაიმტკიცეს მემამულეებმა.

2. მენშევიკურ მთავრობას საქართველოს გლეხებისათვის, კერძოთ კი ერწოს რაიონისთვის, არაფერი არ გაუკეთებია და არც ფიქრობდა რაიმეს გაკეთებას.

3. მენშევიკები ჩვენთან, ერწოს გლეხებთან, მოვიდოდენ მხოლოდ მაშინ, როცა ბრძოლა გაიმართებოდა არჩევნების გარშემო, რომ მეტი ხმა მიეღოთ.

4. ყველა იმ ხალხის შემწუხებლებს და მყვლეფელებს, რომლებიც გლეხების ზურგზედ მალაყს გადადიოდენ, მენშევიკური მთავრობა და პარტია დასჯის მაგიერ თბილ ადგილს სთავაზობდენ.

5. ჩვენ, ყოფილი გვარდიელები, ერთ თვეს თუ სახლში ვმუშაობდით, სამ თვეს სულ ფრონტზედ ვიდექით და ვებრძოდით მეზობლებს: თათრებს, სომხებს და რუსებს და სოციალიზმის, ძმობა-ერთობის მაგივრად დამყარდა მტრობა და შურისძიება მეზობლების შორის.

6. უკეთებთ რა ჯამს ერთი მხრით ყოფ. მენშევიკების მთავრობის სახელმწიფოებრივ მუშაობას, მეორე მხრით კი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობას, მივდივართ შემდეგ მტკიცე დასკვნამდე:

საბჭოთა ხელისუფლება, კომუნისტური პარტია სიტყვიდან გადავიდა საქმეზე, შექმნა მტკიცე ფული, გვეხმარება რითაც კი შესაძლებელია მეურნეობაში, გახსნა სოფლებში სკოლები, კოოპერატივები, საკრედიტო ამხანაგობები, გვეხმარება სოფლის გზების შეკეთებაში, გამოგვიყვანეს წყლები სოფლებში სადაც არ იყო, მოსპეს ყაჩაღები, რომელთა შიშით გლეხები—ერთმანეთთან სოფელში ვერ მიდიოდენ, გაჭირვებისას გვაწვდიან სათესლე მასალას, გვაძლევენ გაზეთების საშუალებით იურიდიულ დარიგებას, სასტიკად სჯიან ყველა იმ თანამდებობის პირთ, რომლებიც ძველებურად გლეხებს ანგარიშს არ უწევენ და კიდევ მეტ პასუხს სთხოვენ თვით კომუნისტებს. ამის შემდეგ ყველა ის, ვინც ამ მთავრობას და კომუნისტურ პარტიას გვერდში არ ამოუდგება და ჭირში და ლხინში მასთან არ იქნება, ის ხალხის მტერია, ის არ არის სოციალისტი.

7. და თუ ჩვენ დღეს ასე თავისუფლად უენო ხალხმა გამოვსთქვით ჩვენი გულის პასუხი და მთელი ჩვენი ენერგიით ჩავებით საბჭოთა აღმშენებლობაში, თუ ჩვენ დავრწმუნდით, რომ ერთად ერთი მუშების და გლეხების მთავრობა, მათი გულშემატკივარი და დამცველი არის საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია,—ამაზედ ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი, ერწოს გლეხები მადლობას უძღვნით საბჭოთა მუშაკებს ერწოს რაიონში, განსაკუთრებით ამხ. ი. ცომაიას და ვ. ლეჟავას, რომელნიც მოვიდნენ ჩვენთან როგორც გლეხებთან ამხანაგურათ და გვეხმარებიან ყოველდღიურ საბჭოთა მშენებლობაში.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

1. აფციაური გოგლა 1918 წ. პ. წ.
2. წიკლაური დავით 1919 წ. პ. წ.
3. ოზგაიძე ალექსი 1918 წ. პ. წევ.
4. აფციაური ალექსი გვარდიელი
5. ნადირაშვილი ვანო „
6. გ. წიკლაური „
7. კოტე წიკლაური „
8. წიკლაური სვიმონ
9. ბექაური გიორგი „
10. ტატიშვილი დავითი „
11. ყორიაული დავითი „
12. ბექაური ივანე „
13. გიორგი პატაშური „
14. ბუკუკიშვილი თომა „
15. ხიზანაშვილი იოსებ „
16. რაკაშვილი ნიკო პარტ. თანამგრძ.
17. დავითი პაპუაშვილი „
18. იოსებ მეჯლუმოვი „
19. ოზგაიძე დავით გვარდიელი
20. აფციაური ალექსი „
21. ბექაური დავითი „
22. აფციაური მიტრო „
23. ტატიშვილი ისაკა „
24. აფციაური ლაზარე
25. ჩარბოდაშვილი შაქრო „
26. წიკლაური ხვთისო „
27. პაპუაშვილი ალექსი „
28. ზურაბიშვილი დავითი „
29. გაბიდაური დავითი „
30. მამიკაიშვილი თ. „

31 დ. მეძმეშვილი პ. წევ. 1918 წ.

საბჭოთა აღმშენებლობა

ქუთაისის ბამბის საწმენდი ქარხანა.

ქუთაისის ბამბის საწმენდი ქარხნის აგება დამთავრდება ნოემბრის პირველ რიცხვებში. ხოლო ქარხანა მუშაობას დაიწყებს ნოემბრის შუა რიცხვებში. ქარხანა ყოველდღიურად დაამზადებს 1000 ფუთიდან 1500 ფუთამდე წმინდა ბამბას. ქარხანას ექნება საკუთარი მანქანა „ატლასდიზელი", რომელიც მიღებულია რუსეთიდან. ქარხნის მოსაწყობათ მუშაობა სასწრაფოდ სწარმოებს.

აჭარისწყალის ჰიდროელსადგური.

ამას წინად აჭარისტანის ჰიდროელსადგურის მშენებლობის ექსპერტიზა მოახდინეს ერთი მხრივ გერმანელმა პროფესორ-სპეციალისტმა ლიუდინმა და მეორე მხრივ მოსკოველმა პროფესორებმა მილოვიჩმა, ალექსანდროვმა და ვასილიევმა, რომელთაც წარმოადგინეს სულ სხვა ვარიანტი, ვიდრე პროფ. ლიუდინმა. იმ საკითხის გამოსაკვლევად, თუ რომელი ვარიანტი უფრო ხელსაყრელია და მისაღებია, თბილისიდან აჭარისტანში ჩავიდა სპეციალური კომისია, საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ გამოგზავნილი.

პარკის სახმობი ქარხანა ოზურგეთში.

წარმოკავშირმა გასულ ზაფხულიდან ოზურგეთში გახსნა აბრეშუმის პარკის სახმობი ფაბრიკა, რომელიც მოსახლეობისაგან გასასაღებლად ღებულობს ნედლ პარკს, ახმობს მას, ახარისხებს და გზავნის ბაზარზე გასასაღებლად. ფაბრიკამ დიდი სამსახური გაუწია ადგილობრივ მეაბრეშუმეებს, რომელნიც მათში იძულებულნი იყვნენ მუქთად მიეცად პარკი კერძო ვაჭრებისათვის.

ხე-ტყის სახერხი ქარხანა სოფელ აგარაში

(ჯავახეთი).

ახალციხის სამაზრო გლეხკომი შეუდგა სოფელ აგარაში (აწყურის მაზრა) ხე-ტყის სახერხ ორთქლის ქარხნის მოწყობას. ქარხანაში იმუშავებენ ადგილობრივი გლეხები, რომელნიც მიაწვდიან მას საამშენებლო ხე-ტყეს 50 ვერსის მანძილზე ბორჯომიდან-ახალციხემდე.

კოჯრის ელექტრონის რკინის გზა

ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს კოჯრისაკენ ელექტრონის გასაყვანათ გამოკვლევითი მუშაობის შესახებ ინჟინერმა ლეჟავამ განაცხადა:

პირველი ვარიანტის—სახელმწიფო უნივერსიტეტიდან კოჯორამდე,—დამუშავება უკვე დასრულებულია. 17 ვერსის ნაცვლად ხაზის სიგრძე იქნება 19 ვერსი, რაც აიხსნება იმით, რომ გეოფიზიკური კვლევა-ძიების დროს ზოგ დაბრკოლებების გადასალახავად საჭირო იყო შემოვლა, რის გამო ხაზის სიგრძე გაიზარდა. ტეხნიკური კვლევა-ძიება სავსებით დასრულებულია.

ამჟამად ჩვენ შევუდექით მეორე ვარიანტის დამუშავებას,—კოჯორი—ტაბახმელა — ბოტანიკური ბაღი—თბილისი.

მეორე ვარიანტის ხაზის სიგრძე უდრის 13 ნახ. ვერსს. 20 დღის შემდეგ კვლევა-ძიება დასრულებული იქნება.

მეორე ვარიანტის შესრულება უფრო ადვილია, ვიდრე პირველის. მეორე ვარიანტისათვის საჭირო იქნება მხოლოდ ტოპოგრაფიული კვლევა-ძიება, რაც ადვილი საქმეა.

ქალაქის აღმასკომის მიერ გადადებული ფულები 15.000 მანეთი ამ კამპანიის ჩასატარებლად, სავსებით საკმარისია.

ჯერ-ჯერობით დახარჯულია 7,000 მანეთი.

საგზაო მშენებლობა

აჭარისტანის გზატკეცილები

ამჟამად აჭარისტანის მაზრებში სწარმოებს ექვსი ახალი გზატკეცილის გაყვანა. გზატკეცილების შეერთებული სიგრძე 50 ვერსს აღემატება. ზოგიერთი ამ გზატკეცილთაგანი თითქმის დამთავრებულია. ამ მოკლე ხანში ქედის მაზრაში დამთავრდება 8 ვერსიანი გზატკეცილის გაყვანა. ეს გზატკეცილი იწყება ბათომ-ახალციხის გზატკეცილზე აგებულ ქედის ახალი ხიდიდან და გრძელდება სოფელ მერისამდე, რომელიც ესაზღვრება ოსმალეთის ტერიტორიას. გზატკეცილი ბათომს და აჭარისტანის სამაზრო ცენტრებს უკავშირებს ვერცხლის, ტყვიის, სპილენძის და სხვა მინერალურ მადნებით მდიდარ რაიონებს.

ამ ერთ თვეში დამთავრდება აგრეთვე ქობულეთის მაზრაში მდებარე ჩოხათის გზატკეცილი, რომლის სიგრძე უდრის 16 ვერსს. ჩოხათის გზატკეცილი, რომელიც ბათომ-ქობულეთის შოსეს უერთდება, ბათომთან აკავშირებს ქობულეთის მივარდნილ სოფლებს.

ხულოს მაზრაში სწარმოებს მუშაობა სხალტის გზატკეცილის გასაყვანად. გზატკეცილის სიგრძე უდრის—12 ვერსს. ამავე მაზრაში გაჰყავთ ამჟამად შუახევის გზატკეცილი, სიგრძით 8 ვერსი. ამ გზატკეცილზე კეთდება დიდი რკინატინობის ხიდი, რომლის სიგრძე 24 საჟენს უდრის.

გზატკეცილი კეთდება აგრეთვე აჭარისწყალის მაზრაში. გზატკეცილის სიგრძე უდრის 10 ვერსს, გზატკეცილს ექნება შტოები სოფ. ჩიუნეთს შეუერთებს ბათომ-ახალციხის გზას.

ძველი სამარხის აღმოჩენა

ამ დღეებში თბილისში, ყოფ. ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩების (არა რუსთაველის პროსპექტის) კუთხეში, სადაც ამჟამად შენდება ერთ-ერთი მუშათა სახლი, საძირკველის ჩაყრის დროს, დაახლოვებით ორი არშინის სიღრმეზე აღმოჩენილ იქნა უხსოვარ დროის ნაშთები ნიშნებისმიხედვით ეს სასაფლაო, რომელსაც საკმაოდ დიდი მანძილი უჭირავს, შეიძლება მივაკუთვნოთ ბრინჯაოს საუკუნეს (2—3 ნახ. ათას წლის წინ).

გათხრის დროს აღმოჩენილია სხვა და სხვა ნივთები, რომელთაც აქვთ ისტორიული მნიშვნელობა, მაგალითად თიხის ქოთნები, ბრინჯაოს მორთულობა. სასაფლაოში აღმოჩენილი ჩონჩხი მოწმობს იმას, რომ იმ ეპოქაში მიცვალებულს გვერდით სდებდენ საფლავში.

აღმოჩენილ ნივთების ნაწილი, ბრინჯაოს მორთულობა და ძვლები გაიგზავნა საქართველოს მუზეუმში.

სიძველეთა დაცვა

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სიძველეთა დაცვის განყოფილების გამგე ს. ნ. კაკაბაძემ განყოფილების უკანასკნელი მუშაობის შესახებ განაცხადა:

ამჟამად სიძველეთა დაცვის განყოფილება აწარმოებს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების აღრიცხვას.

აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია ისტორიული ნაშთებით, მუშაობა თითქმის დამთავრებულია. სულ აღმოსავლეთ საქართველოში აღრიცხულია 437 ძეგლი (ციხეები, კოშკები, მონასტრები, მათი ნანგრევები და სხვ.) ამჟამად მუშაობა სწარმოებს დასავლეთ საქართველოში. ზოგიერთ მაზრებში მუშაობა დასრულებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ აღრიცხულ ძეგლთა უმრავლესობა, არა თუ არ ყოფილა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ დიდი ნაწილი არც კი ყოფილა გატარებული რეგისტრაციაში სპეციალურ არქეოლოგიურ გამოცემებში.

განყოფილება იღებს ზომებს ძეგლების ადგილობრივ დასაცავად: იგზავნება სპეციალური აბრები აღრიცხვისათვის; ეწყობა ძეგლების დამცველი აპარატი. თითეულ მაზრაში დანიშნულია სამაზრო რწმუნებულები, ასეთივე რწმუნებულები დანიშნულია თითეული ძეგლის მდებარეობის რაიონში. განყოფილებას ჰყავს მთელ საქართველოში 289 რწმუნებული, რომლებიც დანიშნული არიან სამაზრო და სათემო აღმასკომებთან შეთანხმებით.

ძეგლების დამცველმა განყოფილებამ გამოუშვა სპეციალური ბიულეტენის ორი ნომერი, რომელშიაც, სხვათა შორის, მოთავსებულია აღრიცხულ ძეგლთა სიები.

ბათომში მოწვეულ მხარეთმცოდნეობის ყრილობაზე, ს. კაკაბაძის მოხსენების გამო, მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ საჭიროა ყოველ მხრივ ხელი შეეწყოს ისტორიულ ძეგლების დაცვას და აგრეთვე თბილისსა და საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის ამ მხრივ დამყარებული იქნას მჭიდრო კავშირი.

სხვათა შორის, ს. კაკაბაძემ ილაპარაკა მოხსენებაზე თელავის მაზრაში 200 დესეტინა ურთხმელის ტყის აღმოჩენის შესახებ. ურთხმელა ძალიან იშვიათად გვხვდება ბუნებაში. დასავლეთ ევროპაში ეს ხე ერთეულების სახით გვხვდება, იქ ასეთი ხეები აღრიცხულია და მათი მოჭრა აკრძალულია. საქართველოში მთელი ტყეა შენახული ამ ძვირფას და იშვიათ ხისა. ამ ტყეს 1.500 წლის ისტორია აქვს.

ამგვარად საქართველოში მოიპოვება უდიდესი მნიშვნელობის ტყე, რომელსაც აქვს აგრეთვე უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა.

ძეგლების დამცველმა განყოფილებამ უკვე მოახდინა განკარგულება ამ ტყის დასაც

მიწათმოწყობა ჩვენში

ახალქალაქის მაზრა

ახალქალაქის მაზრა შეიცავს სულ 251.925 დესეტინას, რომელზედაც 115 სოფელია 20.511 ოჯახით (14.715 კომლით) და 76.295 მცხოვრებით ორივე სქესისა. მოსახლეობის რაოდენობის მხრივ სოფლები შემდეგნაირათ ნაწილდება: არა უმეტეს 20 კომლიანი არის სულ 3 სოფელი, 20—50 კომლამდე—1750—100 კომლამდე—28 სოფელი 100—250 კომლამდე—43 სოფელი, 250—500-მდე—20 სოფელი და 500 კომლს ზევით—4. მიწების სხვადასხვაობა შემდეგია:

სამოსახ. ადგილებს უჭირავს	1789 დ.,	ე. ი. 0,7 პრ. მაზ. მთელ. ტერიტორ.
ბაღებს „	117 „	0.0 „ „
ვენახებს „	5 „	0,0 „ „
სარწყავ საყანებს „	2.050 „	0,8 „ „
ურწყავ „ „	74.646 „	30,0 „ „
სათიბებს „	8.000 „	3,2 „ „
სასოფლო საბალახ. „	61.508 „	24,4 „ „
საზაფხულო საძოვ. „	79.000 „	31,4 „ „
ტყეს „	400 „	0,2 „ „
უვარგის მიწებს „	24.410 „	9,7 „ „

ასე რომ სასოფლო-სამეურნეო მიწა (გარდა საიჯარო საძოვრებისა) მოდის ორთაშუალოდ კომლზე 7.2 დესეტინა და თვითეულ მცხოვრებზე—1.93 დეს. როგორც ყველგან, სოფლებს შორის მიწა მეტისმეტი უთანასწოროებითაა განაწილებული. 1923 წელს წარმოებულმა სოფელთაშორისო მიწათმოწყობამ ამ მაზრაში მიაღწია მხოლოდ ასეთ შედეგს:

მიწათმოწყობილი სოფ., რომელშიაც ორთაშ. ოჯახ. ხვდა	3 დან 4 დ.,	აღმოჩნდა	5
„ „ „ „	4 — 5 „	„	15
„ „ „ „	5 — 6 „	„	27
„ „ „ „	6 — 7 „	„	34
„ „ „ „	7 — 8 „	„	20
„ „ „ „	9 — 9 „	„	2
„ „ „ „	9 — 10 „	„	1
„ „ „ „	10 — 14 ნახ.	„	11

ახალქალაქის მაზრაში მისი ჰავის პირობების მიხედვით 5 დესეტინაზე ნაკლები მიწის მქონე კომლი უნდა ჩაითვალოს მცირე მიწის მქონეთ, თუნდა ეს მიწა მთლათ სახნავი იყოს; ამიტომ სოფელთა-შორისო მიწათმოწყობამ 20 სოფელი მაინც დასტოვა დაუკმაყოფილებლად. ამის მიზეზი იყო ის, რომ ამ სოფლებს ახლო არ მოიპოვებოდა სახელმწიფო მიწის ფონდი. კომლზე 10 დესეტინაზე მეტის მქონე სოფლები ყველა მესაქონლის სოფლებია; მათ როგორც აგრეთვე სხვა სოფლებსაც, მათი საქონლის რაოდენობის მიხედვით გადაცემული აქვთ საიჯაროთ 23,000 დესეტინა საძოვარი. დანარჩენი 56,000 დეს. საძოვარი გადაცემულია იჯარით სხვა მაზრებიდან (უმთავრესად კახეთიდან) მოსულ მესაქონლეებზე.

მიწათმოწყობის დროს ახალქალაქის მაზრა გაყოფილი იქნა ორნაირათ: მესაქონლეობის მეურნეობის რაიონი და შერეული მეურნეობისა (მესაქონლეობა და ხვნა-თესვა). პირველ რაიონს მიწა დაეტოვა საძოვრების ნორმებით ორთაშუა 12 ნახ. დესეტინა ოჯახზე. შერეულ მეურნეობის რაიონში მიწა დანაწილდა სოფლებზე მიწების დახარისხებით და სოფლებს ერგო მიწა იმ რაოდენობით, რაც ზევით იყო მოხსენებული. სოფელთა შორის მიწათმოწყობას, რომელიც შესრულდა 1923 წლის განმავლობაში, მოჰყვა 1924 წელში კომლთა შორის მიწათმოწყობა, მაგრამ მიწისმზომელთა რიცხვის სიმცირის გამო ასეთი მუშაობა გათავდა მხოლოდ 6 სოფელში. კომლთა შორის მიწათმოწყობამ სწრაფათ დააყენა ფეხზე საუკეთესო მიწების უხვათ მქონე შეძლებული გლეხობა, რომელსაც ჩამოეჭრა მიწა მცირე მიწის მქონეზე გადასაცემათ. ამის ანარეკლი იყო ის განგაში, რომელიც ცნობილია ახალქალაქის მაზრაში მიწათმოწყობის მიზანშეუწონლათ ჩატარების სახელით. ვერავინ, ვინც იცნობს ახალქალაქის მაზრას, ვერ უარყოფს იმას, რომ ახალქალაქის მცხოვრებთა უკმაყოფილებას უკან უდგანან იქაური კულაკები; ისინი, ითხოვენ რა სახელმწიფო საძოვრების ფონდიდან მიწების მომატებას უკვე გამიჯნულ სოფლებისათვის, იმედოვნებენ, რომ მათ სულ თუ არა, იმდენი მიწა მაინც შერჩებათ, რომ მოჯამაგირეთ გადაქცეული წვრილი გლეხობა ისევ მოჯამაგირეთ დაიტოვონ. ეს რომ ასეა, ამის საუკეთესო დამამტკიცებელი მაგალითი ისაა, რომ ამ ჟამად მოითხოვს მიწების სულობრივი ნორმის გამომუშავებას და ამ ნორმით მიწის მიღებას და არ ჯერდებიან საქართველოს მიწის კოდექსით გათვალისწინებულ საოჯახო ნორმას. სულობრივი ნორმით, თავის თავათ ცხადია, ისარგებლებენ შეძლებული დიდი ოჯახები, რადგან გლეხი რაც უფრო შეძლებულია, მით უფრო ნაყოფიერია და ღარიბი ნაწილი დარჩება პირში ჩალა გამოვლებული. გარდა ამისა სულობრივი ნორმის შემოღება მთელ არევ-დარევას შეიტანს სხვა მაზრების მიწის სარგებლობაში, რადგან შეძლებული მრავალრიცხოვანი ოჯახები სხვაგანაც არის და იქაც მოითხოვენ ამ ნორმაზე გადასვლას. მიწის სულზე დაყოფა ეს თემური მიწის სარგებლობის თანდართული სენია, მაშასადამე პრიმიტიული და უარყოფითი მოვლენა სოფლის მეურნეობისათვის. საქართველოს მიწის კოდექსის ძირითადი დებულებები შემუშავებულია ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ პირობების საფუძველზე და მათი შეცვლა ერთი რომელიმე მაზრისათვის და ისიც სრულიად მიზანშეუწონელი საბაბით არ უნდა იქნას დაშვებული, მით უმეტეს როცა კოდექსი იცავს ღარიბ მეურნეს და ცდილობს მის გამაგრებას.

ერთად ერთი საჩივარი, რომელიც მართლა აწუხებს ჯავახეთს, ეს არის არა მიწისა და საძოვრების ნაკლებობა, ეს არის ტყის უქონლობა და ამ მხრით სრულიად ყურადსაღებია მისი თხოვნა. ამჟამად, როცა უკვე წარმოებს ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გადაცემა სოფლებზე, სრულიად მიზანშეუწონელი იქნებოდა როგორც პოლიტიკური მოსაზრებით, ისე ეკონომიურად, რომ ახალქალაქის სოფლებს გადაეცემოდათ განსაზღვრული რაოდენობის სახელმწიფო ტყე, დასამხრობ ადგილზე, სოფლებზე დანაწილებით, და არა კომლეურად, რადგან ჯავახეთის მცხოვრები ერთგვარ თემურ მიწის მფლობელობას არიან დაჩვეულნი და ტყესაც საერთოდ მოუვლიან. ეს გადაარჩენდა მათზე გადაცემულ ტყეს განადგურებისაგან და სახელმწიფოც ამით მოიგებდა.

მიწათმოწყობის საქმეს ჯავახეთში თავიდანვე დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული, ყველა მაზრაზე მეტი რიცხვი ტეხნიკოსების იგზავნებოდა, რადგან საჭირო იყო ჯავახეთის საძოვრების, ამ ჩვენი მეცხვარეობის ერთად ერთი იმედის, მოწყობა, და მოსალოდნელი იყო საგადასახლებო ფონდის გამორკვევაც. ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმაში ახალქალაქის მაზრა შეტანილია პირველ რიგში, იქ უნდა გაიგზავნოს 30 მიწათმოწყობის ტეხნიკოსი, რომ ჯავახეთის საადგილმამულო გაურკვევლობას ბოლო მოეღოს.

შ. გ—ძე.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში

უდინების სოფლის მოწყობა

ახლად გადმოსახლებულ უდინების სოფ. ზინობიანის (თელავის მაზრა) მოწყობისათვის სახკომსაბჭომ დაადგინა მიიღოს შესაფერი ღონისძიებანი. ამ მიზნით გადებულია სახკომსაბჭოს თანხებიდან 3,000 მან. სოფ. ზინობიანში სკოლის შენობის ასაშენებლად.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაევალა სასწრაფო წესით გამონახოს სათანადო თანხა და მიიღოს ზომები სოფელში წყალსადენის გასაყვანად.

გარდა ამისა წინადადება მიეცა სასოფლო-სამეურნეო ბანკს გასცეს უდინების საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღები რაც შეიძლება გრძელვადიანი სესხის სახით.

მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ბიუროების გარშემო

სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით—მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის საქმეები უნდა ჩამოერთვას სამაზრო მილიციის სამმართველოებს და გადაეცეს სამაზრო აღმასკომთან არსებულ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ბიუროებს.

სახ-ხე „აბრეშუმი“-ს ხელმძღვანელის გაგზავნა საზღვარგარეთ.

აბრეშუმის ფაბრიკის რეალიზაციის საქმეში მონაწილეობის მისაღებად სახკომსაბჭოს დადგენილებით იგზავნება საზღვარგარეთ შ. ჩხეიძე.

კინო-სურათების გაქირავების მონოპოლია

სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც განათლების სახ. კომისარიატს ეძლევა კინო-სურათების გაქირავების მონოპოლიის უფლება.

მაკულატურის და ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია

ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების მიხედვით, საქართველოს სახკომსაბჭომ ნება დართო ცენტრარქივს გამოუსადეგარ და ფასიან ქაღალდების რეალიზაციისაგან შემოსული თანხები მოიხმაროს თავის საჭიროებისათვის. ამ მიზნით აღიძრა სათანადო შუამდგომლობა ა | კ. სახკომსაბჭოს წინაშე.

აბასთუმნის ჰიდრო-ელექტრონის გარშემო

საქ. სახკომსაბჭოსთან მოეწყო კომისია მუშათა-გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის, სახ. საგეგმო კომისიისა და ს. მ. ჯ. საბჭოს წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალა აბასთუმნის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის დამთავრების დაგვიანების, მისი მიზეზისა და აბასთუმნის ელექტრო-ენერგიით მომარაგებაში უწესრიგობის გამორკვევა.

ქრონიკა

ა | კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.

— **საავადმყოფო რკინისგზელებისათვის.** ა | კ. სახ. საგეგმო კომისიამ რკინისგზათა სამმართველოს ხარჯთაღრიცხვაში დამატებით შეიტანა 180 ათასი მანეთი თბილისში რკინისგზელებისათვის ახალ საავადმყოფოს ასაგებად და არსებულ საავადმყოფოების გასაუმჯობესებლად.

— **სოფლის ნაწარმოების გასაღება.** ა | კ. საგეგმო კომისია შეუდგა გეგმის გამომუშავებას სოფლის ნაწარმოების ფართოდ გასასაღებლად.

საქ. შრ. სახ. კომისარიატში

— **შრომის ორგანოების გამოკვლევა.** საქ. შრომის სახალხო კომისარიატი მოკლე ხანში დაამთავრებს დასავლეთ საქართველოს შრომის ორგანოების გამოკვლევას.

— **შრომის პირობების შესწავლა.** საქ. შრომის სახ. კომისარიატმა დაამთავრა კახეთის მევენახეობა-მეღვინეობაში მომუშავეთა შრომის პირობების გამოკვლევა.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

— **ვენახების აღდგენა.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატის გეგმით მომავალ 5 წლის განმავლობაში კახეთში აღდგენილი უნდა იქნას 6 ათასი დესეტინა ვენახი.

— **მეფუტკრეობა.** მიწად. მოქ. სახ. კომისარიატის ცნობით ამჟამად საქართველოში არსებობს მეფუტკრეთა კოოპერატიული ამხანაგობა.

თბილისის აღმასკომში.

— **ხიდების კომიტეტმა** რუსეთის და ბაქოს ქარხნებს დამატებით დაუკვეთა 31 ათასი ფუთი რკინეულობა ხიდისათვის.

— **ცეცხლის მქრობელი პუნქტი.** ამ თვის ბოლოს ლენინის და წყნეთის ქუჩების შესართავთან მოეწყობა თბილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის პუნქტი, ვერის რაიონში ცეცხლის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

— **წყლის მიწოდება.** სექტემბერში ავჭალის წყალსადენმა ქალაქს მიაწოდა 38,001,615 ვედრო წყალი.

— **ქალაქის 1-ლ საავადმყოფოსთან** შენდება სპეციალური განყოფილება როგით ავადმყოფთათვის.

— **გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები.** განათლების განყოფილებას განზრახვა აქვს დამდეგ სასწავლო წელს, მაზრაში გახსნას გლეხთა ახალგაზრდობისათვის 5 სკოლა.

სოც. უზრ. სახალხო კომისარიატში

— **ინვალიდების ხელების გარჩევა.** ოქ. ხაზოვანი და სხვეული ფონდების მითვისების და გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა მიწერილობები გაუგზავნა ყველა სამაზრო და საოლქო განყოფილებებს და სხვა სოციალურ უზრუნველყოფის მაწარმოებელ ორგანოებს მის ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი კომერციულ დაწესებულებაში იმყოფებიან მასთან ესა თუ ის ინვალიდების არტელი, როგორ ასრულებს მათთან დადებულ პირობებს და ხელშეკრულებებს და უხდიან თუ არა მათ ანგარიშებს თავის დროზე.

— **თამბაქოს ნაწარმოების გასაღებლად.** სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ინიციატივით ქუჩებში თამბაქოს ნაწარმოების გასასაღებლად თბილისში მოეწყო ინვალიდების ბადრო „გამარჯვება“, ქუჩებში და ქუჩების კუთხეებში ქალაქის აღმასკომმა მისცა დაუთმო ადგილები განსაზღვრული რაოდენობით. ბადრო მოეწყო და მუშაობს 130 ომის და შრომის ინვალიდი.

საქართველოს „ფიზკულტურის“ უმაღლესი საბჭოში

— საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, ყველა მაზრებსა და ქალაქებში და აგრეთვე პროვინციაში ჩატარებული იქნება „ფიზკულტურის კვირეული“. ფიზკულტურის კვირეული დაიწყება ა. წ. 25 ოქტომბრიდან.

სხვადასხვა.

— **თბ. დამზღვევ კასამ** დაზღვეულთა სამედიცინო დახმარების მოვლენების დაავალა შეუთანხმდეს ქ. ჯანმრთელობის განყოფილებას ქალაქის ამბულატორიებში დაზღვეულთა ოჯახების წევრთა მიღების შესახებ.

— **ს. მ. კ. ს. ხელოვნების და სამეცნიერო ბიურო.** ა | წ. 15 ოქტომბერს საღ. სრულ 8 საათ. ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში (მუშტაიდი) შესდგება ამხ. ნ. სტეფანეცკის ლექცია: „ვულკანები და მიწისძვრა“—შესვლა ყველასათვის უფასოა.

— **მასწავლებელთა კრება.** ხვალ საღამოს 6 ს. განათლების მუშაკთა სახლში შესდგება თბილისის 4 წლედების მასწავლებელთა საერთო კრება.

ხელოვნება

— **ოპერის სეზონის გახსნა.** დღეს გაიხსნება ოპერის სეზონი. მიდის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

— **ახალი ოპერა.** კომპოზიტორმა ზაქ. ფალიაშვილმა დასწერა ახალი ოპერა: „ლატავრა“.

— **„ჭინკა ბიჭი“.** გამოვიდა ლეო ქიაჩელის საბავშვო მოთხრობების ახალი წიგნი: „ჭინკა ბიჭი“. წიგნში მოთავსებულია ოთხი მოთხრობა და დასურათებულია უხვად.

— **საღამო.** 20 ოქტ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ფუტურისტების საღამო: „ლიტერატურული სეზონის გახსნა“.

— **მხატვართა კავშირის** წევრების საერთო კრება შესდგება 17 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე მუშათა სასახლის მცირე დარბაზში.

შემთხვევები

ახალი ყაიდის ავარები.

თბილისი, რომ სავსეა ავარებით, ეს არ არის ახალი ამბავი, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ეს ხალხი წლობით უსაქმოდ მოხეტიალე და მოკრივე, კვლავ ბიჟებს არ ფიქრობენ და თავიანთი თავგასულობით აფიორისტებივით მშვიდობიან მოქალაქეებს.

ეს ძმა-ბიჭები დაჯგუფული მუქთად ჭამენ და სვამენ ხარჯზე მოლხენას, დღეს არ კმაყოფილდებიან მარტო ქეიფით და სხვა რამესაც მიჰყავ ს ხელი. მაგალითად, აჩვენებენ ვინმეს ტყუილ უბრალოდ ჩხუბს, რის დროსაც ამოიღებიან საფულეს, ან საათს... და.. „ბატონისან“ რაინდებივით გაუდგებიან გზას.

ერთ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 12 ოქტომბერს, რესტორან „ელდორადოში“. ამ რესტორანში ნიკოლოზ ლარიძე ქეიფობდა თავის ნაცნობ ქალთან ე. ნ. ამ დროს მაგიდაზე მათ მიუჯდა ვინმე პეტრე ბაბუაძე და ვითომ ეჭვიანობით აღელვებულმა ქალს გაარტყა სილა, რის დროსაც ქალს მოუწყვიტა ყელი. აქვე, ამ დროს „შეყვარებულმა“ ჭიქით „სატრფოს“ ყელიდან გამოაცალა ოქროს ძეწკვი და უკვალოდ მიიმალა.

ქურდი ლომბარდი

ტფილის ზაქარიას ძე მკერვალიშვილი კერძო პირთაგან ღებულობდა ნივთებს გირაოთ და აძლევდა არანორმალურად დიდ პროცენტებზე. თუ დამგირავებელი თავის დროზე ნივთებს ვერ გამოისყიდდა მკერვალიშვილი ფასს უცხადებდა გირაოს დაბრუნებაზე. დაგირავებულ ნივთებს აგირავებდა ქალაქის ლომბარდში—5 პროცენტად.

ერთმა დამგირავებელმა, რომელსაც მკერვალიშვილმა უარი უთხრა ნივთების დაბრუნებაზე, ამის შესახებ აცნობა სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც მკერვალიშვილი დააპატიმრა.

მკერვალიშვილს მრავალი კლიენტები ჰყოლია და სისხლის სამართლის მილიცია მათ სთხოვს გამოცხადდნენ ამხ. დოლიძესთან.

— **ცეცხლი.** 10 ოქტ. სოფ. დიღომში ბესო სოსიტაშვილის ფარეხს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ადგილობრივი ძალებით. ზარალი გამოურკვეველია.

— **შეპყრობა.** 13 ოქტ. შეიპყრეს ვინმე მარიაშვილი, რომელმაც საბჭოს ქ. მდებარე მეფისჩოვ მაღლობლიძის მოიპარა შუბა და სხვა ნივთები.

— **ქურდობა.** 13 ოქტ. რ | ქ. გადაღმა მარიამ ჭავჭავაძის ბინიდან მოიპარეს 208 მან. ნივთები.

— **ვერ მოასწრო.** 12 ოქტ. ტერ-სტეფანოვის ბინაზე შეიპყრეს გ. სარკისოვი, რომელსაც უნდოდა გაეტეხა აღნიშნული ბინა.

მუშათა ცხოვრება

უნომრო ავტომობილი

(მუშის შენიშვნა)

— რატომ არის, რომ ზოგიერთი ავტომობილები დღეს სისწრაფით დამქროლავენ ქუჩებზე ნომერი მოხსნილი აქვს და მილიციაც არ ახერხებს? მკითხა ერთმა მუშამ.

— ეგ იმიტომ არის, ჩემო კარგო, რომ აღარავინ იცოდეს, თუ ნომერი მოხსნილი ავტომობილი ვის ეკუთვნის.—ვუპასუხე მე.

— კარგი, ვინაიდან იმ „ნომრის“ თავი, მაგრამ ნუმერი რადგან არის მოხსნილი?

— ნუმერი იმიტომ არის მოხსნილი, რომ თუ ვინიცობაა, ვინმე დაასახიჩრა, ან გასრისა სასიკვდილოთ, მისზე მულიში „რაინდი“ არ შეიწუხონ და კომისარიატში, ან სასამართლოში არ დაიბარონ...

— ერთიც ვნახოთ, ეგა გინდეს და ფეხი მოსტეხა...

— მერე რა უშავს, ხის ფეხს გაუკეთებენ და ისე ივლის განი ცოტა ინვალიდებია ხის ფეხებით?!

— რომ მოჰკლას ვინმე?!

— არც მაგისთვის შეუშინდება ეს „რაინდი“. მოკლულს წაიღებენ საავადმყოფოში, ჩასდებენ კუბოში და ჭიიდა სასაფლაოსკენ,—იყო და აღარ არის, „ზიზილამ“ შეჭამა... სასაფლაო კი რამდენიც გინდა, იმდენია თბილისში...

— რატომ მილიცია არ უშლის იმ „რაინდ“-ს უნომროთ სირბილს?..

— ჩემთაც, არავინ გაიგოს!..

მუშა ნიკო ან—ძე.

მეტი ყურადღება პენსიონერებს

ჩვენი რკინის გზის პენსიონერები არიან ყოფილი რკინისგზელები, რომლებიც ემსახურნენ რკინისგზას 30—50 წლობით. რკინის გზას შესწირეს მათ თავიანთი ახალგაზრდობა, თავისი ძალ-ღონე, აქ დაკარგეს მათ თავის შრომის უნარი,—მოხუცდნენ, დაუძლურდნენ შრომაში, მუშაობაში—და დღეს კი ღებულობენ „პენსიას“ 10—15 მანეთს თვეში.

რა უნდა გააკეთო 10—15 მანეთით, ეხლა იმათხოვრო, „ისპეკულირო“, მოიპარო, ვინმე მოატყუო. ამი რას იზამ; სული ტკბილია, კუჭი კიდევ სამსახურს მოითხოვს...

მართალია, ჩვენი სახელმწიფო ჯერ კიდევ ღარიბია და მას არ შეუძლია მოხუცთ, შრომის ინვალიდთ—შესაფერისად და სასურველად დააკმაყოფილოს, უზრუნველყოს, მაგრამ თუ მოვინდომებთ, შეიძლება, ყოველი საქმის გაკეთებაც. სახელმწიფო რკინისგზის ადმინისტრაცია, პროფკავშირები და თვით რკინისგზელები თუ მოინდომებენ, საქმე ადვილად გამოსწორდება.

რკინისგზელებში ყოველ თვეში შევიტანოთ თითო პროცენტი ჯამაგირიდან. ამით დიდ თანხა შეგროვდება. ამას მიემატება სახელმწიფოს, რკინისგზის და პროფკავშირის თანხები და ჩვენი მოხუცებული, ჩვენი ინვალიდ-პენსიონერები უზრუნველყოფილი იქნებიან და მოხუცებულობის ჟამს არ დასწყდებიან.

ეს ასეც უნდა მოხდეს, ეს ჩვენი რკინისგზელების მოვალეობაა.

ჩვენი პროფკავშირის გამგეობა, იმედია, ამ გარემოებას მიაქცევს სათანადო ყურადღებას და მომავალ ყრილობაზე გადასწყვეტს ამ საკითხს.

მემანქანე ს. ფა—ძე.

მუშათა საბინაო ამხანაგობა

(წერილი სენაკიდან)

მუშათა და მოსამსახურეებისათვის ბინების მოწყობის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი აღორძინებისათვის.

ბინების კრიზისმა ქალაქებში შეაკავშირა მუშა-მოსამსახურეები საბრძოლველად ამ არანორმალობის წინააღმდეგ.

სენაკში 1 ოქტომბრიდან უკვე შესდგა მუშათა საბინაო საამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა, სახელწოდებით „შეგნება“. ამხანაგობაში უკვე 20 წევრია და მიღებული აქვთ სათანადო წესდება.

ამხანაგობამ აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია სამი კაცის შემადგენლობით. გამგეობას დაევალა მიიღოს საჭირო ზომები ბინების აშენების საქმის მოსაწყობად. საწევრო გადასახადი განსაზღვრულია 5 მან. და საპაიო 50 მანეთით. ამხანაგობას ეხმარება ხელისუფლება.

მუშკორი ს. ქვარცხავა.

შრომის ნამდვილი გმირი

ქუთაისის მაუდის ფაბრიკა 8 წელია შენდება. მას ხელმძღვანელობდა ორი ინჟინერი. მთავრობა ხარჯავდა საჭირო თანხას, მაგრამ ფაბრიკის დამთავრების ბოლო არ უჩანდა. მოსალ რაც კეთდებოდა, უწესრიგობა და უთავბოლობა. ჩვენ, მუშები, ყველა ამას ვამჩნევდით, მაგრამ ჩვენი რჩევები მათ ყურადღებას არ იქცევდა. რჩევებზე ისე გვპასუხობდნენ: „ჩვენ, როგორც გინდათ, ისე იმუშავეთ, მეტი თქვენი საქმე არაფერია“. ჩვენც ვუყურებდით თავქედიანი სპეცებს, სხვა გზა არა გვქონდა რა. ბოლოს საქმე გაჭიანურდა. ყველამ დაინახა, რომ ფაბრიკას საჭიროებდა მოქმედი, თავის ხელმძღვანელი მოწყვეტილი მაგარი მუშური ხელი, მუშური საქმის სიყვარულით და გამოცდილებით გამსჭვალული.

1925 წლის იანვარში ჩვენი იმედები გამართლდა, ფაბრიკას დაენიშნა წითელი დირექტორი ამხ. ლ. რუხაძე; ჩვენ მუშები, მას შორიდან ვიცნობდით, რომ ის იყო საქმის მოყვარული კაცი. მას უყვარს მუშები და მათი ინტერესების დაცვა. მაგრამ ამ 8 თვის განმავლობაში ამხ. რუხაძის მუშაობაში სწორედ ჩვენი იმედები გამართლდა.

მოვიდა თუ არა ამხ. რუხაძე პირველათ ის მუშებს გაეცნო, მათ სთხოვა მუშაობაში მხარის დაჭერა. შემდეგ ის მუშების დახმარებით გაეცნო ფაბრიკის ყველა დარგებს და მხარეებს, შეისწავლა ის და შეუდგა ახალი საზომით საქმის მოწყობას. ამხ. რუხაძემ შეიმუშავა ახალი გეგმა, რომლის საშუალებით უნდა მომხდარიყო სრული რეორგანიზაცია ფაბრიკისა. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო, აქ საჭირო იყო არა მარტო საქმის სიყვარული და მუშაობა, არამედ საკმაო თანხაც გეგმის განსახორციელებლად. ეს უკანასკნელი კი არსაიდან ჩანდა. ამხ. რუხაძე ამას არ უშინდებოდა და განაგრძობდა მუშაობას გეგმის განხორციელებისათვის. მისმა გადაულახავმა ნაბიჯმა აქ რამდენიმე კომისიების ჩამოსვლა გამოიწვია. ყველა ერთხმად ადასტურებდა ამხ. რუხაძის გეგმის აუცილებლობას. ამ დიდი საქმის განხორციელებაში ბევრი ხელს უშლიდნენ მას. მაგრამ ყველა ეს დაბრკოლებები გადალახული იქნა, და დღეს ჩვენ ვხედავთ—ფაბრიკის საქმე მაგარ საფუძველზე სდგას. და ამ 8 თვის განმავლობაში შემდეგ მიღწევებს ვხედავთ:

1. აშენდა 5 შენობა, რომელშიც შეიქმნა ერთი მეორესთან ფაბრიკის შენობები და სამჭედლოები.
2. გაყვანილია შდ. რაიონამდე კანალიზაცია.
3. დაიდგა 4 სართავი მანქანა.
4. ერთი საშრობი და გამაფართოებელი მანქანა.
5. ოთხი მაუდის საზომი მანქანა.
6. ორი სათელავი მანქანა.
7. სამი სარეცხი მანქანა.
8. ერთი საღებავი კასრი.
9. ერთი მატყლის სარეცხი მანქანა.
10. ერთი საღებავი მანქანა.
11. ორი მეწვის ამომწევი მანქანა.
12. ექვსი შეწნვრის საქსოვი დაზგა (12 ა ეთიდე დაზგა ამ დღეებში გაიშვება).
13. დაიდგა მატყლის საშუში მანქანა.
14. ყველა ცეხები გადატანილია და მოწყობილია ახალ შენობებში.

ერთი სიტყვით, გაკეთებულია და კეთდება ყველა ის, რისიც აღდგენა და გაკეთება შესაძლებელია.

მშენებლობის გარდა ამხ. რუხაძემ მუშების ხელფასსაც მიაქცია ყურადღება და შედარებით ძველთან 25 პროც. ხელფასს წინ წაიწია.

ამხ. რუხაძის მოღვაწეობა და მუშაობა მარტო ფაბრიკის კედლებს შუა არ ჩერდება, მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით შენდება მუშებისათვის ფაბრიკასთან ახლოს შენობები, საბინაო კოოპერაციის სახელით.

სოც. დაზღვევის სამმართველოს დავალებით ის აშენებს აგრეთვე წყალტუბოში მუშებისთვის სანატორიუმს.

მხურვალე მონაწილეობას ღებულობს პროფმუშაობაში.

ერთი სიტყვით, სადაც მუშის საქმე კეთდება, ამხ. რუხაძეს აუცილებლად იქ ნახავთ.

ჩვენ ვიტყვით, რომ ამხ. რუხაძე დროზე არ დანიშნულიყო ჩვენ ფაბრიკის წითელ დირექტორად ჩვენ დავინახავდით, რომ ფაბრიკის კარები დღეს გამოკეტილი იქნებოდა. დღეს ყველა ეს გადალახულია და ყველაფერი რიგზეა.

აი ნამდვილი შრომის გმირი და მისი უანგარო ნამოღვაწარი.

ქარხნის მუშა ფილიმონ შათირიშვილი.

მადლობის ღირსია ასეთი მუშა

1 ოქტომ. საღამოს 6 საათზე ცეცხლი გაუჩნდა ელექტრონის მავთულებს შმ.-სახელოსნოს სადურგლო სამქროს,—მხერხავ განყოფილებას მაღლა სახურავში. იმავე სამქროს ფხიზელმა მუშამ, მემანქანე ხერგოს კაცხიშვილმა დროზე—შეამჩნია ეს ცეცხლი და წაშლების დროზე ამრით აცილებული იქნა მოსალოდნელი ხიფათი.

მადლობის ღირსია ასეთი ფხიზელი მუშა.

მუშკორი ფანჯიკიძე.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **ზაჩეხის საავადმყოფოს ექიმი.** ზაჩეხის საავადმყოფოს ექიმი შენგელია მეტ ყურადღებას აქცევს ფულის შოვნას, ვიდრე ავადმყოფის მორჩენას: თუმცა ის კარგ ჯამაგირს იღებს, მაგრამ უფასოდ მაინც არ სინჯავს ღარიბ გლეხებს.

ზაჩხუკიძე, მიაქციე ყურადღება.

ზაჩესელი.

— **ზაჩეხის ფეიქარი მუშები.** ზაჩეხის ფეიქარი მუშები მეტ მუშებს ფიზიკურად ეპყრობიან და ხშირად ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებენ მათ. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

ფეიქარი მუშა.

— **სკოლაში სწავლას უშლიან.** რკინის გზის მუშების სკოლა მოთავსებულია ანდრეევის ქუჩაზე, სადაც წინ და წინ დაიარებიან ეტლები და ავტომობილები, რომლებიც ხშირად ძალიან ხელს უშლის სწავლის დროს. ხშირად მასწავლებელი იძულებულია შეაჩეროს რამოდენიმე წუთით გაკვეთილის ახსნა მათი ხმაურობის გამო.

ეს კი აფერხებს სწავლის რეგულიარულ წინსვლაში. ამისათვის აუცილებლად საჭიროა აეკრძალოს ამ ქუჩით გავლა ყველა ასეთი მარგალიტა საზიდავებს და ეტლებს, რომლებიც შეუძლიათ სხვა ქუჩით იარონ.

არ. ხაზ—ძე.

— **აქ დრო არაფრად ფასობს.** ლენინის უბანში არის ერთი მუშათა კლუბი, რომელშიაც ხშირად იმართება წარმოდგენები, ლექციები და კონცერტები, ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ: აქ დანიშნულ დროზე ჯერ არც ერთი წარმოდგენა და ლექცია არ გამართულა. იწყებენ წარმოდგენა-ლექციებს ყოველთვის ერთი საათით და უფრო გვიან.

ახალგაზრდა ნ. შავლიანი.

— **მოიჯარადრე თავგასულობს და მუშებს გლახად ეპყრობა.** ქ. ქუთაისის კინო „ითერის“ მოიჯარადრე სარგებლობს თავისი მდგომარეობით და მახინჯობით. ამავე დროს იგი მეტად უხეშად ეპყრობა მუშა-მოსამსახურეებს ემუქრება სამსახურიდან დათხოვნით. ეს ჩარჩი სარგებლობს და მუშების ექსპლოატაციას ეწევა.

ასწავლეთ ჭკუა ამ ჩარჩს!

მუშკორი ბადეგნი.

— **მწვავე კინო—მარიდიაც მოაწყო.** სახალხო სადგურის მუშებს ტვირთის ატანა მეტად რთულია, რადგანაც მატარებელი დგება მეორე ხაზზე და მუშებს უხდებათ ტვირთის ატანა ნახევარ არშინის სიმაღლეზე. ეს გარემოება მეტად-მეტად აფერხებს საქმეს. „ზაკპოროგის“ ადგილკომი, მიაქციე ყურადღება და მიიღე საჭირო ზომები!

მუშა ნ—როგი.

— **არა დასაშვები ამბავი.** ქალ. ზუგდიდში არსებობს საამშენებლო კავშირი, სამწუხაროდ, ამ კავშირში არ არის ჩაწერილი არც ერთი ახალგაზრდა წევრი, რადგანაც „ბაზინებ“ არ აძლევენ ახალგაზრდა მუშებს კავშირში ჩაწერის ნებას და აშინებენ მათ ადგილიდან დათხოვნით. კავშირი მათი სიტყვით ზარალს აძლევს. შეშინებული ახალგაზრდობაც გაჩუმებულია.

საჭიროა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ახალი უნილაძე.

— **შეაკეთებინეთ ეს ღობე.** გაბაშვილის ქუჩაზე, ამშენებელთა კლუბის ეზოს ფიცრის ღობე გადმოწოლილია ქუჩისაკენ და შესაძლებელია უბედურება მოხდეს რამე, თუ დროზე ყურადღება არ მიექცა ქუჩისკენ გადმოწოლილ ღობეს.

გამვლელი.

— **მიიღეთ ზომები ლოთობის წინააღმდეგ.** ამ ბოლო ხანებში ძალიან გავრცელდა ღვინის სმა მუშებში. თუ ვინმეს სურს სამსახურში წინ წაწევა ან სხვა რამისათვის სურს მასზე მაღლა მდგომის თავის მოქონვა, იგი ხარჯს ეწევა, ვალს იღებს და ღვინოზე, ქეიფზე ჰპატიჟებს, შინ კი ცოლ-შვილი რა მდგომარეობაშია, არ ეკითხება.

საჭიროა ამის წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღება.

მუშკორი ელდარი.

— **ნუ თუ არ შეიძლება ჩვენთვის გასაგებ ენაზე გვასწავლონ.** დეპოს ზეინკალთა თანაშემწეებს გაუხსნეს კურსები, სადაც 40 კაცამდე დაიარება, მაგრამ სამწუხაროდ ასწავლიან მათთვის გაუგებარ ენაზე. ნუ თუ არ შეიძლება მოიწვიონ შესაფერი მასწავლებელი, მემანქანე ამხ. ხოხიძე.

მუშკორი № 26.

— **არ გვინდა ასეთი შეკეთება.** ანდრეევის ქ., № 77 სახლის პატრონმა ძლივს დაიწყო სახლის შეკეთება მთავრობის მიერ მიცემულ თანხით, მაგრამ მდგმურებზე ნაკლებად ფიქრობს. თავის შეკეთებით მდგმურებს უარეს მდგომარეობაში აყენებს. მიაქციეთ ყურადღება.

მუშკორი ქერა.

— **ფხარებს ლაგამი ამოსდევით.** ვერის მუშათა კლუბში თავს იყრიან ვერის უსაქმო ავარა ძმა-ბიჭები და თავიანთი ჩხუბით, აყალ-მაყალით და ლანძღვა-გინებით ეუდღეურებიან დასასვენებლად და სასიამოვნოდ მოსულ მუშა-მოსამსახურეთ.

საჭიროა მილიციამ ყურადღება მიაქციოს.

მუშკორი ა. მოწოთური.

წერილები სოფლებიდან

ლეჩხუმი—სვანეთის შარაგზის მიმართულების შესახებ

გაზეთის ფურცლებზე მრავალჯერ დაწერილა ლეჩხუმ-სვანეთის შარაგზის შესახებ და ყოველთვის მიუთითებდენ ცაგერ-ნიკორწმინდის მიმართულებით გზის გაყვანის მიზანშეწონილობაზე. სხვა მიმართულებების შესწავლას კი ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ჩვენი, მხრივ აქ ცალმხრივობას უნდა ჰქონდეს ადგილი.

საჭიროა ცალ-ცალკე განვიხილოთ ყველა მიმართულებანი, რომლითაც ცაგერის და ქვ. სვანეთის რაიონები უშუალოდ უნდა დაუკავშირდენ საიმერეთო-სამეგრელოს ცენტრებს და შარა-გზებს. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლია წარმოვიდგინოთ სამი მიმართულება: ნიკორწმინდა-ცაგერი, ორპირი-ცაგერი და ხონი-ცაგერი. შევეხოთ ამ სამ მიმართულებათა ცალ-ცალკე დახასიათებას და საკითხის განხილვას. საფუძვლად დავდვათ ეკონომიური მნიშვნელობა, ნიადაგის სიმაგრე და ხარჯების სიმცირე.

ნიკორწმინდა-ცაგერის მიმართულებას თან ახლავს მრავალმნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი. პირველი ის, რომ თანახმად შედგენილ გეგმისა გზა გადაყვანილ უნდა იქნეს ხვამლის მთის მახლობლად ნაკურალეშის უღელტეხილზე, რომელიც საგრძნობლად მაღლაა და ყოველწლიურად 5—6 თვე დაფარულია დიდი თოვლით. ქარბუქი ხშირი სტუმარია ამ ადგილებში; რაც ძლიერ შეაფერხებს მისვლა-მოსვლას. მეორე ის, რომ ამ მიმართულებით ზედმეტად ცნობილი ნიკორწმინდის კლდეებ, რის გატეხვას აუარებელი შრომა დასჭირდება.

მანძილის მოკლე მხრითაც ამ გზას არა აქვს დადებითი მხარეები, რადგანაც შედარებით ორპირის გზასთან, ის მოკლეა მხოლოდ ექვსი-შვიდი ვერსის მანძილზე.

მაგრამ მთავარი, რაც დიდი ნაკლად უნდა ჩაითვალოს, ეს ის არის, რომ ამ მიმართულებას ნაკლები მნიშვნელობა ექნება მთლიანად ცაგერის და ზუბოყურეშის რაიონების მცხოვრებთათვის, რომლებიც ამ გზას დაშორებული იქნებიან. შემდეგი ნაკლი არის კიდევ ის, რომ ამ მიმართულებას არ ახლავს თან ბუნებრივი სიმდიდრენი და აგრეთვე ისეთი მდიდარი რაიონები, საიდანაც შეიძლებოდეს სოფლის ნაწარმოების ამ გზით გატანა. ამის გამო ცაგერ-ნიკორწმინდის გზა მოკლებული იქნება ეკონომიურ მნიშვნელობასაც, ხარჯები კი საგრძნობი დასჭირდება.

განვიხილოთ მეორე მიმართულება: ორპირი-ცაგერის გზა. ამ მიმართულების მთავარი ნაკლი ის არის, რომ ხშირი მეწყერების და სუსტი ნიადაგის გამო გზა არ დამაგრდება. 1905 წელში ამ მიმართულებით არსებობდა შარა გზა, მაგრამ ის რამოდენიმე წლის შემდეგ სრულიად დაიმეწყრა. ამასთანავე ამ გზიდან სრულიად მოწყვეტილი იქნება ბევრი თემი. გარდა ამისა ამ გზას არ ახლავს რაიმე ბუნებრივი სიმდიდრენი—რაც უნდა საჭიროებდეს გზის გაყვანის აუცილებლობას.

გადავიდეთ ხონი-ცაგერის შარაგზის მიმართულებაზე, ეს გზა მოყვება მდინარე ცხენისწყალის ხეობას და მიდის საშუალო ოსეთის გზის პარალელურად. ხსენებულ მიმართულებას თან ახლავს მჭიდროთ დასახლებული სოფლები და თემები. ამ მიმართულებას აქვს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა; სახელდობრ ზუბოყურეშის რაიონში არის საუკეთესო ღირსების ბარიტი. აგრეთვე არის სპილენძის მადანი, კარგი ღირსების და დიდი რაოდენობის. ხონი-ცაგერის გზის საშუალებით შეიძლებოდა ყველა ამ ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება და გაზიდვა, რაც მაზრის ცხოვრებას საგრძნობლათ წინ წასწევდა.

აქვე არის ცნობილი „ლაჟგვერა“-ს გოგირდის აბანოები. ამავე მიმართულებით გზა და გზა უკავშირდებიან ცნობილ გორმაღლის, ქულბაქის, ნაკურალეშის და ახალშენის წიწვიან საშენებელ ტყეებს.

შევეხოთ მანძილის სიმოკლეს. ხონიდან ცაგერამდე დაახლოვებით 52 ვერსია—ხოლო ცაგერიდან ნიკორწმინდით ქუთაისამდე 65 ვერსი. მანძილის სიმოკლეც მისაღებია მხედველობაში, აგრეთვე ისიც, რომ ამ გზის გეგმა, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა უკვე შედგენილია.

რაც შეეხება ხონის ბაზრის მოთხოვნილებას და მის მიერ ჩვენი მაზრის ნაწარმოების გასაღებას, აქ უნდა ითქვას, რომ ხონის ბაზარი შესძლებს დაიტიოს ლეჩხუმის ღვინო და ხილი. ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ ხონის მიმართულებით ძალიან იშვიათად, ან სრულიად არ შეგვხდება სატეხი კლდეები, რადგანაც ასეთი ყველგან გატეხილია, ნიადაგიც მაგარია.

1915 წელში შედგენილი გეგმის თანახმად შეიძლება შტოს გაყვანით ხონი-ცაგერის გზა დაუკავშირდეს სამეგრელოს [illegible] შარაგზას.

[illegible]

სოფლად კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისათვის

ჩვენი სოფელი დღეს ის აღარ არის, რაც ამ 4—5 წლის წინათ იყო. აღორძინების გზაზე შემდგარი ის სწრაფი ნაბიჯით მიიწევს წინ. ამის უარყოფა ჩვენს მოწინააღმდეგესაც არ შეუძლიათ.

იზრდება სოფლის დოვლათი, იზრდება მისი კულტურული მოთხოვნილებაც. რომელ სოფელს ნახავთ დღეს, რომ სკოლა, ბიბლიოთეკა და სხვ. კულტურული დაწესებულება არ იყოს.

თუ წინათ გაზეთი უცხო ხილი იყო სოფლისთვის, დღეს ასე არ არის. ყოველ სოფელს აქვს პატარა ქოხ-სამკითხველო, სადაც სხვადასხვა გაზეთები მოდის. გლეხიც ხალისით ეკიდება გაზეთის კითხვას. ის დაინტერესებულია გაიგოს, როგორც მუშურ-გლეხური რესპუბლიკის მდგომარეობა, ისე უცხო ქვეყნების ამბები.

გარდა ამისა მეტი გლეხი კერძოდაც იწერს გაზეთს, რაც წინად იშვიათი შემთხვევა იყო.

ამით აიხსნება, რომ დღეს პროვოკაციას სოფლად არა აქვს გასავალი რა ჭორებსაც არ უნდა ავრცელებდნენ საბჭოთა ხელისუფლებაზე სოფელში მოკალათებულმა ჩვენმა მტრებმა, გლეხი მაინც არ უჯერებს, რადგან დაწმუნებულია ცნობებს ის გაზეთიდან გებულობს.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქოხ-სამკითხველოების საქმე სოფლად ვერაა კარგათ დაყენებული, ის ვერ აკმაყოფილებს გლეხის მოთხოვნილებას. ჯერ ერთი, რომ სამკითხველოებს თავ-თავის დროზე არ მოსდით გაზეთები. იშვიათი სოფელს ნახავთ, რომ ერთ კვირაზე ადრე მიიღოს გაზეთი. 10—12 დღის გაზეთი ერთად მიდის სამკითხველოში. მაზრისა და თემის მომუშავეებს ამ მხრით მეტი სიფრთხილე მართებთ. ხშირად რკინის გზის სადგურებზე, ან რაიონის ცენტრში რამოდენიმე კვირის გაზეთები ერთად აწყვია და არავინ არ ფიქრობს ეს გაზეთები თავის დანიშნულებისამებრ გააგზავნოს.

გარდა ამისა ქოხ-სამკითხველოების გამგეები ჯერ ისევ სათანადოდ ვერ ასრულებენ მოვალეობას, ხშირად მთელი კვირაობით სამკითხველოს კარები გამოკეტილია. რომ კითხოთ გამგეს რისთვის ხდება ესა—გიპასუხებთ, რომ რადგანაც თუმანს მაძლევენ და ისიც 3—4 თვის შემდეგ თუ მელოდებიან—ამით ჩემი თავი ვარჩინო, თუ ოჯახი. ეს მართალია. ქოხ-სამკითხველოს გამგეს 25—30 მან. მაინც უნდა ეძლეოდეს თვეში. ასეთ პირობებში სამკითხველოს გამგე უფრო მეტი მოგვარებით მოკიდებს ხელს მუშაობას და სარგებლობას მოიტანს.

იმ მცირე ჯამაგირზე მუშაობას რასაც სამკითხველოს გამგე იღებს, არავინ არ თანხმდება. ამიტომ სამკითხველოების გამგეებად მეტ ნაწილათ სრულიად მოუმზადებელი პირები არიან, რომლებმაც არ ესმის თავისი დანიშნულება, არ იციან, თუ რა უნდა აკეთონ.

ქოხ-სამკითხველო სოფლის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ცენტრი უნდა იყოს. ასეთ სამკითხველოს გამგეც შესაფერი უნდა ყავდეს.

არაა საჭირო, რომ ყოველ სოფელში გაიხსნას სამკითხველო. საკმარისია თემში ერთი ან ორი სამკითხველო იყოს მხოლოდ ეს სამკითხველოები კარგათ უნდა იყვნენ მოწყობილი.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს: ეს არის სოფლისთვის ლიტერატურის მოწოდება. სოფელი თხოულობს, როგორც საერთო პოლიტიკურ ხასიათის, ისე სოფლის მეურნეობის შინაარსის წიგნებს. მართალია, ჩვენი ხელისუფლების მიერ ამ მხრით უკვე გადადგმულია შესაფერისი ნაბიჯები, მაგრამ ეს არ კმარა. ამ მხრით მუშაობა უნდა გაფართოვდეს და სოფელს რაც შეიძლება მეტი ლიტერატურა მიეწოდოს.

ა—თ.

ტყე ნადგურდება

დოლიკაურის თემი (შორაპნის მაზრა)

ბევრი თქმულა და დაწერილა დოლიკაურის ტყეების გაჩეხვისა და განადგურებაზე. მაგრამ სამწუხაროდ აქ არამც თუ შეწყდა ტყეების გაჩეხვა, პირიქით, კიდევ უფრო საშინელი ხასიათი მიიღო.—წინეთ დოლიკაურის თემი და მისი ახლო-მახლო სოფლები მდიდარი იყო ტყეებით და გლეხობაც ყურადღებას აქცევდა ტყეების დაცვას და მოვლა-პატრონობას. ხშირად გაიგონებდი აქაური გლეხებისგან, რომ ტყე ჩვენი მასაზრდოებელი წყარო, ტყე თუ არ დავიცავით, ჩვენ აქ სიცოცხლეს ვერ გავძლებთ. დღეს კი დოლიკაურის თემის და მისი უახლოესი სოფლების ტყეები თითქმის გაჩეხილი და განადგურებულია. მართალია აქაურ ტყეებს ყავდა დარაჯები, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა ბოროტად გამოიყენა თავისი მოვალეობა და ტყის განადგურებას ხელს უწყობდენ. ამ აღნიშნულ უბედურებას ემატება ისიც, რომ ახლად აშენებულ ტყეებსაც არავინ უვლის და პატრონობს. აღმასკომმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ტყეების დაცვას.

ამბროსი სალაძე.

წერილებიდან

სოფ. ქვალონი (ზუგდიდის მაზრა)

დაუბრუნეთ სამკითხველოს წიგნები

სოფ. ქვალონში მეფის დროიდანვე არსებობდა სამკითხველო, რომელიც მდიდარი იყო ქართული წიგნებით. რევოლიუციის შემდეგ ეს წიგნები დაიტაცეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და დღეს ბევრ ოჯახში ნახავთ ამ ბიბლიოთეკის წიგნებს. დაუბრუნეთ სამკითხველოს წიგნები.

ორნარი.

ქალ. ზუგდიდი

ზუგდიდის კიოსკის და ქოხ-სამკითხველოს გამგემ ქართული არ იცის. სოფლიდან ჩამოსულ გლეხს გაზეთის ყიდვა ვერ მოუხერხებია. რატომ არ მიაქცევენ ამას ყურადღებას ადგილობრივი მუშაკები.

სოფ. გიორგიწმინდა (თბილისის მაზ.)

გლეხკომო, დაეხმარე იაგორ ვარსიმაშვილს. ს. გიორგიწმინდაში ცხოვრობს ფეხმოკვეთილი გლეხი იაგორ ვარსიმაშვილი. მას სარჩენი ჰყავს წვრილი ცოლშვილი. არავითარი შემოსავლის წყარო ვარსიმაშვილს არა აქვს; უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი ცოლშვილით ამ ზამთარში ამოწყვეტა მოელის. საგარეჯოს გლეხკომმა ხომ ვარსიმაშვილს დახმარება უნდა აღმოუჩინოს.

ალ. ბ—ლი.

ქ. თელავი

თელავის მაზრის მეღვინეთა კოოპერატიული ამხანაგობა, „წინსვლა“ თანდათან იზრდება. წევრთა რიცხვი ჯერ-ჯერობით 200. ამჟამად ამხანაგობის უმთავრეს საზრუნავს შეადგენს ღორების გამოკვება და ხორცის გასაღება. წელს ტყეებს რკო არ ასხია, სიმინდიც ნაკლებად მოვიდა და მეღორეობა კახეთში განსაცდელშია. ამის გამო ქ. თელავში 1 ოქტომბერს მოხდა ამხ-ბის წარმომადგენელთა საზოგადო კრება, სადაც გამოიტანეს დადგენილება, რომ მიენდოს გამგეობას იშუამდგომლოს საქართველოს სახ.-სამ. ბანკის წინაში დაჩქარებით სესხის მიცემის შესახებ და იშოვნოს ავანსები ხორცისა და ჯაგრის დასამზადებლათ.

დამმზადებელი ონ. ჯიქაძე.

მიქელგაბრიელის თემი (გურია)

ეს თემი შეიცავს 320 მცხოვრებს. თემს აქვს ოთხწლიანი და შვიდწლიანი სკოლა, სამკითხველო, კოოპერატივი, საფერშლო პუნქტი და სხვ. ხალხი განსაკუთრებით მიწის მუშაობას მისდევს. მოყავთ სიმინდი, ლობიო, ბრინჯი და სხვ. ხეირობს ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი; მხოლოდ შარშანდელმა ზამთარმა ამ მცენარეებს დიდი ზარალი მიაყენა. თემში ხილმშენებლობითი მუშაობა კარგათ მიდის. დიდ თავსამტვრევ საკითხად გადაიქცა ჩვენს თემისთვის საშუალო სკოლის გამონახვა, სადაც უნდა მოთავსდენ ყველა დაწესებულებები. საჭიროა ყურადღება მიექცეს საფერშლო პუნქტის მოწყობას.

ქარცივაძე.

თერჯოლის თემი

მოიტანეთ ცემენტი

თერჯოლის თემში არსებობს ჩ. ჯ. რის ეროსის (ერთიანი მომხმარებელის საზოგ.) განყოფილება, რომელიც შეძლებისდაგვარად აწვდის გლეხობას პირველ მოთხოვნილების საგნებს: ნავთს, მარილს, წუწუმას, საპონს, ფეხსაცმელს და სხ.

ეხლა საჭიროა ხალხისთვის ცემენტი და მურის სოდა. ბევრი კითხულობს ამ საგნებს დღეს კოოპერაციაში და უკმაყოფილო ბრუნდება, რომ არ იშოვნება. დროზე მოიტანეთ ეს საგნები და დააკმაყოფილეთ ხალხი.

ვალ—ია.

ქვალონის თემი (ზუგ. მ.)

საფერშლო პუნქტი მაინც გვჭირია

ამ თემში ბევრი ჭაობიანი ადგილებია, ამიტომ აქ ძლიერ გავრცელებულია ციებ-ცხელება. თემში კი არ არსებობს არც აფთიაქი და არც საფერშლო პუნქტი. ამიტომ მცხოვრებლებს სიარული უხდებათ 9—10 ვერსის მანძილზე. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თემისათვის აფთიაქისა და საფერშლო პუნქტის გახსნა.

ჯანმრთელობის განყოფილებავ, მოგვაქციე ყურადღება.

ორნარი.

სოფლის ქრონიკა

— **ქუთაისში** გაიხსნა საურთიერთო ნდობის საზოგადოება.

სოფ. საქობოს (სიღნაღის მაზრა) გლეხკომმა სამკითხველოსათვის ააგო ქვიტკირის შენობა.

— **მეწყერისაგან დაზარალებულთათვის.** რაჭის სამაზრო აღმასკომმა პატარა ონის საკრედიტო ამხ-ბას გადასცა მთავრობის მიერ გადადებული 10 ათასი მან., სოფ. ზუდალის მეწყერისგან დაზარალებულ გლეხებისათვის გრძელვადიანი სესხის მისაცემათ.

— **„მცხეთობა“.** გუშინ „მცხეთობის“ გამო მცხეთაში ჩამოვიდა დიდძალი გლეხობა. გლეხები ჩამოვიდნენ არა თუ მახლობელ სოფლებიდან, არამედ დუშეთიდან, ქართლიდან და კახეთიდან.

დღესასწაულზე განზრახული იყო საქართველოს კინო-მრეწველობის ექსპედიციის მოწყობა საინტერესო სცენების გადასაღებათ.

— **შორაპანის** აღმასკომმა გადასწყვიტა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, თავისის თემიდან თუხის ცალკე თემათ გამოყოფის შესახებ.

— **სანიმუშო** გლეხკომებათ სიღნაღის მაზრაში ითვლებიან სოფ. ვეჯინისა და საქობის გლეხკომები.

— **თათბირი.** ამ ახლო მომავალში ახალ სენაკში შესდგება იუსტიციის მუშაკთა სამაზრო თათბირი.

— **ოზურგეთში** ჩამოვიდა დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია, რომელიც ადგილობრივ გაარჩევს 13 საქმეს.

— **სოფელ ველისციხეში** (სიღნაღის მაზრა) შესდგა მევენახეთა კომუნა „შრომა“, რომლის მიზანია გააშენოს ამერიკული ვაზის სანერგე.

— **გორის მაზრის** თემებში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩამტარებელი კომისიები.

— **ტყეების.** რაჭის მაზრაში 5 ათასი დესეტინა ადგილობრივ [illegible] ჟობისა და იქ მ[illegible] გადაეცა გლეხებს.

გვარებით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 32

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სასამართლოს წესით დადებული ჯარიმისა და სასამართლოს ხარჯის გადახდევინებისათვის, აგრეთვე სასამართლოს მიერ სახელმწიფო სალარზე მყოფი დაწესებულების სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის მეთვალყურეობის გაწევის წესების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა სასამართლო დაწესებულებამ ყოველი თავისი დადგენილება ან გადაწყვეტილება, რომლითაც დადებულია ჯარიმა, ან და რომელთაც სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულების სასარგებლოდ გადაწყვეტილია სასამართლო ხარჯი და დაკმაყოფილებულია სარჩელი, გადახდევინებლობისათვის აღსრულების ფურცლის მიცემისათანავე ან გადაწყვეტილების თუ დადგენილების აღმასრულებელ ორგანოსათვის შე- ყვანებისათანავე, უნდა აცნობოს ადგილობრივ საფინანსო განყოფილებას; თანაც სათანადო შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომელ აღმასრულებელ ორგანოს მიენდო გადახდევინება.

2. აღმასრულებელმა ორგანომ ამა წესების 1 მუხლში აღნიშნული დადგენილება და გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა მოიყვანოს სისრულეში, ხოლო გადახდევინებული თანხა შეიტანოს ადგილობრივ საფინანსო განყოფილებაში.

3. ადგილობრივმა საფინანსო განყოფილებამ სისწორით უნდა აღნუსხოს ყველა დადებული ჯარიმა, აგრეთვე ყველა თანხა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი (მუხ. 1) და თვალყური ადევნოს იმას, რომ ყველა ეს თანხა თავის დროზე იქნეს შეტანილი, ხოლო გადასახდევინებელი თანხის შეტანის დაყოვნება აცნობოს იმ სასამართლოს, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა.

4. მთლად ის თანხა, რაც საფინანსო განყოფილებაში ჯარიმად შევა, უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფო შემოსავლად, თუ კანონით ან ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებით მას სხვა რამ დანიშნულება არ მიეცა.

5. ყველა თანხა, რაც საფინანსო განყოფილებაში შევა, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების სასარგებლოდ გადახდილი სასამართლო ხარჯი ან მისი სარჩელის გამო გადახდილი თანხა, უნდა ჩაირიცხოს ან ხაზინის შემოსავლად, ან ამა თუ იმ უწყების კრედიტის აღსადგენად, იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისაა გადახდევინებული თანხა—საშემოსავლო, თუ უწყების საოპერაციო სალარო.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჟუღელი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

1925 წ. ოქტ. 8

თბილისი—სასახლე

დადგენილება № 47

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

მეფის დროის პოლიციისა, ჟანდარმთა ცალკე კორპუსისა და მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის ყოფილ მოსამსახურეთა მოქალაქეობრივ უფლების აღდგენის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დაგენს:

1. თხოვნა მოქალაქეობრივ უფლებათა აღდგენის შესახებ იმ პირისა, რომელსაც ეს უფლებები ჩამორთმეული აქვს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის 120 მუხლის „ე" პუნქტის ძალით, ე. ი. მეფის დროის პოლიციისა, ჟანდარმთა ცალკე კორპუსისა და მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო რაზმის ყოფილი მოსამსახურის და აგენტისა, განხილულ უნდა იქნეს თვითეულ ცალკე შემთხვევაში სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

2. განცხადება მოქალაქეობრივ უფლებების აღდგენის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში განმცხადებლის მუდმივ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. მიიღებს რა განცხადებას, აღმასრულებელი კომიტეტი შეკრებს სათანადო ცნობებს განმცხადებლის ვინაობის და მისი წარსული სამსახურის შესახებ და შეამოწმებს მთხოვნელის მიერ მოწოდებულ ცნობების სისწორეს.

4. შეკრეფილი ცნობები აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნით წარდგენილ უნდა იქნეს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, რომელიც გამოიტანს დადგენილებას მოქალაქეობრივ უფლებათა აღდგენის შესახებ ან უარჰყოფს იმ უფლებათა აღდგენას.

შენიშვნა: შეკრეფილი მასალის განხილვის დროს აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური წინდახედულობა და სიფრთხილე.

5. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება მოქალაქეობრივ უფლებათა აღდგენის უარყოფის შესახებ საბოლოოა და არ განისაჩივრება.

6. იმ პირს, რომლის მოქალაქეობრივი უფლებებიც სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით აღდგენილ იქნა აქვს სხვა მოქალაქეთა თანაბრად ა) საბჭოებში არჩევის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, ბ) პროფესიონალურ და სხვ. ორგანიზაციებში არჩევის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, გ) სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში სამსახურის უფლება და დ) სახალხო მსაჯულად სასამართლოში დამცველად და მზრუნველად და მეურვედ ყოფნის უფლება.

7. ყველა ის პირი, რომელსაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის 120 მუხლ. ძალით ჩამორთმეული აქვს მოქალაქეობრივი უფლებები და ამჟამად სახელმწიფო ან საზოგადო სამსახურში იმყოფება, ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, აღძრას ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ თხოვნა მოქალაქეობრივ უფლებათა აღდგენის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამსახურიდან დათხოვნილ უნდა იქნეს.

8. შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისრებს დაევალებათ გამოსცენ ამა დადგენილების განსავითარებლად დაწვრილებითი ინსტრუქცია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—ს. თოდრია.

1925 წლ. 4 ოქტომბერი.

თბილისი-სასახლე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

დღეს, 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა.

თბილისის კომიტეტის ყველა წევრთა და კანდიდატთა და აგრეთვე საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომების ბიუროების წევრთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი

— ს. კ. პ. ლენინის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 15 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, მოწვეულია შემოკლებული პარტსკოლების კრებები.

ევალებათ ხელმძღვანელებს გამოცხადდნენ თავთავიანთ სკოლებში შემდეგ ადგილებზე:

1. სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბანში—ამხ. კაიშაური, 2. ა. კ. რკ. გზ. სამმართველოში—კალანდაძე, 3. სალიანდაგო სამს. მე-6 უბანში—დაწელიანი და გერმანი, 4. მესაკრავ სამსახურში—ბიტ-აბრამი და იუზეფოვიჩი, 5. მოძრაობის დარგში—ბოკერია, 6. შეიარაღებულ რაზმში—ზანთარაძე და 7. პლეხანოვის კლუბში—ტერუმოვი.

ს. კ. პ. ლენრაიკომის საგიტ. საპროპაგ. განყ. გამგ. მაგ. ს. საყვარელიძე.

— საქ. ახ. ლენ. კომუნისტური კავშირის სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედების ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს, რომ დღეს 15 ოქტომბერს დღის 2 საათზე მოწვეულია კომკავშირის უჯრედების საერთო კრება, ამხანაგებს ევალება გამოცხადდნენ აღნიშნულ დროს უნივერსიტეტის შენობაში.

ბიურო-კოლექტივი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული ძმები: თედორე და ვასილ ათანასეს ძენი ბრიტანჩუკები, რძლები ნინა გიორგის ასული შვილებით: ქორიკა, დათიკო, ლიუსია და თამარა, წარაიმ იოსების ასული ბრიტანჩუკისა და დეიდაშვილი ვლადიმერ გიორგის ძე მოსეშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა/წ. 12 ოქტომბერს, ორშაბათს, დღის 3 საათზე გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ანა (ანეტა) ათანასეს ასული აბაშიძისა

პანაშვიდი რეს. მთავარ საავადმყოფოში, საღამოს 4 ნახ. საათზე. გამოსვენება ამავე საავადმყოფოდან სად. 5 ნახ. ს. თბ. სადგურზე.

ა/კ. რკ. გზ. ექსპლოატაციის დარგის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ავადმყოფობის შემდეგ თანამშრომელ

ისმაილ ფარნაოზის ძე გაბუნიას

უდროოთ გარდაცვალებას. მიცვალებულის გამოსვენება მოხდება დღეს, 15 ოქტომბერს, რკ. გზის მთავარ საავადმყოფოდან (ანდრეევის ქუჩა) ნაშუადღევის 4 საათზე. 179 1—1

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული საქ. ახ. ლ. კ. კ. ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ს. ა. ლ. კ. კ. წევრი

ისმაილ ფარნაოზის ძე გაბუნია

რომლის გამოსვენება მოხდება 15 ამა თვეს, ნაშუადღევის 3 საათზე, რკინის გზის საავადმყოფოდან, კუკიის სასაფლაოზე. 177 1—1

ხიდის-თავის თემის განათლების მუშაკნი, გულითადი მწუხარებით აუწყებენ განათლების დარგში მომუშავეებს და მოქალაქეთ რომ, 14 ოქტომბერს, ქ. ოზურგეთში, უეცრათ გარდაიცვალა მათი გულითადი ამხანაგი და პატიოსანი მუშაკი, ოზურგეთის მაზრის განათლების ინსტრუქტორი

ალექსანდრე დოზორჯგინიძე

175. 1—1.

მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფალნი: მეუღლე—სოფიო მაკარის ასული, შვილები—შალვა და არჩილი, ძმა—ილია, რძლები—ალექსანდრა და მარია, შვილიშვილები—თინა და ქეთო, ძმის წულები—ნინო და ლადო ხუციშვილები და ახლო მეგობარი—ოლია დავლიანიძისა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გიორგი აბრამის ძე ხუციშვილის

გარდაცვალებას 12 ოქტომბერს, დილის 10 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი, № 19, ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან დღეს, ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს, ნაშუადღევს 4 საათზე დიდუბის ეკლესიის გალავანში, სადაც მოხდება დაკრძალვა. 178—1—1

განათლების სახ. კომისარიატის

სახელმწიფო საბუღალტრო კურსები № 2

იოსებ გიორგის ძე ავალიშვილის

ხელმძღვანელობით აცხადებს,

რომ **განახლდა** თხოვნების მიღება ჯგუფებში ჩასაწერად

გამგის ბინა: დუშეთის ქ. № 19, საღამ. 5 საათ.

კურსებისა: დავიდოვის ქ. № 25.

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი" (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი

მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული. 14—11

თბილისის დაზღვევა კასის პრეზიდიუმი და ჯანმრთელობის განყოფილების დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ქვეგანყოფილება

აცხადებს ექიმების საყურადღებოთ, რომ შაბათს, 17 ოქტომბერს, „მედსანშრომის" დარბაზში, ევანგულოვის ქ. № 12, საღამოს 8 საათზე შესდგება

მოხსენება ექიმ ზ. გაქრაძის:

„სოციალურ დაავადებასთან ბრძოლა საფრანგეთში"

171. 1—1. პრეზიდიუმი.

რადგან ჩვენი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციები, აგრეთვე ყოველი ქართველი ინტელიგენტი: დაწესებულებათა მოხელენი, ინჟინრები, ტეხნიკოსები, ექიმები, მასწავლებლები, მოწაფეები, სტუდენტები, ბუღალტრები, მთარგმნელები, მწერლები, მეცნიერები და მოღვაწენი სხვადასხვა დარგში,—დიდ გაჭირვებას განიცდიან დაწესებულებათა გაერთიანების გატარების დროს, ან სხვადასხვა ტერმინების თარგმნისას, შესაფერი სიტყვარის უქონლობის გამო, ამიტომ შევუდექით გამოცემას

ფართო და სწორი

პროფ. იუსტინე აბულაძის

ქართულ-რუსული ლექსიკონი—1 ტ.—300 გვერდი.

ქართულ-რუსული ლექსიკონი—2 ტ.—300 გვერდი.

და

რუსულ-ქართული ლექსიკონი—1 ტ.—300 გვერდი.

რუსულ-ქართული ლექსიკონი—2 ტ.—300 გვერდი.

წინასწარი ხელისმოწერით ოთხივე წიგნი ღირს 14 მანეთი.

რადგან ქაღალდი ძალიან ძვირი ჯდება, ლექსიკონი გასასყიდათ **სრულებით არ გამოვა.** ასე, რომ ვისაც არ სურს დარჩეს უწიგნოდ, მან აუცილებლად წინასწარ ხელი უნდა მოაწეროს. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად **რვა თვის განმავლობაში,** მაგრამ პირველი ნაწილი ღირებულებისა აუცილებლად შემოტანილი უნდა იქნეს დღიდან ამ განცხადების მოთავსებისა გაზ. „კომუნისტ"-ში ერთი თვის განმავლობაში ე. ი. 10 ნოემბრამდე, რადგან ამ ხნის განმავლობაში პირველი წიგნის ბეჭდვა დაიწყება და ტირაჟი განისაზღვრება. ლექსიკონში შევა ყველა ტერმინები, **მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მეცნიერების ყველა დარგთათვის** (აგრონომიის, ანატომიის, ანტროპოლოგიის, ასტრონომიის, არხიტექტურის, ბოტანიკის, სამხედრო, გეოლოგიის და მინერალოგიის, ზოოლოგიის, ხელოვნების, საინჟინრო, კრისტალოგრაფიის, ლიტერატურის, მათემატიკის, საექიმო, მუსიკის, მეურნეობის, პედაგოგიკის, პოლიტიკური ეკონომიის, სტატისტიკის, პსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, ფიზიკის, საფინანსო, ქიმიის, ეთნოგრაფიის, ფილოლოგიის და ყველა ახალ შემოსული ტერმინები როგორც **რკინის გზის ხაზზე,** ისე სხვა დარგებში). დაწესებულებებს ჩამოივლიან გამომცემლობის წარმომადგენელნი და შეადგენენ სიას ხელმომწერთა; ერთი წლის განმავლობაში ხელისმომწერნი მიიღებენ ოთხივე ტომს აღნიშნულ ლექსიკონისას. ლექსიკონი იქნება დიდი ფორმატისა. ლექსიკონი არის მრავალწლოვანი შრომის და გამოკვლევის ნაყოფი.

მისამართი: რუსთაველის მ, საექსპედიციო კანტორა, ამ მისამართით გამოიგზავნება ფულიც.

ნ. 4 5—4. გამომცემლობა.

მთლიანი სამკერვალო კოოპერატივის

„ევკოგრუზ"-ის

სალიკვიდაციო კომისია,

ამორჩეული კრედიტორების კრებაზე, თანახმად ცეკავშირის გამგეობის ა.-წ. 30 სექტემბრის დადგენილებისა ევკოგრუზის წესდების 88 ლ. ბ. ხაზუქველზე.

ამით აცხადებს ყველა კრედიტორების საყურადღებოთ, რომ დაწყებულია ლიკვიდაცია ხსენებულ კოოპერატივის მისი ყველა განყოფილებების და საწარმოო დარგების, რის გამოც უკანასკნელ ვადათ კრედიტორების მიერ პრეტენზიების გამოცხადებისა

დანიშნულია

ადგილობრივ კრედიტორებისათვის **1-ლი ნოემბერი ა. წ.**

და უცხოელებისათვის **15 ნოემბერი 1925 წ.**

მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 38.

სალიკვიდაციო კომისია.

168. 3—1.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების განყოფილება

ამით აცხადებს, რომ კვირას, ამა ოქტომბრის 18-ს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სხვადასხვა ძველ რკინეულობაზე განმეორებითი ვაჭრობის მოუხდენლობით. მსურველთ შეუძლიათ გამოცხადდნენ საპატიმრო ადგილების განყოფილებაში, ევანგულოვის ქუჩა, № 2, სიდანაც მიიღებენ ყოველგვარ ცნობებს. ნ. 67 3—1

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი

აცხადებს, რომ

შაბათს, 17 ოქტომბერს, დღის 11 ს.

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება 6330 ვედრო ღვინო. უიფ. თამამშევის ქარვასლის შენობაში პუშკინის ქუჩა, № 2. ამხ.-ბა „საერო"-ს სარდაფი.

უკეთუ აღნიშნულ დღეს საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, ასეთი დანიშნულია ხელმეორედ, 18 ოქტომბერს იქვე. ნ. 66 1—1

„ზაკავტოპრომტორგი"

„ЗАКавтомпромторг"

აცხადებს, რომ შაბათს 17 ოქტომბერს დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

რკინის და ფოლადის ნაჭრების, საბარგო ავტომობილების შინების, ლენტების და სხვ. გასასყიდათ ყოფილ „ცენტროტრამოტის" გარაჟში (დიდი მთავრის) კამოს ქუჩა № 80.

საქონლის დათვალიერება შეიძლება ყოველდღე.

ნ. № 65 1—1.

ხელის მომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

ლევან არღუთინსკი აცხადებს რომ ა/წ. 19 ოქტომბერს შუადღის 12 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის გერასიმე, ვასილი და ილია იობაშვილებს, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, I მილიციის უბ. მატერიალური ქუჩ. № 18, და შეიცავს ზემოხსენებული იობაშვილების მთელი სახლის და ბაღის სამმეოთხ. ნაწილის მფლობელობას. აწერილი სახლი არის ორსართულიანი და აშენებულია ნაკვეთ მიწაზე ზომით 265 კვ. საჟ. ქვით და აგურით. შესდგება 15 ოთახიდან, 3 სამზარეულოდან, შუშაბანდით და წინ ბაღით; სამი მეოთხ. ნაწილი იობაშვილების მფლობელობა შეფასებულია—3,000 მან. რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია სახალხო კვების კავშირის, ანდრეი ქადეიშვილის, ციციშვილის და სხვების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს და სხვა სასამართლოების აღმასრულებელი ფურცლებით, საერთო ჯამით 8.000 მანეთამდე.

ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილებიდან და თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებიდან ცნობები იმის შესახებ, რომ არც მათ და არც მათ მეუღლეს და არც მათ მცირე წლოვან შვილებს არა აქვთ ქალ. თბილისში საკუთარი შენობები, და აგრეთვე უნდა წარუდგინონ თავის ხელწერილი იმის შესახებ, რომ არც მათ და არც ზემო ჩამოთვლილ მათ ოჯახის წევრებს არა აქვთ საკუთარი შენობები სხვა რაიმე ადგილას აგრეთვე ქ. თბილისის გარეშე. გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარადგინონ საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 პროც. ე. ი. 300 (სამასი) მან.

№ 165—1—1

პირველად თბილისში

„ОСОБНЯК ГОЛУБИНЫХ"

ის პირნი, რომლებიც იყიდიან ბილეთებს 1 სეანსის დაწყებამდე, იხდიან: პარტერი—35 კაპ., ამფითეატრი—25 კ., მე-IV-ე ადგილები—20 კაპ.

„კოლეჟსკი რეგისტრატორ"

მთავარ როლში—მოსკვინი. || სოლოს შეასრულებს იაშა ბროდსკი.

სეზონის საუკეთესო სურათი

„საროსკიპოში აღზრდილი"

გაძლიერებული სიმფონიური ორკესტრი რეიზნერის ხელმძღვანელობით.

თბილისის „მოსკვოშვეი" განყოფილება

რუსთაველის პროსპ. **„МОСКВОШВЕЙ"** № 10, ტელ. 6—76.

მაღაზიები: № 1—რუსთაველის პროსპ. № 10
№ 2—მადათოვის კუნძულზე

აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომ მაღაზიებში მოიპოვება შემოდგომის—ზამთრის სეზონისათვის ქალაქის მცხოვრებ მამაკაცების, ქალების და ბავშვების დიდძალი ტანსაცმლები, აგრეთვე გლეხების ტანსაცმლებიც, ჩვეულებრივი და სპეცტანსაცმლები და თეთრეულები.

თვისება და ფასები

კონკურენციის გარეშეა

გაყიდვა სახელმწიფო ორგანოებზე, კოოპერატივებზე და კერძო პირებზე, ბითუმად და ცალობით. მუშებს და მოსამსახურეებს კოლექტიურად ტანსაცმლები ეძლევათ კრედიტით დაწესებულებების თავდებობით.

მაღაზიაში არის გამოცდილი მკერვალი-გადამკეთებელი, გაყიდულ ტანისამოსების საჭირო შესწორება და გადაკეთება სწარმოებს უფასოდ. 2—2 ნ. 56

საქართ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

სამთო განყოფილება

ამით აცხადებს იმ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებიც აწარმოებენ სამთო მუშაობას საქართველოს ფარგლებში, რომ

მათ 2 კვირის ვადაში აუცილებლად უნდა შეიძინონ

აღნიშნულ განყოფილებაში (თბილისი, პუშკინის ქ., № 3)

„სამთო სამუშაოების წარმოების დროს გამაფრთხილებელი ზომების მიღების წესები"

დამტკიცებული საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ 1924 წ. 25 ნოემბერს.

ვინც აღნიშნულ ვადაში არ შეიძენს აღნიშნულ წესებს, მას აეკრძალება სამთო სამუშაოების წარმოება შემდეგში.

სამთო განყოფილების უფროსი: მოდებაძე

საქმეთა მმართველი: კვესაძე

ნ. 48—3—3

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

სხივებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფებისათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—1

ექიმი **გ. მ. ფხაკაძე**

კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

ექიმმა **შუხმანმა**

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალები, დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ) 1—12

ექიმი **ე. ი. კალანდაძე**

ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით საღამოობით—5-დან 7 საათ. დილით—7-დან 8 საათამდე.

მისამართი: ბარონოვის (ყოფ. გუნიბის) ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნით (1 ებანი). 25—1

დოქტორი ნევროპათოლოგიისა

სიმონ ყიფშიძე

დაბრუნდა უცხოეთიდან და დაიწყებს ავადმყოფების მიღებას 14 სექტემბრიდან. 2423 25—1

ექიმი **გ. ა. ლუკოვსკი**

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე. ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საბოროს ქ. № 33 (ყოფ. კადეტთა კორპუსის ქუჩა). 25—1

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს" პირდაპირ. მიღება 9—11 დილ., 6—8 საღ. 25—1

ექიმი **ვ. ოსიპოვი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ბავშვთა სნეულებებში 4—6 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფ. ოლღას ქ.) № 7., ზემმელის აფთიაქის გვერდით.

პროფესორი **გ. მ. მუხაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის (ყოფ. მიხეილის) პროსპ. № 58. 13—1

ექიმი **ზ. ა. თარუმოვი**

დაბრუნდა აბასთუმნიდან.

ტრიბუნალის ქუჩა № 12. 31 13—1

ექიმი **მაღაევი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების სნეულებაში. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე.

თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ. 47.

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა ტფილისში

და კვლავ განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 საათიდან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. ყ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—55. 2675 25—1

ექიმი **გ. გ. მეგრაბიანცი**

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულოზის, სპეციალისტობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნალო კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა სინათ. სხივებით.

მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ზუბალოვის ქ. № 23. 25—1

ექ. **ნ. პ. ფალაშვილი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ ანალიზების შარდის ნახველის, სისხლის და სხვა ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ქლექზე) და სხვა. გამოკვლევებს მიიღებს მთელი დღე, პირადათ საღ. 5—7

ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვევი (ყოფ. აგურის) № 10. 2511 1—1

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1—2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

კბილის ექიმი

ც. ფალავა

ძნელაძის ქ. (საპიორნაია) № 29. (ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის პირდაპირ)

ჰკურნავს კბილებსა და ღრძილებს, და აკეთებს პლომბებსა და ხელოვნურ კბილებს.

მიღება } დილით 9—12-ს.
} საღ. 4—7-ს.

25—1

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

[illegible] ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33,

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისის და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებანი) დილით 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. [illegible] ქუჩა № 18 (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.

მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3, ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის) სქესობრივი სისუსტე. ტრიპერის სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

დაკარგვა სიღარიბის მოწმობა სოფიო პატარაიას სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 166

დაკარგვა პირადი ბარათი და ა. ლ. კ. კ. საწევრო წიგნაკი იაკობ დურნოვის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 167

დაკარგვა პირადობის მოწმობა, სამხედრო-სააღრიცხვო ბარათი, რკ. გზ. მოწმობა, სიღარიბის მოწმობა იაკობ ბუხრაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1— ქვ. 169

დაკარგვა ლომბარდის ქვითარი № 9605 ეკატერინე საბას ასულის ასანიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 170

დაკარგვა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 54388 დავით ბაგრატიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 ქვ. 172

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 31487 გიორგი თაყაიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 174

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 2185 ვასილ კეკელიას სახელზე ჩ. გ. 1—1 ქვ. 175

დაკარგვა სამხედრო წიგნაკი № 42 მიხა ცაცას სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 175

დაკარგვა სამხედრო წიგნაკი 4, ფორმა № 86 ერმილე ცაცას სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 175

დაკარგვა წიგნაკი ფორმა 4, № 764 იოსებ მარლის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 175

დაკარგვა სამსახურის წიგნაკი № 467 მე-4 ლეგიონის მე-4 ასეულიდან შალვა ბანცაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 175

დაკარგვა სამხედრო-სააღრიცხვო ბარათი № 2476 პეტრე აგაჯიის სახელზე ჩ. გ. 1—1 ქვ. № 176

დაკარგვა პარტიული საკანდიდატო წიგნაკი № 7368 დათიკო ივანეს ძე ქებაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 178

ტირაჟი—20.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს სამე წულუკიძის ქუჩა № 4